ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში

საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი

unicef

unite for children

ანგარიში მომზადებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ტექნიკური მხარდაჭერით.

კვლევა ჩატარდა გაეროს ბავშვთა ფონდის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ ქვეყნების (UNICEF CEE/CIS) რეგიონული ოფისისა ფინანსური დახმარებით.

ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში

საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი

გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014 წელი

გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა

მისამართი: ერისთავის ქუჩა N 9

ტელეფონი: 995 32 25 11 39, 23 23 88

ელ-ფოსტა: tbilisi@unicef.org

www.unicef.org/georgia

1. წინასიტყვაობა

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) საქართველოში მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან და სხვა პარტნიორებთან იმ მნიშვნელოვან პორბლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დგას ბავშვებისა და ახალგაზრდების, გოგონებისა და ბიჭების წინაშე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ბოლო წლების განმავლობაში მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ მოზარდების და ახალგაზრდობის კომპლექსური განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნის მიზნით, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ სრულად მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება და აქტიურად ჩაერთონ სოციალური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

2010 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) ტექნიკურ მხარდაჭერას და კონსულტაციას უწევენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საქართველოში პირველი ეროვნული ახალგაზრდული გეგმის შემუშავებაში. ახალგაზრდების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის მიღებით საქართველოს მთავრობამ ახალგაზრდების საკითხები სტრატეგიული დაგეგმვის ცენტრში მოაქცია.

2013 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მტკიცებულებებსა და ცოდნაზე დაფუძნებული მიდგომებით დაიწყეს მთელი ქვეყნის მასშტაბით კვლევის ჩატარება საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობის შესახებ; პროცესში ასევე ჩართულნი იყვნენ სხვა სამინისტროები და მნიშვნელოვანი პარტნიორები.

ჩვენთვის დიდი პატივია „ახალგაზრდების ეროვნული კვლევის“ - საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობის და საჭიროებების ანალიზის - შედეგების წარმოდგენა. კვლევის შედეგად გამოვლენილი მონაცემები ინფორმატიული იქნება ახალგაზრდების ეროვნული სამოქმედო გეგმის განვითარების თვალსაზრისით. ამ გეგმის შემუშავება წარმოადგენს ფუნდამენტური მნიშვნელობის ინიციატივას და საქართველოში ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხებისადმი კომპლექსური და ყოვლისმომცველი მიდგომის მაგალითს. იგი ორიენტირებულია შემდეგ თემატურ საკითხებზე:

- ახალგაზრდობის ჩართულობა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ აქტივობებში;
- ახალგაზრდობის სწავლების, დასაქმების და მობილურობის ხელშეწყობა;
- ჯანდაცვა;
- სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა.

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 25% 15-29 წლის ახალგაზრდები არიან. მოზარდობის პერიოდში ჩამოყალიბებულმა ქცევამ შესაძლოა კრიტიკული გავლენა იქონიოს როგორც მათ ცხოვრებაზე, ასევე მთლიანად საზოგადოების მომავალზე. მიუხედავად ბოლო დროს განვითარებული პოზიტიური მოვლენებისა, ნათელია, რომ მოზარდების და ახალგაზრდების წინაშე ბევრი პრობლემა დგას. ბევრი მათგანი ფორმალური საგანმანათლებლო კურსის დასრულების შემდეგ ვერ შოულობს სამსახურს იმ დროს, როცა სჭირდება თავი ღირებულ, პროდუქტიულ და დამოუკიდებელ ადამიანად იგრძნოს. შრომისუნარიან მოსახლეობაში უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ასევე ახალგაზრდებს შორისაა (31%). მაშინ, როდესაც ახალგაზრდების უმეტესობას საქართველოში სჯერა, რომ უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხება, ბოლო 12 თვის მანძილზე ახალგაზრდების მხოლოდ 10.9% იყო ჩართული ამ პროცესებში.

მთავრობა აღიარებს ახალგაზრდა ქალებისა და ვაჟების მიერ საკუთარი პოტენციალის ყველაზე უკეთ გამოყენების შესაძლებლობის სასიცოცხლო მნიშვნელობას, ახალგაზრდების უფლებას მონაწილეობა მიიღონ მათზე გავლენის მქონე პოლიტიკის შემუშავების პროცესში ახალგაზრდებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან უწყვეტი კონსტრუქციული დიალოგის გზით. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) მზადაა მხარდაჭერის აღმოსაჩენად ამ პროცესში უწყვეტი ტექნიკური დახმარებისა და პოლიტიკის საკითხებზე კონსულტაციის გაწევის საშუალებით და „ახალგაზრდობის ეროვნული კვლევის“ შედეგების გათვალისწინებით.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კვლევა საინტერესო იქნება ბევრი ორგანიზაციისა პოლიტიკის განმსაზღვრელი პირისათვის, მის შედეგად გამოვლენილი მონაცემები გახდება საქართველოში მოზარდების და

ახალგაზრდების უფლებებისა და პოტენციალის სრულად რეალიზების საფუძველი სამომავლო ცვლილებების ინიცირებისას.

საშა გრაუმანი	ლევან ყიფიანი
UNICEF-ის წარმომადგენელი საქართველოში	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი

სარჩევი

1. წინასიტყვაობა 2
2. შემაჯამებელი მიმოხილვა 6
ძირითადი შედეგების მოკლე შეჯამება 7
3. ზოგადი დემოგრაფიული მონაცემები 10
4. ნაწილი I. მონაწილეობა 14
4.1 სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები 14
4.2 ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში 29
4.3 მოხალისეობა 33
4.4 კულტურა, შემოქმედებითისაქმიანობა და დასვენება 34
4.5 ახალგაზრდული ინიციატივები 36
5. ნაწილი II. განათლება და დასაქმება 36
5.1 განათლება 36
5.1.1 განათლების მიღწეული დონე 37
5.1.2 სწავლის ნაადრევად შეწყვეტა 41
5.1.3 ახალგაზრდების ინფორმირებულობა მობილობის შესახებ 44
5.2 დასაქმება 45
5.2.1 ახალგაზრდების ეკონომიკური აქტიურობა 45
5.2.2 ახალგაზრდების განათლების მიღწეული დონე და ეკონომიკური სტატუსი 51
6. ნაწილი III. ჯანდაცვა 52
6.1 ჯანსაღი ცხოვრების წესი 53
6.1.1 ახალგაზრდების სიმაღლე და წონა 53
6.1.2 თამბაქოს მოხმარება ახალგაზრდებში 56
6.1.3 ალკოჰოლური სასმელების მოხმარება ახალგაზრდებში 58
6.2 ახალგაზრდების მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებში 62
6.3 ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობა სამედიცინო დაწესებულებებში 65
6.4 სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა 66
6.4.1.სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები 66
6.4.2 კონტრაცეფციის მეთოდები და საშუალებები 80
6.4.3 რეპროდუქციული ჯანმრთელობა 83
6.5 უბედური შემთხვევები და თვითმკვლელობები 85
კახეთი 85
7. ნაწილი IV: სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა 87
7.1 ახალგაზრდების დამოკიდებულება გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მიმართ ძალადობაზე 87

7.2 ახალგაზრდების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისადმი საზოგადოებაში 95

7.3 სიღარიბე ახალგაზრდებში 98

7.4 ახალგაზრდები ფოსტერ ოჯახებში და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში 102

7.5 სახელმწიფო ახალგაზრდული პროგრამები 104

7.6 ძალადობა 105

7.6.1 ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა 107

7.6.2 ძალადობის მუხლით მსჯავრდებული ახალგაზრდების რაოდენობა 108

7.7 ახალგაზრდების დამოკიდებულება ძალადობასა და შშმ პირებთან დაკავშირებული ზოგიერთი მოსაზრების მიმართ 110

7.8 რომელ არაპოლიტიკოს პიროვნებას ენდობა 15-29 წლის ახალგაზრდები საქართველოში 117

8. ნაწილი V. ახალგაზრდების ჩართულობა სპორტულ აქტივობებში 117

9. ნაწილი VI. „ჩემი სამყარო“ 125

10. დანართები 127

დანართი 1: კვლევის მეთოდოლოგია 127

დანართი 2: კრიტერიუმები და დეფინიციები, რომელიც გამოყენებულ იქნა ახალგაზრდების ეკონომიკური სტატუსის შესაფასებლად 130

2. შემაჯამებელი მიმოხილვა

„ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში“ ჩატარდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ 2013 წლის ივლისში UNICEF-თან გაფორმებული საგრანტო შეთანხმების შესაბამისად და მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან და გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA). კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ახალგაზრდების პრობლემების იდენტიფიცირებას და ცოდნასა და მტკიცებულებებზე დამყარებული ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებას.

წარმოდგენილი კვლევა რაოდენობრივია და მოიცავს 2500 შინამეურნეობას საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა. თითოეულ შინამეურნეობაში გამოკითხული იყო 15-29 ასაკის ერთი წევრი პერსონალური კითხვარის გამოყენებით.

ანგარიში შემუშავდა ველზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზისა და ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და დაყოფილია ხუთ არსებით თემატურ ნაწილად, კერძოდ: (1) ახალგაზრდების ჩართულობა; (2) განათლება და დასაქმება; (3) ჯანდაცვა; (4) სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა და (5) ახალგაზრდების ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. ანგარიშის ბოლო ნაწილი მოიცავს აგრეთვე შედეგებს კვლევიდან „ჩემი სამყარო“, რომელიც წარმოადგენს გაეროს გლობალურ კვლევას უკეთესი მსოფლიოსათვის და შემუშავებულია იმის დასადგენად, თუ როგორ მსოფლიოში სურთ ადამიანებს ცხოვრება და რა საკითხებია მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი.

„ახალგაზრდების ეროვნული კვლევის“ პირველი ნაწილი აჩვენებს ახალგაზრდების შემაშფოთებლად დაბალ ჩართულობას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდებს შეზღუდული ცოდნა აქვთ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. მათ უმეტესობას (90,4%) მიაჩნია, რომ უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, თუმცა მხოლოდ 10,9% იღებს რეალურ მონაწილეობას მათზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

ანგარიშის მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში ახალგაზრდების განათლებასა და დასაქმებზე და ნაჩვენებია, რომ ახალგაზრდების უმეტესობას დასრულებული აქვს საშუალო განათლების კურსი. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქალაქსა და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შორის. ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების დაახლოებით ერთ მესამედს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც დაახლოებით 2.5 ჯერ მეტია სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. ასევე უფრო მაღალია უმაღლესი განათლების მქონე ქალების რაოდენობა ვაჟებთან შედარებით. რაც შეეხება ახალგაზრდების დასაქმებას, აღსანიშნავია მნიშვნელოვანი განსხვავება – დასაქმებული ვაჟების რაოდენობა მეტია, ვიდრე ქალების და ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია სოფლად მცხოვრებ, ვიდრე ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებში, რაც იმას ნიშნავს, რომ სურათი საპირისპიროა განათლების მაჩვენებელთან შედარებით. როგორც ჩანს, აღინიშნება შეუსაბამობა განათლების დონესა და დასაქმების შესაძლებლობას შორის. კვლევაში „ჩემი მსოფლიო“, ახალგაზრდები მსოფლიოს გაუმჯობესების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად სამუშაო ადგილების ზრდას ასახელებენ (83,1%), მაშინ როდესაც განათლების ხარისხს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის მეოთხე ადგილი უჭირავს (57,7%).

კვლევაში გამოვლინდა საქართველოში ახალგაზრდებს შორის არსებული სიღარიბის მნიშვნელოვანი დონე, რამდენადაც შედარებითი სიღარიბის დონე უფრო მაღალი აღმოჩნდა იმ შინამეურნეობებში, რომლებსაც 15–29 ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდა ჰყავთ. 2012 წელს მთელი საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდების 23,5% იმყოფებოდა საშუალო მოხმარების 60%–ზე ქვემოთ, მაშინ როდესაც 10,4% იყო საშუალო მოხმარების 40%–ზე დაბლა. ნათელია კავშირი ამ მდგომარეობასა და ახალგაზრდების მიერ სამედიცინო დაწესებულებების ხელმისაწვდომობას შორის. მთელი საქართველოს მასშტაბით იმ ახალგაზრდების რაოდენობა, ვისაც ბოლო 12 თვის განმავლობაში დასჭირდა სამედიცინო დახმარება, მაგრამ არ მიუმართავს მის მისაღებად, 26,6% შეადგენს. ეს რიცხვი დაახლოებით იგივეა თბილისისთვის, სადაც ახალგაზრდა მოსახლეობის დაახლოებით მესამედი ვერ აძლევს თავს უფლებას მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას საჭიროების შემთხვევაში. რაც შეეხება კვლევას „ჩემი სამყარო“, ახალგაზრდები ჯანდაცვის გაუმჯობესებას მიიჩნევენ მეორე ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად უკეთესი მსოფლიოსათვის (78,6%), ხელმისაწვდომ და ადექვატურ საკვებს (65,9%) კი – მესამე მნიშვნელოვან ფაქტორად.

ახალგაზრდებისთვის საჭიროა ინფორმაციის მიწოდება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრევენციულ მომსახურებებზე, რაც მოიცავს აივ/შიდსის (HIV/AIDS) საკითხებსა და არასასურველ ორსულობას. საქართველოს ახალგაზრდების მხოლოდ 17,4%–ს აქვს სწორი ცოდნა აივ/შიდსის ადამიანებზე გადაცემის გზებზე. უფრო მეტიც, ახალგაზრდების უმეტესობას არასდროს გამოუყენებია კონტრაცეფციის საშუალებები და რეგისტრირებული აბორტების დაახლოებით ნახევარი მოდის 15–29 ასაკობრივი ჯგუფის ქალებზე. რაც შეეხება ყველაზე დაბალ ასაკობრივ ჯგუფს, 15–დან 19 წლამდე, აბორტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დადგენილია თბილისში, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში.

ზოგადად, კვლევა ადგენს საქართველოში ახალგაზრდებისათვის ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდებისა და ახალგაზრდების მობილიზაციის ზრდას ჩაერთონ სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებში. ინფორმაციის მიწოდება საჭიროა ახალგაზრდების, როგორც საქართველოს მოქალაქეების ზოგადი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ და ასევე ზემოთხსენებულ ჯანდაცვის საკითხებზე. ასევე აშკარად გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდებს ესაჭიროებათ დასაქმების შესაძლებლობები, რათა სრულად მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება.

ბოლოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებმა კეთილსინდისიერი და ანგარიშვალდებული მთავრობა დაასახელეს მეხუთე ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად უკეთესი მსოფლიოსათვის (53,4%). სოციალურ ცხოვრებაში ახალგაზრდების დაბალ მონაწილეობასთან ერთად გარკვეული განსხვავება იკვეთება ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჩართულობაზე მათ ცოდნასა და რწმენას შორის.

ძირითადი შედეგების მოკლე შეჯამება

1. **საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობა (69,2%) არ იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას.** ის ახალგაზრდები, რომლებისთვისაც ცნობილია კონვენციის შესახებ, ძირითადად ინფორმირებულნი არიან კონვენციის სიცოცხლის უფლების კატეგორიაზე, მაგრამ ნაკლები იციან განვითარების, დაცულობის და მონაწილეობის უფლებათა კატეგორიებზე. მხოლოდ მეოთხედი (24,9%) ფლობს ფართო ცოდნას და ინფორმირებულია მინიმუმ ორ უფლებაზე ყველა ოთხი კატეგორიიდან.

2. **საქართველოში ახალგაზრდებს აქვთ შეზღუდული ცოდნა მოსახლეობის უფლებებსა და მოვალეობებზე და სამოქალაქო ვალდებულებებზე.** საქართველოში 15–29 ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების 11,6% ინფორმირებულია სამოქალაქო უფლებებზე, კონკრეტულად კანონმორჩილებაზე, გადასახადების გადახდასა და არჩევნებში მონაწილეობაზე. კანონმორჩილება ახალგაზრდების მიერ მიჩნეულია საკუთარ სოციალურ მოვალეობად. ყველაზე დიდი განსხვავება ქალაქსა (62,1%) და სოფლად (53,7%) მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის აღინიშნება გადასახადების გადახდის, როგორც ვალდებულების აღქმაში.

3. **ახალგაზრდების მხოლოდ 10,9% იღებს მონაწილეობას ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.** საქართველოში ახალგაზრდები არ არიან აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათი დიდი უმრავლესობა (90.4%) მიიჩნევს, რომ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, თუმცა 2013 წელს მხოლოდ 10.9%–მა მიიღო რეალური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმ საკითხებზე, რომლებიც ახალგაზრდებს ეხებათ.

4. **15-29 ასაკობრივ ჯგუფში ახალგაზრდების მხოლოდ 11,9% მიიღო მონაწილება მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან საზღვარგარეთ ბოლო 12 თვის განმავლობაში.** მნიშვნელოვანი განსხვავებაა მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით ქალაქად და სოფლად. ქალაქებში ახალგაზრდები მოხალისეობრივ საწყისებზე ძირითადად ეხმარებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, მაშინ როცა სოფლად ისინი უფრო მეტად ერთვებიან გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებში.

5. **15-29 ასაკობრივ ჯგუფში ხალგაზრდების დაახლოებით 10% –მა შეწყვიტა განათლების მიღება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში; მათი უმეტესობა (90,4%) 15-17 წლის ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნება.** ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იმ ახალგაზრდების, რომლებმაც ნაადრევად მიატოვეს საჯარო სკოლა, აღინიშნება კახეთის რეგიონში, რომელსაც მოსდევს აჭარა და სამეგრელო. 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისამდე 17089 ახალგაზრდამ მიატოვა საშუალო სკოლა ნაადრევად, მათი უმეტესობა (10153) კაცი იყო. 17089 პირიდან 15–17 წლის ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნებოდა 13899 მოზარდი.

6. **მიღებული განათლების დონე შედარებით მაღალია ქალაქებში და ქალებში.** ახალგაზრდების უმეტესობას 15–29 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიღებული აქვს მხოლოდ საშუალო ზოგადი განათლება. რაც შეეხება დაწყებით პროფესიულ, საშუალო უმაღლეს პროფესიულ და უმაღლეს განათლებას, მიღწეული განათლების დონე შედარებით უფრო მაღალია ახალგაზრდა ქალებში, ვიდრე ვაჟებში. ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების 29,7% მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, ეს მაჩვენებელი 2,4–ჯერ მეტია სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით (12,3%).

7. **შეუსაბამობაა განათლების დონესა და დასაქმების შესაძლებლობას შორის.** შრომისუნარიანი მოსახლეობის ასაკობრივ კატეგორიაში უმუშევრობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირებულია ახალგაზრდებს შორის, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ქალაქში მცხოვრები ქალების შემთხვევაში. ახალგაზრდა მუშახელის 30,7% დაუსაქმებელია; მათ უმეტესობას (33,2%) მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. ქალაქებში ახალგზარდების უმუშევრობის მაჩვენებელი 2,5 ჯერ მაღალია ვიდრე სოფლად, რაც განპირობებულია სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებით. კაცების დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 53,3%, იგივე მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში არის 30,4%.

8. **დასაქმებული ახალგაზრდების დაახლოებით ერთი მესამედი, ჩვეულებრივ, მუშაობს კვირაში 40 ან მეტი საათის განმავლობაში.** შემდგომი 17 %–ის სამუშაო დრო მერყეობს 30–დან 39 საათამდე.

9. **სიღარიბის საშულო მაჩვენებლი უფრო მაღალია მათთვის, ვისაც შინამეურნეობაში ჰყავს 15–29 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი.** მთელი საქართველოს მასშტაბით 2012 წელს ახალგაზრდების 23,5% ცხოვრობდა საშუალო მოხმარების 60%–ის ქვემოთ. უფრო მეტიც, სოფლად სიღარიბის მაჩვენებელი 12%–ით მაღალია, ვიდრე ქალაქში საშუალო მოხმარების 60%–ის ქვემოთ.

10. **15–29 წლის ახალგაზრდების 21,6% თვლის, რომ რეგულარული მწეველია;** მათი უმრავლესობა კაცია. კაცების 39,6% აცხადებს, რომ რეგულარულიად ეწევა, მაშინ როცა ქალების მხოლოდ 4,1% ამბობს, რომ რეგულარული მწეველია. საშუალო ასაკი, როცა 15–29 წლის ახალგაზრდები იწყებენ მოწევას, არის 17 წელი. საქართველოში ახალგაზრდები დღეში საშუალოდ 18 ღერ სიგარეტს ეწევიან.

11. **ახალგაზრდებს შორის ალკოჰოლის, ნარკოტიკის და სხვა ნივთიერებების ბოროტად გამოყენებაში მნიშვნელოვანი გენდერული სხვაობაა.** ახალგაზრდა კაცების დაახლოებით 40% აცხადებს, რომ რეგულარულად ეწევა, მაშინ როდესაც ქალებში ეს მაჩვენებელი 4,1%–ია. ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი სხვაობა ქალაქის და სოფლის მოსახლეობას შორის არ იკვეთება. ბოლო 12 თვის განმავლობაში ალკოჰოლური სასმელი ერთხელ მაინც მიუღია ვაჟების 81,3%–ს, იგივე მაჩვენებელი ქალებში თითქმის ნახევარია (45,9%). მიუხედავად ამისა, წილი იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ალკოჰოლს კვირაში 1–2 დღე მოიხმარენ, შეადგენს მხოლოდ 11%–ს, ხოლო მათი, ვინც ალკოჰოლს კვირაში 3–დან 7 დღის განმავლობაში იღებს, შეადგენს მხოლოდ 2,8%–ს.

12. **ახალგაზრდა ქალები უფრო ხშირად მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს, ვიდრე კაცები.** მსგავსი გენდერული მოდელი შენარჩუნებულია ყველა რეგიონში. ამასთანავე, ახალგაზრდების მიმართვიანობის მაჩვენებელი ორივე სქესის შემთხვევაში უფრო მაღალია თბილისში, ვიდრე სხვა რეგიონებში. 15–დან 29 წლამდე ახალგაზრდების ნახევარზე მეტმა მიმართა სამედიცინო მომსახურების მომწოდებელ დაწესებულებას უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. ყველაზე მაღალი მიმართვიანობა დაფიქსირდა თბილისში (62,9%), ყველაზე დაბალი კი – მცხეთა–მთიანების რეგიონში (24,2%).

13. **საქართველოში 15–29 წლის ახალგაზრდების უმეტეს ნაწილს სმენია აივ/შიდსის შესახებ, მაგრამ მასზე შეზღუდული ან არასწორი ინფორმაცია აქვს.** 89,9%–ს გაუგია აივ/შიდსის შესახებ, მაგრამ მხოლოდ

17.4%–ს აქვს სწორი ცოდნა აივ ინფექციის ადამიანებზე გადაცემის გზებზე. ახალგაზრდების 17,2%-ს ჯერ კიდევ მიაჩნია, რომ აივ ინფექცია შეიძლება კოღოს ნაკბენით გადავიდეს.

14. **ახალგაზრდების უმეტესობას არ გამოუყენებია კონტრაცეფციის საშუალებები და რეგისტრირებული აბორტების დაახლოებით ნახევარი მოდის 15–29 წლის ქალებზე.** ახალგაზრდებს სმენიათ ან იციან, როგორ უნდა გამოიყენონ, მაგრამ არ გამოუყენებიათ კონტრაცეფციის საშუალებები. პრეზერვატივი არის კონტრაცეფციის საშუალება, რომლის შესახებაც ახალგაზრდებს ყველაზე მეტი ინფორმაცია აქვთ (85,9%). უფრო მეტიც, ახალგაზრდების ნახევარზე მეტი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მხოლოდ ქალები არიან პასუხისმგებელნი დაიცვან საკუთარი თავი არასასურველი ორსულობისგან. აბორტის სიხშირე 15–19 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აღწევს თბილისში, ქვემო ქართლსა და იმერეთის რეგიონში.

15. **ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი (82,9%) არ ეთანხმებიან მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქალებმა უნდა აიტანონ ფიზიკური ძალადობა ოჯახის შენარჩუნების მიზნით.** თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავება აღინიშნება ორ რეგიონში: სამცხე–ჯავახეთში მხოლოდ 54,4% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, ქვემო ქართლში კი – მხოლოდ 57,3%.

16. **15–29 წლის ახალგაზრდების ნახევარზე ოდნავ მეტი ფიქრობს, რომ ძალადობის და იძულების ფაქტები, ჩადენილი მათი თანატოლების მიერ და/ან მათ მიმართ, შემცირდა ბოლო 10 წლის განმავლობაში.** იმ ახალგაზრდების 2/3, რომლებმაც მიმართეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს დახმარებისთვის ძალადობის შემთხვევების გამო, ქალია, ხოლო პოლიციის მიერ რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლთა 2/3 კაცია. ახალგაზრდების 57,9% არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ფიზიკური დასჯა აღზრდის განუყოფელ ნაწილს წამოადგენს, თუმცა ახალგაზრდა მოსალხეობის ¼ საპირისპირო მოსაზრებას გამოხატავს.

17. **ახალგაზრდების 43,3% შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ სტიგმას სოციალურ ნორმად აღიქვამს.** ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 45,9% და სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების 40,3% სტიგმას ანიჭებს შეზღუდულ შესაძლებლობას. ამასთანავე, შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სტიგმა ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე კაცებში (შესაბამისად 45,5% და 41%) და უფრო მაღალია დედაქალაქში, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში (შესაბამისად 47,8% და 41,4%). ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

18. **ფიზიკური და სპორტული აქტივობა ძალიან დაბალია 15–29 წლის ახალგაზრდებში, თუმცა 40%–ს აქვს სურვილი იყოს დაკავებული სპორტით.** ახალგაზრდების მხოლოდ 17,5% რეგულარულად (მინიმუმ 2 საათი კვირაში) ჩართულია ფიზიკურ აქტივობაში. ქალაქებში ახალგაზრდების უმეტესობას არ შეუძლია სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება უმეტესად დროის სიმცირის გამო (62,5%), მაშინ როდესაც სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ბარიერს მსგავს აქტივობებში ჩართვისათვის უფრო ფინანსური პრობლემები წარმოადგენს (42,4%).

19. **საქართველოს ახალგაზრდებს ყველაზე მნიშვნელოვნად მომავალში მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სამუშაო ადგილების გაზრდა მიაჩნიათ.** ამასთან ერთად, ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ახალგაზრდები ასახელებენ ჯანდაცვის გაუმჯობესებას, ხელმისაწვდომ და სრულფასოვან საკვებს, ხარისხიან განათლებას და კეთილსინდისიერ, პასუხისმგებლობის მქონე მთავრობას.

3. ზოგადი დემოგრაფიული მონაცემები

ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობა როგორც სქესის, ასევე ასაკის მიხედვით, ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლების შედეგად ყალიბდება. რაც მეტია ბუნებრივი მატება, მით მეტია ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში და პირიქით. თუმცა ეს კანონზომიერება შეიძლება დაირღვეს მიგრაციული პროცესებისა და ომების შედეგად. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მკაფიო გამოხატულებაა აგრეთვე საშუალო მედიანური ასაკის მაჩვენებელი. რაც უფრო დაბალია იგი, დემოგრაფიულად მით უფრო ახალგაზრდაა ერი, ხოლო თუ მაღალია, ერი დემოგრაფიული დაბერების სტადიაშია. მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე გავლენას ახდენს ასევე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კოეფიციენტი. ამ კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა მაღალ დონეზეა, მაგრამ მეორე მხრივ, იგი ზრდის ხანდაზმულთა ხვედრით წილს მოსახლეობაში.

საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი 2013 წლის მონაცემებით 38 წელს შეადგენს. სქესის მიხედვით ქალების საშუალო ასაკი (40 წელი) აღემატება კაცების საშუალო ასაკს (36 წელი). მოსახლეობის 13,8%-ს 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა წარმოადგენს. რაც შეეხება მოსახლეობის ბუნებრივ მატებას, 2012 წლის მონაცემებით ბუნებრივი მატების კოეფიციენტი (ათას კაცზე) 1,7 შეადგენდა, ხოლო სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას - 74,7 წელს.

საქართველოს მოსახლეობაში 15-29 წლის ახალგაზრდებისწილი 22,5% შეადგენს, ხოლო მათ უმრავლესობას (50.8%) მამრობითი სქესი წარმოადგენს. ახალგაზრდების უმრავლესობა (53,1%) ქალაქებში ცხოვრობს, მათგან თბილისში [1] ცხოვრობს ახალგაზრდების 27,7%. რეგიონების მოსახლეობაში ახალგაზრდების წილი ყველაზე მაღალია ქვემო ქართლში, სადაც ეს მაჩვენებელი 25,4%-ს აღწევს, ხოლო სამეგრელოს რეგიონში ანალოგიური მაჩვენებელი ყველაზე დაბალია და 19,1%-ს შეადგენს. საქართველოს ახალგაზრდების მხოლოდ 29,5% არის დაქორწინებული. სქესის მიხედვით ახალგაზრდა ქალების 40,6% არის დაქორწინებული, ხოლო ახალგაზრდა კაცების მხოლოდ 18,1%.

საქართველოს მოსახლეობის 1/5-ზე მეტს (22.5%) 15-29 წლის ახალგაზრდები წარმოადგენს. 20-24 და 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფების ახალგაზრდების წილი მთლიან მოსახლეობაში თითქმის თანაბარია, შესაბამისად 8,1% და 8,0%, ხოლო 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში შედარებით დაბალია დანარჩენ ორ ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით და შეადგენს 6,3%.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (52,3%) მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. რაც შეეხება 15-29 წლის ახალგაზრდებს, პირიქით, მათ უმრავლესობას (50,8%) კაცები შეადგენს. ახალგაზრდა კაცების წილი მთლიანად კაცების რიცხოვნობაში 23,9%-ს, ხოლო ახალგაზრდა ქალების წილი მთლიანად ქალების რიცხოვნობაში – 21,1%.

საქართველოს მოსახლეობის და მათ შორის 15-29 წლის ახალგაზრდების გადანაწილება რეგიონების მიხედვით ასეთია: საქართველოს მოსახლეობის ¼-ზე მეტი და 15-29 წლის ახალგაზრდების 29,0% თბილისში ცხოვრობს; იმერეთის რეგიონში ცხოვრობს მთლიანი მოსახლეობის 16,7% და საქართველოს ახალგაზრდების 15,4%. ქვემო ქართლში ცხოვრობს მთლიანი მოსახლეობის 11,4%, ხოლო ამ რეგიონის ახალგაზრდების წილი მთლიანად ახალგაზრდებში 12,0% შეადგენს. საქართველოს მთლიანი მოსახლეობის და 15-29 წლის მოსახლეობის სტრუქტურა რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში 1.

[1] აქ და შემდგომში იგულისხმება ქალაქი თბილისი (ქალაქ თბილისს შემოერთებული სოფლის ტიპის დასახლებების გარეშე).

ცხრილი 1. საქართველოს მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით, %

	საქართველოს მოსახლეობა	15-29 წლის ახალგაზრდები
კახეთი	9.0	8.2
თბილისი	26.1	29.0
შიდა ქართლი	7.0	7.5
ქვემო ქართლი	11.4	12.0
სამცხე-ჯავახეთი	4.8	4.6
აჭარის ა.რ.	8.8	8.5
გურია	3.1	2.9
სამეგრელო	10.6	9.3
იმერეთი	16.7	15.4
მცხეთა-მთიანეთი	2.4	2.7
საქართველო	**100.0**	**100.0**

რეგიონებში ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში 19,1%-დან 25,4%-მდე მერყეობს. თბილისსა და ქვემო ქართლის რეგიონებში ახალგაზრდების წილი მოსახლეობის ¼-ს აღემატება. ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში ყველაზე დაბალია სამეგრელოს რეგიონში (19,1%).

დიაგრამა 1. 15-29 წლის ახალგაზრდების წილი მთლიან მოსახლეობაში რეგიონების მიხედვით, %

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (53,8%) ქალაქში ცხოვრობს. ანალოგიური სურათია ახალგაზრდებშიც, კერძოდ, 15-29 წლის ახალგაზრდების 53,1% ქალაქის მოსახლეობაა. თბილისში ცხოვრობს ახალგაზრდების 27,7%, სხვა ქალაქებში - 25,4%, ხოლო სოფლად - 46,9%.

თბილისში 15-29 წლის ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში თითქმის ¼-ს (24,6%) აღწევს, დანარჩენ ქალაქებში მათი წილი 1/5-ს (20,8%) ოდნავ აღემატება, ხოლო სოფელში იგივე მაჩვენებელი 22,0% შეადგენს.

საქართველოს ახალგაზრდების 28,1%-ს შეადგენს 15-19 წლის ახლგაზრდები, ეს შედარებით დაბალი მაჩვენებელია დანარჩენი ორი (20-24 და 25-29) ასაკობრივი ჯგუფის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. 20-24 წლის ახალგაზრდების წილი უმნიშვნელოდ (0,5 პროცენტული პუნქტით) აღემატება 25-29 წლის ახალგაზრდების პროცენტულ წილს. ანალოგიური სურათია სქესის მიხედვით. 15-19 წლის ახალგაზრდა ქალების და კაცების წილი15-29 წლის შესაბამისი სქესის ახალგაზრდებში შედარებით დაბალია დანარჩენი ორი ასაკობრივი ჯგუფის იგივე მაჩვენებელთან.

დიაგრამა 2. 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, %



15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 29,5% არის დაქორწინებული, მათ უმეტესობას (69,7%) ქალები შეადგენს. საქართველოში ქალები უფრო ადრეულ ასაკში ქმნიან ოჯახს, ვიდრე კაცები. ახალგაზრდა ქალების 40,6%-ს უკვე შექმნილი აქვს ოჯახი, მაშინ როცა ამ ასაკის კაცების მხოლოდ 18,1% არის დაქორწინებული. ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები უფრო ადრეულ ასაკში ქმნიან ოჯახს, ვიდრე სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები. თბილისში მცხოვრები 15-29 წლის ახალგაზრდების 30,0% დაქორწინებულია, დანარჩენ ქალაქებში კი – 30,6%, ხოლო სოფელში მათი წილი ახალგაზრდებში 28,6%-ს შეადგენს. დაქორწინებული ახალგაზრდები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: 58,5% არის 25-29 წლის, 36,7% - 20-24 წლის და 4,7% - 15-19 წლის.

დიაგრამა 3. 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება ოჯახური მდგომარეობისა და სქესის მიხედვით, %



*არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი, განქორწინებული, ქვრივი

რეგიონების მიხედვით დაქორწინებული ახალგაზრდების წილი მთლიანად ახალგაზრდებში მერყეობს 27,5%-დან 32,9%-მდე. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში, შესაბამისად 32,9% და 32,5%, ხოლო ყველაზე დაბალი იმერეთის და სხვა რეგიონებში, შესამისად 27,5% და 28,1%. სქესის მიხედვით ყველა რეგიონში დაქორწინებული ახალგაზრდების უმრავლესობა მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.

დიაგრამა 4. 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება ოჯახური მდგომარეობისა და რეგიონების მიხედვით, %



*არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი, განქორწინებული,ქვრივი

4. ნაწილი I. მონაწილეობა

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა (69,2%) არ იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას. ზოგად ცოდნას მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შემცველი დოკუმენტებისა და მოქალაქეობრივი მოვალეობების შესახებ ახალგაზრდების მხოლოდ 21,4% ფლობს[2].

საქართველოში 15-29 წლის ახლგაზრდები საკმაოდ არააქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევიან. მათი უდიდესი უმრავლესობა (90,4%) მიიჩნევს, რომ უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში თუმცა 2013 წლის მონაცემებზე დაყრდნობით მხოლოდ 10,9% ღებულობდა მონაწილეობას მსგავსი საკითხების გადაჭრაში და მათი უმრავლესობა მხოლოდ ნაწილობრივ იყო ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ინტერნეტ–ფორუმებს საკუთარი აზრის გამოსახატად პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით ახალგაზრდების მხოლოდ 23,0% იყენებს.

საქართველოში ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის დაბალი დონე 2013 წლის შემდეგი მონაცემებით დასტურდება: ახალგაზრდების მხოლოდ 11,9% ღებულობდა მონაწილეობას მოხალისეობრივ აქტივობებში, 12,1% – შემოქმედებით-სამოყვარულო სახელოვნებო აქტივობებში და 12,4% – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებულ აქტივობებში. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტად ახალგაზრდების ჩართულობა 2012 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გამოჩნდა.

2013 წელს კულტურულ ღონისძიებებს გართობის, დასვენების ან შემეცნების მიზნით ერთხელ მაინც დაესწრო ახალგაზრდების 57,4%. ბუნებრივია, რომ ქალაქ-სოფლის ჭრილში კულტურულ ღონისძიებებზე დამსწრე ახალგაზრდათა რაოდენობა საკმაოდ განსხვავებულია, ქალაქში 2013 წელს ახალგაზრდების 72,1% ესწრებოდა კულტურულ ღონისძიებებს, ხოლო სოფელში მხოლოდ 40,6%. ეს უკანასკნელი გამოწვეულია სოფლად მსგავსი ღონისძიებების სიმცირით.

4.1 სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბავშვთა უფლებების კონვენცია[3] 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო. იგი ძალაში შევიდა1990 წლის 2 სექტემბრიდან. კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან, რომელთაგან პირველი 42 მუხლი ეხება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს - ბავშვის უფლებებს, სახელმწიფოს ვალდებულებებს და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული პირების მოვალეობებს. 43-54–ე მუხლებში საუბარია იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ და ზრდასრულმა ადამიანებმა ერთად კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. კონვენციას მიერთებულია 193 ქვეყანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებმა აიღეს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი პასუხისმგებლობა. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა (69,2%) არ იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას. ანალოგიური სურათი ფიქსირდება ქალაქ-სოფლის ჭრილშიც, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქალაქში ბავშვთა უფლებების კონვენციას ახალგაზრდების 27,9% იცნობს, ხოლო სოფელში - 34,1%. ახალგაზრდების 1/3, რომელიც თვლის, რომ იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას, 15-17 წლისაა. რეგიონების მიხედვით ახალგაზრდები მოცემულ კონვენციას ყველაზე ნაკლებად აჭარის რეგიონსა (22,1%) და თბილისში (22,5%) იცნობენ, ხოლო ყველაზე მეტად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (72%). სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში შესაბამისად ახალგაზრდების 42,9% და 37,1% აღნიშნავს, რომ იცნობს ზემოხსენებულ კონვენციას, დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი 29-33% შორის მერყეობს.

---

[2] იგულისხმება ახალგაზრდების წილი, რომლებიც კითხვარში არსებული სამი სწორი პასუხიდან სულ მცირე ორ სწორ პასუხს მაინც იძლევიან მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შემცველ დოკუმენტებსა და მოქალაქეობრივ მოვალეობებზე.

[3] ბავშვის უფლებათა კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი, ვისაც არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად.

დიაგრამა 1.1 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება იმის მიხედვით, იცნობენ თუ არა ბავშვთა უფლებების კონვენციას, რეგიონულ ჭრილში, %



ბავშვის უფლებები მოიცავს ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრების ყველა ასპექტს, რომელთა გაერთიანება შესაძლებელია შემდეგ ოთხ ძირითად კატეგორიად: სიცოცხლე, განვითარება, დაცვა და მონაწილეობა.

თავის მხრივ, სიცოცხლისათვის აუცილებელი უფლებების კატეგორია მოიცავს სიცოცხლისა და ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების უფლებას (მაგალითად, ცხოვრების სათანადო პირობები, თავშესაფარი, კვება, სამედიცინო მომსახურება).

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებიდან, რომლებიც თვლიან, რომ იცნობენ ზემოხსენებულ კონვენციას, მხოლოდ 7,1% იცის სიცოცხლის კატეგორიაში შემავალი ყველა უფლება, როგორიცაა: *სიცოცხლის და გადარჩენის უფლება, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება.* ჩამოთვლილი უფლებებიდან სულ მცირე ორი სწორად დაასახელა ახალგაზრდების 53,7%. მოცემულ კატეგორიაში ახალგაზრდების უმრავლესობა 89,5% სიცოცხლის და გადარჩენის უფლებას, 53,5% სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლებას, ხოლო ყველაზე ნაკლები – 27,6% წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლებას ასახელებს. ამავდროულად, ქალაქ-სოფლის ჭრილშიც სიცოცხლის კატეგორიაში შემავალი უფლებების დასახელების იგივე ტენდენცია ფიქსირდება. სიცოცხლის კატეგორიაში არშემავალი უფლებები (ექსპლუატაციისაგან დაცვის უფლება და შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის უფლება), შესაბამისად ახალგაზრდების 35,2%-მა და 30,4%-მა დაასახელა. იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომელიც ამ კატეგორიაში შემავალ ვერც ერთ უფლებას სწორად ვერ ასახელებს, ძალიან მცირეა (2,9%), ხოლო მათი წილი, ვინც თვლის, რომ იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას, თუმცა არ იცის ან უჭირს კონვენციის მოცემულ კატეგორიაში შემავალი უფლებების დასახელება, 2,6%-ს შეადგენს.

ცხრილი 1.1 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, რომლებმაც განაცხადეს, რომ იცნობენ ბავშვის უფლებების კონვენციას, კონვენციის სიცოცხლის კატეგორიაში დასახელებული უფლებების მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, %

რეგიონი	სიცოცხლის და გადარჩენის უფლება	ექსპლუატაციისაგან დაცვის უფლება	სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება	შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის უფლება	წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება
კახეთი	94.9	33.0	67.4	40.8	25.3
თბილისი	96.4	31.9	47.2	21.5	25.5
შიდა ქართლი	83.8	47.8	59.3	52.7	39.0
ქვემო ქართლი	83.7	29.5	42.2	26.9	18.5
აჭარის ა.რ.	90.1	33.9	49.7	33.5	8.2
სამეგრელო	84.0	26.1	41.3	17.5	27.2
იმერეთი	86.9	30.0	52.9	29.5	24.3
სხვა რეგიონები[4]	90.7	51.8	71.3	39.2	43.9

ამავე საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რადგან კითხვარში სიცოცხლის კატეგორიაში შემავალი უფლებების 5 შესაძლო პასუხიდან სწორი იყო შემდეგი 3: *სიცოცხლის და გადარჩენის უფლება, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება*, ახალგაზრდები, რომლებიც 4 ან 5 პასუხს ასახელებდნენ, შეძლებდნენ შემთხვევით სწორი პასუხი გამოეცნოთ. ამის გამოსარიცხად აღებულ იქნა ახალგაზრდების ის რაოდენობა, რომელმაც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა. ამ პრინციპის გათვალისწინებით უფრო დარწმუნებით შეიძლება ითქვას, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან ახალგაზრდები სიცოცხლის კატეგორიაში შემავალ უფლებებზე.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების წილი, ვინც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა, იმ ახალგაზრდებში, რომლებმაც ზოგადად პასუხი გასცა აღნიშნულ კითხვას, 77,2%-ს შეადგენს. ქალაქ-სოფლის ჭრილში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 82,2% და 72,5%-ია.

დიაგრამა 1.2 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მიერ სიცოცხლის კატეგორიაში დასახელებულ პასუხებში სწორი პასუხების წილი, რეგიონულ ჭრილში, % (იგულისხმებიან ახალგაზრდები, რომლებმაც განაცხადეს, რომ იცნობენ ბავშვის უფლებების კონვენციას და კონვენციის სიცოცხლის კატეგორიაში დაასახელეს 3 ან ნაკლები პასუხი)

[4]აქ და შემდგომ, სხვა რეგიონებში გაერთიანებულია: სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონები



საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდები ბავშვის უფლებათა კონვენციაში შემავალი კატეგორიებიდან ყველაზე მეტად ინფრომირებულნი არიან სიცოცხლის კატეგორიაზე, რადგან დასახელებულ პასუხებს შორის სწორი პასუხების წილი ამ კატეგორიაში ყველაზე მაღალია (78,8%). რეგიონებშიც თითქმის ანალოგიური სიტუაციაა, დასახელებული პასუხებიდან სწორი პასუხების წილი ძირითადად 73-80% შორის მერყეობს. გამონაკლისს წარმოადგენს თბილისისა და სამეგრელოს რეგიონები, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი შესაბამისად 84% და 82,6% შეადგენს.

განვითარების კატეგორია მოიცავს უფლებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვებს გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი (მაგალითად, განათლება, გართობა და დასვენება, კულტურული ღონისძიებები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და აზრის, რელიგიის თავისუფლება).

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებიდან, რომლებიც თვლიან, რომ იცნობენ ზემოხსენებულ კონვენციას, განვითარების კატეგორიაში შემავალი ყველა უფლება (განათლების უფლება, ინდივიდუალური განვითარების უფლება, გონებრივი ან/და ფიზიკური შესაძლებლობების სრულად განვითარების უფლება) ძალიან მცირე რაოდენობამ იცის (1,8%). ჩამოთვლილი უფლებებიდან სულ მცირე ორი სწორად დაასახელა ახალგაზრდების 51,6%. მოცემულ კატეგორიაში ახალგაზრდების უმრავლესობა – 88,6%, განათლების უფლებას, 40,4% – ინდივიდუალური განვითარების უფლებას, ხოლო 42,2% გონებრივი ან/და ფიზიკური შესაძლებლობების სრულად განვითარების უფლებას ასახელებს. ამავდროულად, ქალაქ-სოფლის ჭრილშიც განვითარების კატეგორიაში შემავალი უფლებების დასახელების იგივე ტენდენცია ფიქსირდება. უფლებებს, რომლებიც არ შედის განვითარების კატეგორიაში (საკუთარი აზრის ქონის უფლება და საჭირო ინფორმაციის მიღების უფლება), შესაბამისად 54,2% და 50,9% ასახელებს. ამ კატეგორიაში, ისევე როგორც სიცოცხლის კატეგორიაში, იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც ვერც ერთ უფლებას სწორად ვერ ასახელებს, ძალიან მცირეა (2,8%), ხოლო მათი წილი, ვინც თვლის, რომ იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას, თუმცა არ იცის ან უჭირს კონვენციის მოცემულ კატეგორიაში შემავალი უფლებების დასახელება, 2,3% შეადგენს.

ცხრილი 1.2 საქართველოში 15-29 წლის იმ ახალგაზრდების განაწილება, რომლებმაც განაცხადეს, რომ იცნობენ ბავშვთა უფლებების კონვენციას – კონვენციის განვითარების კატეგორიაში დასახელებულ უფლებათა მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, %

რეგიონი	განათლების უფლება	საკუთარი აზრის ქონის უფლება	საჭირო ინფორმაციის მიღების უფლება	ინდივიდუალური განვითარების უფლება	გონებრივი ან/და ფიზიკური შესაძლებლობების სრულად განვითარების უფლება
კახეთი	91.3	61.6	58.5	49.5	48.5

თბილისი	86.1	51.3	46.9	43.3	36.8
შიდა ქართლი	89.7	63.7	56.3	48.4	59.5
ქვემო ქართლი	94.6	45.5	42.2	23.7	33.7
აჭარის ა.რ.	86.5	57.1	37.4	23.7	28.0
სამეგრელო	85.7	39.5	42.1	34.5	44.4
იმერეთი	82.4	49.7	50.1	39.2	41.1
სხვა რეგიონები	94.3	70.6	68.3	52.1	49.3

ამავე საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რადგან კითხვარში განვითარების კატეგორიაში შემავალი უფლებების 5 შესაძლო პასუხიდან სწორი იყო შემდეგი 3: განათლების უფლება, ინდივიდუალური განვითარების უფლება, გონებრივი ან/და ფიზიკური შესაძლებლობების სრულად განვითარების უფლება, ახალგაზრდები, რომლებიც 4 ან 5 პასუხს ასახელებდნენ, შეძლებდნენ შემთხვევით სწორი პასუხი გამოეცნოთ. ამის გამოსარიცხად აღებულ იქნა ახალგაზრდების ის რაოდენობა, რომელმაც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა. ამ პრინციპის გათვალისწინებით უფრო დარწმუნებით შეიძლება ითქვას, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან ახალგაზრდები განვითარების კატეგორიაში შემავალ უფლებებზე.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების წილი, ვინც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებმაც ზოგადად პასუხი გასცეს აღნიშნულ კითხვას, 65,8%-ს შეადგენს. ქალაქ-სოფლის ჭრილში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 71,4% და 60,6%-ია.

დიაგრამა 1.3 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მიერ განვითარების კატეგორიაში დასახელებულ პასუხებში სწორი პასუხების წილი, რეგიონულ ჭრილში, %

(იგულისხმებიან ახალგაზრდები, რომლებმაც განაცხადეს, რომ იცნობენ ბავშვის უფლებათა კონვენციას და კონვენციის განვითარების კატეგორიაში დაასახელეს 3 ან ნაკლები პასუხი)



15-29 წლის ახალგაზრდები, რომლებიც იცნობენ ბავშვის უფლებათა კონვენციას, ნაწილობრივ ინფორმირებულნი არიან განვითარების კატეგორიაში შემავალ უფლებებზე - დასახელებულ პასუხებს შორის სწორი პასუხების წილი ამ კატეგორიაში 65,4% შეადგენს. ამ მაჩვენებლის მაქსიმალური სიდიდე (73,7%) რეგიონების მიხედვით სამეგრელოში დაფიქსირდა. დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი 65-69% შორის მერყეობს. აღსანიშნავია, რომ მოცემულ კატეგორიაში შემავალ უფლებებზე აჭარასა და სხვა რეგიონებში ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულნი არიან. ამ რეგიონებში დასახელებული პასუხებიდან სწორი პასუხების წილი 61% არ აღემატება.

დაცვის კატეგორია მოიცავს უფლებებს, რომლებიც, ძირითადად, მიზნად ისახავს ბავშვებისა და მოზარდების დაცვას ძალადობისა და უდიერად მოპყრობის ნებისმიერი ფორმით გამოვლენისა და ექსპლოატაციისაგან (მაგალითად, განსაკუთრებული ზრუნვა ლტოლვილ ბავშვებზე და ბავშვების დაცვა შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვისაგან, ასევე, ბავშვთა შრომის, სექსუალური ძალადობის, წამებისა და ნარკოტიკების მსხვერპლად ქცევის დაუშვებლობა).

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებიდან დაცვის კატეგორიაში შემავალ ყველა უფლებას (ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება, ექსპლუატაციისაგან დაცვის უფლება, ომისა და სიღარიბისაგან დაცვის უფლება), ზემოხსენებულ სხვა კატეგორიებთან შედარებით, ყველაზე მეტი ახალგაზრდა ასახელებს (8,1%). თუმცა აღსანიშნავია, რომ ამავე კატეგორიაში საკმაოდ მაღალია (9,9%) იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც აღნიშნულ კატეგორიაში შემავალ ვერც ერთ უფლებას სწორედ ვერ ასახელებს და ასევე მათი წილი, ვინც თვლის, რომ იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას, თუმცა არ იცის ან უჭირს კონვენციის მოცემულ კატეგორიაში შემავალი უფლებების დასახელება (5,2%). ჩამოთვლილი უფლებებიდან სულ მცირე ორი სწორად დაასახელა ახალგაზრდების 47,9%-მა. ყველაზე მეტმა ახალგაზრდამ (74,8%) მოცემულ კატეგორიაში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება, 45,2%-მა ექსპლუატაციისაგან დაცვის უფლება, ხოლო 39,8%-მა ომისა და სიღარიბისაგან დაცვის უფლება დაასახელა. ამავდროულად, ქალაქ-სოფლის ჭრილშიც დაცვის კატეგორიაში შემავალი უფლებების დასახელების იგივე ტენდენცია ფიქსირდება. უფლებები, რომლებიც არ შედის დაცვის კატეგორიაში (სიცოცხლის და გადარჩენის უფლება და სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება), შესაბამისად 57,2% და 41,2% დაასახელა.

ცხრილი 1.3 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, რომლებმაც განაცხადეს, რომ იცნობენ ბავშვთა უფლებების კონვენციას, კონვენციის დაცვის კატეგორიაში დასახელებული უფლებების მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, %

რეგიონი	ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება	სიცოცხლის და გადარჩენის უფლება	სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება	ექსპლუატაციისაგან დაცვის უფლება	ომისა და სიღარიბისაგან დაცვის უფლება
კახეთი	78.2	58.8	32.9	42.8	40.1
თბილისი	84.3	43.1	32.6	48.7	40.8
შიდა ქართლი	71.5	73.7	63.7	50.0	53.1
ქვემო ქართლი	65.7	53.7	29.8	40.7	29.6
აჭარის ა.რ.	71.5	70.2	36.7	20.4	23.7
სამეგრელო	61.1	51.0	30.7	33.1	29.3
იმერეთი	76.0	48.0	39.5	45.7	35.6
სხვა რეგიონები	79.4	78.3	66.6	61.1	57.7

ამავე საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რადგან კითხვარში დაცვის კატეგორიაში შემავალი უფლებების 5 შესაძლო პასუხიდან სწორი იყო შემდეგი 3: ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება, ექსპლუატაციისაგან დაცვის უფლება, ომისა და სიღარიბისაგან დაცვის უფლება, ახალგაზრდები, რომლებიც 4 ან 5 პასუხს ასახელებდნენ, შეძლებდნენ შემთხვევით სწორი პასუხი გამოეცნოთ. ამის გამოსარიცხად აღებულ იქნა ახალგაზრდების ის რაოდენობა, რომელმაც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა. ამ პრინციპის გათვალისწინებით უფრო დარწმუნებით შეიძლება ითქვას, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან ახალგაზრდები დაცვის კატეგორიაში შემავალ უფლებებზე.

აღსანიშნავია, რომ იმ ახალგაზრდების წილი, ვინც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა, ახალგაზრდებში, რომლებმაც ზოგადად პასუხი გასცეს აღნიშნულ კითხვას, 69% შეადგენს. ქალაქ-სოფლის ჭრილში ეს მაჩვენებელი შესაბამისად არის 73,6% და 64,8%.

დიაგრამა 1.4 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მიერ დაცვის კატეგორიაში დასახელებულ პასუხებში სწორი პასუხების წილი, რეგიონულ ჭრილში, % (იგულისხმებიან ახალგაზრდები,რომლებმაც განაცხადეს, რომ იცნობენ ბავშვის უფლებათა კონვენციას და კონვენციის დაცვის კატეგორიაში დაასახელეს 3 ან ნაკლები პასუხი)



15-29 წლის ახალგაზრდები საქართველოში ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულნი არიან დაცვის კატეგორიაში შემავალ უფლებებზე - დასახელებულ პასუხებს შორის სწორი პასუხების წილი ამ კატეგორიაში ყველაზე დაბალია (64,1%). დაცვის კატეგორიაში, სხვა კატეგორიებთან შედარებით, რეგიონებში დასახელებულ პასუხებს შორის სწორი პასუხების წილი საკმაოდ განსხვავებულ სურათს იძლევა. მოცემულ კატეგორიაში შემავალ უფლებებზე ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულნი არიან შიდა ქართლისა (44,4%) და აჭარის (48,7%) რეგიონებში, ყველაზე მეტად კი – თბილისში (75,4%).

მონაწილეობის კატეგორია მოიცავს უფლებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვებსა და მოზარდებს აქტიურად ჩაებან იმ საზოგადოების შიგნით მიმდინარე პროცესებში, რომელსაც ეკუთვნიან (მაგალითად, გამოხატვის თავისუფლება, ხმის უფლება იმ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე, გაერთიანებებში გაწევრიანების უფლება).

მონაწილეობის კატეგორიაში შემავალ ყველა უფლებას (საკუთარი აზრის ქონის უფლება, შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის უფლება, საჭირო ინფორმაციის მიღების უფლება) საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების ძალიან მცირე ნაწილი იცნობს (2,8%). თუმცა, მოცემულ კატეგორიაში შემავალ სულ მცირე ორ უფლებას ახალგაზრდების 51,9% სწორად ასახელებს. აღსანიშნავია, რომ ამავე კატეგორიაში, ისევე როგორც დაცვის კატეგორიაში, საკმაოდ მაღალია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც მოცემულ კატეგორიაში შემავალ ვერც ერთ უფლებას სწორად ვერ ასახელებს (6,8%) და ასევე მათი წილი, ვინც თვლის, რომ იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას, თუმცა არ იცის ან უჭირს კონვენციის მოცემულ კატეგორიაში შემავალი უფლებების დასახელება (7,4%). იმ ახალგაზრდებიდან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ იცნობენ ბავშვთა უფლებების კონვენციას, მონაწილეობის კატეგორიაში ყველაზე მეტმა, 67,9%-მა, საკუთარი აზრის ქონის უფლება, 58,2%-მა – შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის უფლება და 33,2%-მა – საჭირო ინფორმაციის მიღების უფლება დაასახელა. ამავდროულად, ქალაქ-სოფლის ჭრილშიც მონაწილეობის კატეგორიაში შემავალი უფლებების დასახელების იგივე ტენდენცია ფიქსირდება. უფლებები, რომლებიც არ შედის მონაწილეობის კატეგორიაში (განათლების მიღების უფლება და გონებრივი ან/და ფიზიკური შესაძლებლობების სრულად განვითარების უფლება), რესპოდენტების შესაბამისად 44,2% და 38,4% დაასახელა.

ცხრილი 1.4 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, რომლებმაც განაცხადეს, რომ იცნობენ ბავშვის უფლებათა კონვენციას, კონვენციის მონაწილეობის კატეგორიაში დასახელებული უფლებების მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, %

რეგიონი	საკუთარი აზრის ქონის უფლება	შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის უფლება	განათლების მიღების უფლება	გონებრივი ან/და ფიზიკური შესაძლებლობების სრულად განვითარების უფლება	საჭირო ინფორმაციის მიღების უფლება
კახეთი	63.3	75.2	41.9	46.6	38.9
თბილისი	63.4	64.0	39.9	36.8	29.7
შიდა ქართლი	80.5	60.5	50.2	45.6	42.9
ქვემო ქართლი	52.0	55.1	35.5	31.7	34.9
აჭარის ა.რ.	66.3	57.7	38.1	21.2	14.2
სამეგრელო	69.6	29.9	37.0	30.2	30.5
იმერეთი	63.2	56.5	42.7	38.0	30.2
სხვა რეგიონები	86.0	66.4	63.7	50.8	40.9

ამავე საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ რადგან კითხვარში მონაწილეობის კატეგორიაში შემავალი უფლებების 5 შესაძლო პასუხიდან სწორი იყო შემდეგი 3: საკუთარი აზრის ქონის უფლება, შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის უფლება და საჭირო ინფორმაციის მიღების უფლება, ახალგაზრდები, რომლებიც 4 ან 5 პასუხს ასახელებდნენ, შეძლებდნენ შემთხვევით სწორი პასუხი გამოეცნოთ. ამის გამოსარიცხად აღებულ იქნა ახალგაზრდების ის რაოდენობა, რომელმაც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა. ამ პრინციპის გათვალისწინებით უფრო დარწმუნებით შეიძლება ითქვას, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან ახალგაზრდები მონაწილეობის კატეგორიაში შემავალ უფლებებზე.

აღსანიშნავია, რომ იმ ახალგაზრდების წილი, ვინც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა, ხალგაზრდებში, რომლებმაც ზოგადად პასუხი გასცეს აღნიშნულ კითხვას, 68,1%-ს შეადგენს. ქალაქ-სოფლის ჭრილში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 72,5% და 64%-ია.

დიაგრამა 1.5 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მიერ მონაწილეობის კატეგორიაში დასახელებულ პასუხებში სწორი პასუხების წილი, რეგიონულ ჭრილში, % (იგულისხმებიან ახალგაზრდები, რომლებმაც განაცხადეს, რომ იცნობენ ბავშვის უფლებათა კონვენციას და კონვენციის მონაწილეობის კატეგორიაში დაასახელეს 3 ან ნაკლები პასუხი)



მონაწილეობის კატეგორიაში 15-29 წლის ახალგაზრდების მიერ დასახელებულ პასუხებს შორის სწორი პასუხების წილი 71,1%-ს შეადგენს, რაც დაცვის კატეგორიაში ამავე მაჩვენებელს 7 პროცენტული პუნქტით აღემატება. რეგიონებშიც ამ კატეგორიაზე ინფორმირებულობის დონე თითქმის ანალოგიურია და 68%-74% შორის მერყეობს. თუმცა აღსანიშნავია შიდა ქართლის რეგიონი, სადაც დასახელებულ პასუხებს შორის სწორი პასუხების წილი ყველაზე მაღალია და 81,9%-ს შეადგენს.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებიდან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ იცნობენ ბავშვის უფლებათა კონვენციას, ვერც ერთი ვერ ასახელებს კონვენციაში მოცემულ სიცოცხლის, განვითარების, დაცვის და მონაწილეობის კატეგორიებში შემავალ ყველა უფლებას სწორად. ასევე, საკმაოდ მცირეა იმ ახალგაზრდების რაოდენობა, ვინც ჩამოთვლილი ოთხივე კატეგორიიდან თითოეულში შემავალ სულ მცირე ორ უფლებაზე მაინცაა ინფორმირებული (24,9%).

ბავშვის უფლებათა კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი, ვისაც არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად. საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებიდან, რომლებიც თვლიან, რომ იცნობენ ბავშვის უფლებათა კონვენციას, ასაკი (18 წლამდე), როდესაც მოზარდი ბავშვად ითვლება, 53,8%-მა სწორად დაასახელა, 24,7%-მა დაასახელა ასაკი „16 წლამდე“, 18,5%-მა - „14 წლამდე“, ხოლო იმ ახალგაზრდების რაოდენობა რომლებმაც „21 წლამდე“ დაასახელეს, ძალიან მცირეა და 1,8%-ს შეადგენს. ქალაქ-სოფლის მიხედვითაც ახალგაზრდები, რომლებმაც „18 წელი“ დაასახელეს, უმრავლესობას წარმოადგენენ, შესაბამისად ქალაქში ახალგაზრდების 48,5%, ხოლო სოფელში - 58,7%. საინტერესოა, რომ ქალაქში სოფელთან შედარებით 14 და 16 წლამდე მოზარდს ბავშვად ახალგაზრდების უფრო მეტი რაოდენობა თვლის. საქართველოში 15-18 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა (62,9%), რომლებიც თვლიან, რომ იცნობენ ბავშვის უფლებათა კონვენციას, მოზარდს ბავშვად 18 წლამდე მიიჩნევენ, ხოლო ამ ასაკის ახალგაზრდების 18.6% და 16.6% მოზარდს ბავშვად შესაბამისად 16 წლამდე და 14 წლამდე თვლის.

დიაგრამა 1.6 საქართველოში 15-29 წლის იმ ახალგაზრდების განაწილება, ვინც განაცხადა, რომ იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას და დაასახელა ასაკი, სანამდეც მოზარდი ითვლება ბავშვად, რეგიონულ ჭრილში, %



გამოკლევამ აჩვენა, რომ საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების ძალიან მცირე რაოდენობა (5,6%) იცნობს ყველა ჩამოთვლილ (იგულისხმება კითხვარში ჩამოთვლილი 5 დოკუმენტიდან 3, რომელიც შეესაბამებოდა სიმართლეს) დოკუმენტს, რომელშიც წარმოდგენილია მოქალაქის უფლებები და მოვალეობები, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებათა კონვენცია და საქართველოს კონსტიტუცია. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების 26.2%-ს შეუძლია მაინც სწორად დაასახელოს მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შემცველი ორი დოკუმენტი მაინც. საქართველოში ახალგაზრდების უმრავლესობამ (48,7%) იცის, რომ მოქალაქის უფლებები და მოვალეობები საქართველოს კონსტიტუციაშია აღწერილი, 44,.0%-მა – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ხოლო 16,1%-მა – ბავშვის უფლებათა კონვენციაში. მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შემცველ დოკუმენტებს არ იცნობს ან უჭირს დასახელება 15-29 წლის ახალგაზრდების 22,7%, ხოლო ვერც ერთ დოკუმენტს სწორედ ვერ ასახელებს ახალგაზრდების ძალიან მცირე რაოდენობა (2,7%).

ცხრილი 1.5 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შემცველი დოკუმენტების ცნობის მიხედვით, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %

	ქალაქი	სოფელი	საქართველო
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია	48.0	39.5	44.0
ბავშვის უფლებათა კონვენცია	14.5	17.8	16.1
უფლებათა ბილი ადამიანისათვის ბუნებით მინიჭებული თავისუფლებების შესახებ	7.2	8.5	7.8
საქართველოს კონსტიტუცია	49.8	47.5	48.7
კიოტოს პროტოკოლი	0.7	1.4	1.0
არც ერთი ჩამოთვლილთაგან	1.3	0.4	0.9
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	17.1	29.1	22.7

ამავე საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რადგან კითხვარში მოცემულ მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შემცველ დოკუმენტებზე 5 შესაძლო პასუხიდან სწორი იყო შემდეგი 3: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებათა კონვენცია და საქართველოს კონსტიტუცია, ახალგაზრდები, რომლებიც 4 ან 5 პასუხს ასახელებდნენ, შეძლებდნენ შემთხვევით სწორი

პასუხი გამოეცნოთ. ამის გამოსარიცხად აღებულ იქნა ახალგაზრდების ის რაოდენობა, რომელმაც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა. ამ პრინციპის გათვალისწინებით უფრო დარწმუნებით შეიძლება ითქვას, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან ახალგაზრდები დოკუმენტებზე, რომლებიც მოქალაქის უფლებებსა და მოვალეობებს მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ იმ ახალგაზრდების წილი, ვინც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა, ახალგაზრდებში, რომლებმაც ზოგადად პასუხი გასცეს აღნიშნულ კითხვას, 74%-ს შეადგენს. თუმცა ეს განპირობებულია იმით, რომ ახალგაზრდების 22,7%-ს უჭირს მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემა.

დიაგრამა 1.7 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მიერ მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შემცველ დოკუმენტებზე დასახელებული სწორი პასუხების წილი, რეგიონულ ჭრილში, % (იგულისხმებიან ახალგაზრდები, ვინც 3 ან ნაკლები პასუხი დააფიქსირა)



შეიძლება ითქვას, რომ 15-29 წლის ახალგაზრდებს მართალია საკმაოდ გაუჭირდათ მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შემცველი დოკუმენტების დასახელება, მაგრამ მათგან, ვინც სამი ან ნაკლები დოკუმენტი დაასახელა, აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნულ საკითხზე ინფორმირებულია, რისი დადასტურებაც შეგვიძლია იმით, რომ მთლიანად დასახელებული პასუხებიდან სწორი პასუხების წილი 94,3%-ს შეადგენს. აღნიშნულ საკითხზე თითქმის ანალოგიური სიტუაცია ფიქსირდება რეგიონებშიც, სადაც სწორი პასუხების წილი 93%-ს აღემატება. თუმცა, გამონაკლისია აჭარის რეგიონი, სადაც დასახელებულ პასუხებს შორის სწორი პასუხების წილი ყველაზე დაბალია და 82,5%-ს შეადგენს.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ მოსაზრებებიდან საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდები ყველაზე მეტად ეთანხმებიან[5] დებულებას, რომლის მიხედვითაც *„ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება“* (98,9%). ქვეყნის მასშტაბით ყველა რეგიონში ამ მოსაზრებას ახალგაზრდების 97%-ზე მეტი ეთანხმება, ხოლო კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში – ახალგაზრდების 100%.

ცხრილი 1.6 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების წილი, რომლებიც ეთანხმებიან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ მოცემულ მოსაზრებებს, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %

	ქალაქი	სოფელი	საქართველო

[5]აქ და შემდგომ პასუხები „სრულიად არ ვეთანხმები“ და „უფრო არ ვეთანხმები“, გაერთიანებულია ერთ პასუხად – „არ ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „სრულიად ვეთანხმები“ და „უფრო ვეთანხმები“, გაერთიანებულია ერთ პასუხად – „ვეთანხმები“.

ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება	98.5	99.3	98.9
არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას	96.8	96.0	96.4
ყველა ადამიანს აქვს უფლება არავინ აიძულებდეს შრომას	92.2	92.2	92.2
ყველა ადამიანს აქვს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება	95.5	97.3	96.3
ყველა ადამიანს აქვს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება	95.3	94.5	94.9
ყველა ადამიანს აქვს უფლება არ გაასამართლონ კანონის გარეშე	91.9	89.3	90.7
ყველა ადამიანს აქვს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება	98.7	96.4	97.6
ყველა ადამიანს აქვს აზრის გამოხატვის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება	94.1	93.4	93.8
ყველა ადამიანს აქვს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება	77.3	83.5	80.2
ყველა ადამიანს აქვს ქორწინების უფლება	65.9	81.4	73.2
ყველა ადამიანს აქვს განქორწინების უფლება	86.6	85.2	85.9
ყველა ადამიანს აქვს უფლება არ განიცდიდეს რაიმე ნიშნით (ეთნიკური, სქესი, ასაკი, რელიგია, ა.შ.) დისკრიმინაციას	83.3	84.7	84.0
ყველა უფლება თანაბრად მნიშვნელოვანია და არ ენიჭება უპირატესობა რომელიმე სხვა უფლებასთან შედარებით	71.8	73.8	72.8

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების 97,6% ეთანხმება *პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.* ყველა რეგიონში ახალგაზრდების 96%-ზე მეტი ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ეს მაჩვენებელი 100% შეადგენს.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ მოსაზრებებიდან შემდეგ ორს: „არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას“ და „ყველა ადამიანს აქვს თავისუფლებისა დახელშეუხებლობის უფლება“ საქართველოში 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების თითქმის თანაბარი რაოდენობა ეთანხმება, შესაბამისად 96,4% და 96,3%. რეგიონებში ეს მაჩვენებელი დიდად არ განსხვავდება, თუმცა აღსანიშნავია მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, სადაც თანხმობა იმაზე, რომ არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ახალგაზრდების 100% დააფიქსირა, ამისგან განსხვავებით, ქვემო ქართლის რეგიონში მოცემულ მოსაზრებას დანარჩენ რეგიონებთან შედარებით ახალგაზრდების ყველაზე დაბალი წილი (89%) ეთანხმება.

თანხმობას მოსაზრებაზე, რომლის მიხედვითაც, „ყველა ადამიანს აქვს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება“, საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების 94,9% აცხადებს. რეგიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი 92%-ზე მაღალია, გარდა ქვემო ქართლის რეგიონისა, სადაც თანხმობა მოცემულ მოსაზრებაზე ახალგაზრდების 87,3%-მა დააფიქსირა.

მოსაზრებას, რომ „ყველა ადამიანს აქვს გამოხატვის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება“, საქართველოში 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების 93,8% ეთანხმება. ყველა რეგიონში ამ მოსაზრებაზე თანახმა ახალგაზრდების წილი 90%-ზე მაღალია, გამონაკლისია იმერეთის რეგიონი, სადაც ახალგაზრდების 83,8% ეთანხმება მოცემულ დებულებას.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების 92,2% ეთანხმება მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „ყველა ადამიანს აქვს უფლება არავინ აიძულებდეს შრომას“. რეგიონებში ახალგაზრდების 91%-ზე მეტი ეთანხმება მოცემულ დებულებას, თუმცა გამონაკლისია ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები, სადაც მოცემულ მოსაზრებაზე ახალგაზრდების თანხმობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, შესაბამისად 84,6% და 85,1% ფიქსირდება. ამასთან, აღნიშნულ მოსაზრებაზე თანხმობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში აღინიშნება, სადაც თანხმობას ახალგაზრდების 100% აცხადებს.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ მოსაზრებებიდან დებულებას, რომლის მიხედვითაც „ყველა ადამიანს აქვს უფლება არ გაასამართლონ კანონის გარეშე“, საქართველოში 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების 90,7% ეთანხმება. ეს მაჩვენებელი რეგიონებში განსხვავდება, კერძოდ, ქვემო ქართლის რეგიონში ახალგაზრდების მხოლოდ 76,8% ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას. ამ რეგიონში დანარჩენ რეგიონებთან შედარებით ახალგაზრდების ყველაზე მაღალმა პროცენტმა (15,2%) დააფიქსირა, რომ არ ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას. ასევე, აღნიშნულ მოსაზრებაზე ახალგაზრდების შედარებით ნაკლებმა წილმა დააფიქსირა თანხმობა სამცხე-ჯავახეთის (85,4%), აჭარისა (86,5%) და გურიის (88,2%) რეგიონებში, ხოლო თანხმობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (98,5%). დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი 89%-96%-ს შორის მერყეობს.

„ყველა ადამიანს აქვს განქორწინების უფლება“ – მოცემულ მოსაზრებას საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების 85,9% ეთანხმება. განსხვავებული სურათია რეგიონებში. აღსანიშნავია სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, სადაც მოცემულ მოსაზრებას ახალგაზრდების მხოლოდ 60,2% ეთანხმება, ხოლო 37,2% არ ეთანხმება. ქვემო ქართლსა (77,2%) და იმერეთის რეგიონებში (77,3%) ახალგაზრდების მოცემულ დებულებაზე თანხმობის შედარებით დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდება, ასევე შედარებით დაბალია მაჩვენებელი კახეთის რეგიონში (84,7%). დანარჩენ რეგიონებში ახალგაზრდების 90%-96% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ყველა ადამიანს აქვს განქორწინების უფლება.

მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „ყველა ადამიანს აქვს უფლება არ განიცდიდეს რაიმე ნიშნით (ეთნიკური, სქესი, ასაკი, რელიგია, ა.შ.) დისკრიმინაციას“, საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების 84,0% ეთანხმება. რეგიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი განხვავდება. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც ახალგაზრდების მხოლოდ 70,5% ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას, ხოლო 11,0% არ ეთანხმება, ასევე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება იმერეთის რეგიონში, სადაც ახალგაზრდების 76,1% აფიქსირებას თანხმობას მოცემულ მოსაზრებაზე. დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი 80-87% შორის მერყეობს, გარდა კახეთის (93,7%), სამეგრელოსა (97,0%) და მცხეთა-მთიანეთის (97,9%) რეგიონებისა, სადაც თანხმობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებია.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ მოსაზრებებიდან დებულებას, რომლის მიხედვითაც „ყველა ადამიანს აქვს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება“ საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების 80,2% ეთანხმება. ქალაქ-სოფლის ჭრილში ეს მონაცემი განსხვავდება, ქალაქში ახალგაზრდების 77,3% ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას, სოფელში კი ეს მაჩვენებელი 83,5%-ს შეადგენს. რეგიონულ ჭრილშიც განსხვავებული სურათია. იმ ახალგაზრდები წილი, ვინც აფიქსირებს თანხმობას ყველა ადამიანის შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებაზე, ყველაზე დაბალია იმერეთის რეგიონში და 63,1%-ს შეადგენს, მომდევნო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 69,6% ქვემო ქართლის რეგიონშია, დანარჩენ რეგიონებში ეს მნიშვნელობა 79-82%-ს შორის მერყეობს. ახალგაზრდების მაქსიმალური წილი, რომელმაც დააფიქსირა თანხმობა აღნიშნულ მოსაზრებაზე, რეგიონების მიხედვით აჭარასა (93,4%) და მცხეთა-მთიანეთში (98,1%) ფიქსირდება.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებში ყველაზე მეტი განსხვავებული პასუხი ფიქსირდება დებულებაზე „ყველა ადამიანს აქვს ქორწინების უფლება“. მოცემულ მოსაზრებაზე თანხმობა საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდების მხოლოდ 73,2% დააფიქსირა. მოსაზრებებს შორის მოცემულ დებულებას ყველაზე მეტი – 20,2% ახალგაზრდა არ ეთანხმება (სრულიად არ ეთანხმება 11,7% და უფრო არ ეთანხმება 8,6%). ქალაქ-სოფლის ჭრილშიც ყველაზე განსხვავებული სიტუაცია ამ დებულებაზე ფიქსირდება. ქალაქში ახალგაზრდების მხოლოდ 65,9% ეთანხმება იმას, რომ ყველა ადამიანს აქვს ქორწინების უფლება, მაშინ როცა სოფელში ეს მნიშვნელობა 81,4% აღწევს. რეგიონების მიხედვით გამოირჩევა იმერეთის რეგიონი, სადაც ახალგაზრდების ყველაზე მაღალი წილი. კერძოდ, 53,3%, აცხადებს, რომ არ ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას. სიდიდით მეორე

ყველაზე მაღალი წილი ახალგაზრდებისა, რომლებიც არ ეთანხმებიან ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, ფიქსირდება თბილისში 26,7%, ასევე ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში – შესაბამისად 18,3% და 13,3%. დანარჩენ რეგიონებში ახალგაზრდების 90%-ზე მეტი დებულებას ეთანხმება.

„ყველა უფლება თანაბრად მნიშვნელოვანია და არ ენიჭება უპირატესობა რომელიმე სხვა უფლებასთან შედარებით“. ამ მოსაზრებას საქართველოში ახალგაზრდების ყველაზე ნაკლები წილი ეთანხმება (72,8%), ყველაზე მაღალი წილი კი (11,5%) აფიქსირებს ნეიტრალურ პასუხს.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 11,6% იცის ყველა [6] ჩამოთვლილი მოქალაქეობრივი მოვალეობა, კერძოდ, კანონმორჩილება, გადასახადების გადახდა და არჩევნებში მონაწილეობა. მათგან 6,2% ქალაქში, ხოლო 5,4% სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები არიან. საქართველოში ახალგაზრდების ძალიან მცირე წილი სწორად ვერ ასახელებს ვერც ერთ თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას (5,1%). ასევე არ იცის ან უჭირს მათი დასახელება ახალგაზრდების 1,5%, ხოლო უმრავლესობამ (68,2%) სულ მცირე ორი მოვალეობა მაინც იცის.

ცხრილი 1.7 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება მათ მიერ დასახელებული მოქალაქეობრივი მოვალეობების მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, %

რეგიონი	კანონმორჩილება	განათლების მიღება	არჩევნებში მონაწილეობა	შეხედულებების ღიად გამოხატვა	გადასახადების გადახდა
კახეთი	90.5	59.2	63.2	35.0	69.1
თბილისი	91.4	56.9	57.9	33.2	69.8
შიდა ქართლი	77.9	56.0	54.3	38.3	60.5
ქვემო ქართლი	87.7	77.6	50.3	44.6	42.6
სამცხე-ჯავახეთი	89.7	83.0	64.3	52.2	52.2
აჭარის ა.რ.	87.8	70.6	54.3	41.1	58.8
გურია	81.0	51.3	65.9	24.6	55.0
სამეგრელო	95.0	39.1	55.1	17.8	45.0
იმერეთი	86.2	66.2	56.3	39.5	46.8
მცხეთა-მთიანეთი	97.8	42.4	81.1	48.1	85.7
საქართველო	**88.9**	**61.1**	**57.5**	**36.3**	**58.2**

საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდების ყველაზე დიდი წილი (88,9%) თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად კანონმორჩილებას მიიჩნევს. ამ მხრივ ქალაქ-სოფლის ჭრილშიც ანალოგიური სურათი ფიქსირდება, შესაბამისად 8,.7% და 88,1%. რაც შეეხება რეგიონულ ჭრილს, აღსანიშნავია შიდა ქართლის და გურიის რეგიონები, სადაც ახალგაზრდების შესაბამისად 77,9% და 81,0% მიიჩნევს კანონმორჩილებას საკუთარ მოქალაქეობრივ მოვალეობად, რაც რეგიონებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. დანარჩენი რეგიონების მაჩვენებლები 86-98% ინტერვალშია მოქცეული.

ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდების სიდიდით მომდევნო ყველაზე მაღალი წილი თვლის, რომ მათ მოქალაქეობრივ მოვალეობებში განათლების მიღება შედის. ქალაქში ასე ახალგაზრდების 62,4%, ხოლო სოფელში 59,6% მიიჩნევს. რეგიონების მიხედვით განსხვავებული სიტუაციაა, სამეგრელოსა (39,1%) და მცხეთა-მთიანეთის (42,4%) რეგიონებში ახალგაზრდების ყველაზე ნაკლები წილი თვლის განათლების მიღებას თავის

[6] კითხვარში ჩამოთვლილი იყო ხუთი დებულება, რომელთაგან მხოლოდ სამი იყო სწორი.

მოქალაქეობრივ მოვალეობად, ხოლო სამცხე-ჯავახეთსა (83,0%) და ქვემო ქართლში (77,6%) ამ მხრივ საპირისპირო მდგომარეობაა.

საინტერესოა, რომ არჩევნებში მონაწილეობას ახალგაზრდების მხოლოდ 57,5% თვლის საკუთარ მოქალაქეობრივ მოვალეობად. ქალაქ-სოფლის ჭრილში ეს მაჩვენებელი დიდად არ განხვავდება და შესაბამისად 58,3% და 56,6% შეადგენს. რეგიონების მიხედვით არჩევნებში მონაწილეობას მოქალაქეობრივ მოვალეობად ახალგაზრდების ყველაზე მაღალი წილი (81,1%) მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, ხოლო ყველაზე დაბალი (50,3%) – ქვემო ქართლის რეგიონში მიიჩნევს.

გადასახადების გადახდას ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდების 58,2% თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლის. ქალაქ-სოფლის ჭრილში გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით ყველაზე დიდი განსხვავება დაფიქსირდა. გადასახადების გადახდას თავის მოვალეობად ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 62,1%, ხოლო სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების 53,7% ასახელებს.

ამავე საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რადგან კითხვარში მოქალაქეობრივ მოვალეობებზე მოცემული 5 შესაძლო პასუხიდან სწორი იყო შემდეგი 3: კანონმორჩილება, არჩევნებში მონაწილეობა და გადასახების გადახდა, ახალგაზრდები, რომლებიც 4 ან 5 პასუხს ასახელებდნენ, შეძლებდნენ შემთხვევით სწორი პასუხი გამოეცნოთ. ამის გამოსარიცხად აღებულ იქნა ახალგაზრდების ის რაოდენობა, რომელმაც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა. ამ პრინციპის გათვალისწინებით უფრო დარწმუნებით შეიძლება ითქვას, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან ახალგაზრდები ჩამოთვლილ მოქალაქეობრივ მოვალეობებზე.

აღსანიშნავია, რომ იმ ახალგაზრდების წილი, ვინც 3 ან ნაკლები პასუხი დაასახელა, ახალგაზრდებში, რომლებმაც ზოგადად პასუხი გასცეს აღნიშნულ კითხვას, 61,2% შეადგენს.

დიაგრამა 1.8 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მიერ დასახელებულ მოქალაქეობრივ მოვალეობებში სწორი პასუხების წილი რეგიონულ ჭრილში, % (იგულისხმებიან ახალგაზრდები, ვინც 3 ან ნაკლები პასუხი დააფიქსირა)



საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდები გარკვეულწილად ინფორმირებული არიან თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობებზე, რაც გამოიხატება იმით, რომ მოქალაქეობრივ მოვალეობებზე დასახელებულ პასუხებს შორის სწორი პასუხების წილი 74,3%-ია. რეგიონებში ეს მაჩვენებელი საკმაოდ განსხვავებულია. სამეგრელოს რეგიონში სწორი პასუხების წილი ყველაზე მაღალია და 84,1%-ს შეადგენს. საპირისპირო სიტუაციაა ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც სწორი პასუხების წილი მხოლოდ 59,8%-ს შეადგენს. აჭარასა და იმერეთის რეგიონებში აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის თანაბარია, შესაბამისად 67,6% და 67,3%, ხოლო დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი 71%-ს აღემატება.

4.2 ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

საქართველოში ახალგაზრდების უმრავლესობა (90,4%) თვლის, რომ ახალგაზრდებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც მათ ეხება. ქალაქ-სოფლის ჭრილში ეს მაჩვენებელი თითქმის თანაბარია და 90-91% შეადგენს. რეგიონულ ჭრილში აღსანიშნავია მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, სადაც თითქმის ყველა ახალგაზრდა თვლის, რომ უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც მათ ეხება.

დიაგრამა 1.9 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც მათ ეხება, რეგიონულ და სქესის ჭრილში, %



გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 10,9% მიიღო მონაწილეობა. ქალაქ-სოფლის ჭრილში თითქმის თანაბარი სიტუაცია გვევლინება. ამ პროცესში ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ 10,1%, ხოლო სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების 11.9% ღებულობდა მონაწილეობას. რეგიონებიდან აღსანიშნავია სამეგრელოსა და თბილისის რეგიონები, სადაც გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა ძალიან დაბალი იყო. სქესის მიხედვით ამ პროცესებში ახალგაზრდა ქალებისა და კაცების შესაბამისად 10,4% და 11,5% იღებდა მონაწილეობას.

დიაგრამა 1.10 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება გასული 12 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობის მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, %



დიაგრამა 1.11 ცხადყოფს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მათგან, ვინც ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობდა, უმრავლესობა (50.8%) აღნიშნულ პროცესში ნაწილობრივ იყო ჩართული. ახალგაზრდების მხოლოდ 37.6% სრულად იღებდა მონაწილეობას, ხოლო 11,5% ფორმალურად იყო ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დიაგრამა 1.11 საქართველოში 15-29 წლის იმ ახალგაზრდების განაწილება, რომლებმაც გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რეგიონულ ჭრილში, %



ინტერნეტ-სივრცეს საკუთარი აზრის გამოსახად პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 23,0% იყენებს.

დიაგრამა 1.12 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდები ს განაწილება იმის მიხედვით, იყენებენ თუ არა ინტერნეტ–სივრცეს საკუთარი აზრის გამოსახატად პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით, რეგიონულ ჭრილში, %



საკუთარი აზრის გამოსახატად ინტერნეტ სივრცეს საქართველოში ახალგაზრდა ქალების 23,4% და მამაკაცების 22,6% იყენებს. რეგიონების მიხედვით გამოირჩევა თბილისი, სადაც ახალგაზრდების 31,6% იყენებს ინტერნეტ სივრცეს საკუთარი აზრის გამოსახატად, თუმცა ამის ახსნა იმითაც შეიძლება, რომ თბილისში ახალგაზრდებს ინტერნეტთან წვდომის მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ, ვიდრე სხვა რეგიონებში.

დიაგრამა 1.13 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, რომლებიც ონლაინ სივრცეს საკუთარი აზრის გამოსახატად იყენებენ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ-სოფლისა და სქესის ჭრილში, %



როგორც ანგარიშის დასაწყისშია აღნიშნული, საველე კვლევა ჩატარდა 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. კვლევის განმავლობაში გამოიკითხნენ ახალგაზრდები, რომელთა ასაკი იმ დროისათვის იყო 15-29 წელი. ბუნებრივია, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ იმ დროისთვის 18 წელზე უმცროსი ასაკის ახალგაზრდები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპარლამენტო არჩევნებში ახალგაზრდების ჩართვის ხარისხის გაანალიზებისათვის მხედველობაში იქნა მიღებული მხოლოდ იმათი პასუხები, რომლებსაც 2012 წლის 1 ოქტომბრისათვის უკვე შესრულებული ჰქონდათ 18 წელი და იყვნენ კვლევის რესპონდენტები. ამრიგად, 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მონაცემებით, საქართველოში 19-29 წლის ასაკის ახალგაზრდებიდან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 71,3%, 26,5% კი დააფიქსირა, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. აღსანიშნავია, რომ ქალაქში იმ ახალგაზრდების წილი, რომლებსაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა 28,1%-ს, ხოლო იგივე მაჩვენებელი სოფლად 24,4%-ს შეადგენს.საკმაოდ დაბალია (2,2%) იმათი წილი, ვინც ამ კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა.

დიაგრამა 1.14 საქართველოში 19-29 წლის ახალგაზრდების განაწილება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიხედვით, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %



19-29 წლის ახალგაზდებიდან, რომლებმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში არ მიიღეს მონაწილეობა, 15,8%-ს ქალები, ხოლო 10,7%-ს კაცები შეადგენენ.

დიაგრამა 1.15 საქართველოში 19-29 წლის ახალგაზრდების განაწილება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიხედვით, ქალაქ-სოფლის და სქესის ჭრილში, %



რეგიონების მიხედვით 19-29 წლის ახალგაზრდებიდან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ყველაზე ნაკლებად მიიღეს მონაწილეობა კახეთსა (33,7%) და შიდა ქართლში (31,0%) მცხოვრებმა ახალგაზრდებმა.

დიაგრამა 1.16 საქართველოში 19-29 წლის ახალგაზრდების განაწილება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, %



4.3 მოხალისეობა

მოხალისეობრივ აქტივობებში[7] საქართველოში და/ან საზღვარგარეთ 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 11,9%-მა მიიღო მონაწილეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში. ქალაქ-სოფლის ჭრილში ეს მაჩვენებელი დიდად არ განსხვავდება, შესაბამისად, 12,7% და 11,0%.

დიაგრამა 1.17 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება გასული 12 თვის განმავლობაში საქართველოში და/ან საზღვარგარეთ მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობის მიხედვით, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %



გასულ 12 თვეში საქართველოსა და/ან საზღვარგარეთ მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართული ახალგაზრდების უმრავლეობა (28,0%) გარემოს დაცვაში იღებდა მონაწილეობას. თუმცა, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში გასულ 12 თვეში მოხალისეობრივი საქმიანობებით დაკავებულ ახალგაზრდებს შორის ყველაზე ხშირი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დახმარება იყო. სპორტით, როგორც

[7] არ იგულისხმება ოჯახის ან ახლობლების სასარგებლოდ ფინანსური ან მატერიალური სარგებლით მოტივირებული გარკვეული საქმიანობის განხორციელება.

მოხალისეობრივი საქმიანობით, გასულ 12 თვეში ახალგაზრდების 20,5% იყო დაკავებული. სხვა მოხალისეობრივ აქტივობებში ახალგაზრდების ძალიან მცირე რაოდენობა იყო ჩართული. ამ მაჩვენებლის ქალაქ-სოფლის ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ ქალაქში მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართული ახალგაზრდების უმრავლესობა (30,1%) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დახმარებით იყო დაკავებული, ხოლო სოფლად – გარემოს დაცვითი საქმიანობით (34,4%).

დიაგრამა1.18 საქართველოში მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართული 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება ყველაზე ხშირად დასახელებული მოხალისეობრივი აქტივობის სფეროს მიხედვით, %



4.4 კულტურა, შემოქმედებითისაქმიანობა და დასვენება

გასული 12 თვის განმავლობაში საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 12,1% იღებდა მონაწილეობას შემოქმედებით-სამოყვარულო[8] ხელოვნების ღონისძიებებში, მათგან 6.8% ქალი, ხოლო 5.3% კაცი იყო. ქალაქ-სოფლის ჭრილშიც მსგავსი სიტუაცია ფიქსირდება, ქალაქში ახალგაზრდების 87,3%, ხოლო სოფელში 88,6% არ იყო ჩართული მსგავსი სახის ღონისძიებებში ბოლო 12 თვის მანძილზე. ყველაზე აქტიურად ახალგაზრდები ცეკვისა (5,7%) და სიმღერის (3,6%) ღონისძიებებში იყვნენ ჩართულნი.

გასული 12 თვის განმავლობაში საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდები მოხალისეობრივ და შემოქმედებით-სამოყვარულო ღონისძიებებთან შედარებით აქტიურად მონაწილეობდნენ კულტურულ ღონისძიებებში (57,4%). ბუნებრივია, რომ ქალაქ-სოფლის ჭრილში კულტურულ ღონისძიებებზე დამსწრე ახალგაზრდების რაოდენობა საკმაოდ განსხვავებულია, ქალაქში გასულ წელს ახალგაზრდების 72,1% ერთხელ მაინც დაესწრო კულტურულ ღონისძიებას, ხოლო სოფელში ეს მაჩვენებელი 40,6% უდრის.

დიაგრამა 1.19 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება გასული 12 თვის განმავლობაში კულტურულ ღონისძიებებზე დასწრების მიხედვით, %

[8] იგულისხმება მაყურებლის წინაშე განხორციელებული ან მომხმარებლისთვის განკუთვნილი აქტივობა - სცენაზე, გამოფენებისთვის, მკითხველისთვის და ა.შ. (მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, სიმღერა, ცეკვა, როლის შესრულება, მხატვრული ნაწარმოების დაწერა, ფოტოგრაფია, ფილმის გადაღება)



საქართველოში 2013 წელს ახალგაზრდების უმრავლესობა (28.8%) კონცერტზე დადიოდა. ამ ღონისძიებას სხვა ქალაქებსა (36,3%) და სოფლებშიც (25,6%) ყველაზე მეტი ახალგაზრდა ესწრებოდა, თუმცა გამონაკლისია თბილისი, სადაც კულტურული ღონისძიებების უფრო დიდი არჩევანია და ბუნებრივია, სხვა ქალაქებსა და სოფლებთან შედარებით აქ ახალგაზრდების უმრავლესობა (63,4%) კინოსა და თეატრში დადიოდა (36,5%).

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში 2013 წელს საქართველოში ახალგაზრდების ძალიან მცირე რაოდენობა (12,4%) იღებდა მონაწილეობას. ეს ღონისძიებები უმეტესად ძეგლების შესახებ ინფორმაციის მიღებასთან იყო დაკავშირებული (9,4%).

დიაგრამა 1.20 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება გასული 12 თვის განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიხედვით, %



4.5 ახალგაზრდული ინიციატივები

საქართველოში2012 წლის იანვრიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საქართველოს მასშტაბით 82 პროექტი იყო შეტანილი, მათგან სპორტისა და ახალგაზრობის სამინისტრომ მხარი დაუჭირა 16 პროექტს. რეგიონების მიხედვით ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ ინიცირებული და შეტანილი პროექტების უმრავლესობა თბილისში იყო. სულ საქართველოს მასშტაბით იმავე პერიოდში ამ პროექტებში 15-29 წლის ასაკის 860 ბენეფიციარი მონაწილეობდა.

ცხრილი 1.8 სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შესული პროექტების სრული რიცხვი და მხარდაჭერილი პროექტებისა და ბენეფიციარების რაოდენობა რეგიონულ ჭრილში, ერთეული (2012წლის იანვრიდან2013 წლის ივნისის ჩათვლით)

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა-მთიანეთი
პროექტების რაოდენობა, რომლებიც ინიცირებული და შეტანილია ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში	6	31	5	6	7	4	3	6	9	5
მათ შორის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა	1	6	0	0	2	1	0	1	2	3
მხარდაჭერილი პროექტების 15-29 წლის ბენეფიციართა რაოდენობა		120			320			300	120	

წყარო: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

5. ნაწილი II. განათლება და დასაქმება

5.1 განათლება

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში განათლების სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც საქართველოში მიმდინარე მთელ რიგ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას და საბოლოოდ, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციასა და ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციას უკავშირდება. ბოლონიის პროცესის წევრი საქართველო 2005 წლის მაისში გახდა. ამის შემდეგ შეიცვალა სისტემის მართვის, დაფინანსებისა და ხარისხის მართვის მოდელები, აგრეთვე განათლების სისტემის სტრუქტურა.

საქართველოს განათლების სისტემის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია:

ა) სკოლამდელი განათლება;

ბ) ზოგადი განათლება, რომელიც მოიცავს დაწყებით, საბაზო და საშუალო განათლებას;

გ) პროფესიული განათლება;

დ) სამსაფეხურიანი უმაღლესი აკადემიური განათლება.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა საქართველოში მოიცავს 12 წელს, რომელთაგან სავალდებულოდ ითვლება 9 წელი (6 წელი დაწყებითი და 3 წელი საბაზო განათლება (საბაზო საფეხური).ზედა საშუალო საფეხური გრძელდება 3 წელი და მოიცავს მეათე-მეთორმეტე კლასებს. დაწყებით სკოლაში მიიღებიან 6 წლის მოსწავლეები. კანონით დადგენილი წესით ზოგად განათლებას სახელმწიფო აფინანსებს.

საბაზო განათლების დასრულების შემდეგ მოსწავლეს საწყისი პროფესიული განათლების (VET) მიღების საშუალება ეძლევა.

უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელ პირობას წარმოადგენს საშუალო სკოლის დამთავრება. უმაღლესი განათლების სისტემა შედგება 3 საფეხურისგან – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. უმაღლესი პროფესიული განათლება წარმოადგენს ე.წ. მოკლე ციკლს, ანუ ბაკალავრიატის ქვესაფეხურს.

5.1.1 განათლების მიღწეული დონე

საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის უმრავლესობას (41,5%), მათ შორის 15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობას (40,0%) მიღებული აქვს მხოლოდ ზოგადი საშუალო განათლება. როგორც ჩანს, პროფესიული განათლება შედარებით არაპოპულარულია ახალგაზრდებში; უმაღლესი განათლება მიღებული აქვს მთლიანად ახალგაზრდების 1/5-ზე მეტს (21,6%), ხოლო პროფესიული განათლება – ახალგაზრდების 1/10-ზე ოდნავ მეტს (11,0%). განათლების მიღწეული დონე შედარებით მაღალია ქალაქში და ქალთა სქესის წამომადგენლებში. უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 29,7%-ს, რაც 2,4-ჯერ აღემატება სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ანალოგიურ მაჩვენებელს (12,3%). იგივე მაჩვენებელი სქესის მიხედვით ასე ნაწილდება – უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ახალგაზრდა ქალების 22,7% და კაცების 20,4%-ს.

15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების 21,1% სწავლობს ზოგადსაგანანათლებლო დაწესებულებებში. მათი ასაკი 15-დან 19 წლამდე მერყეობს, აქედან კაცების რაოდენობა 2,4 პროცენტული პუნქტით მეტია ქალების რაოდენობაზე. ახალგაზრდების 52,3%, რომელიც ზოგადსაგანანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები არიან. ახალგაზრდების 10,1% სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თუ გავითვალისწინებთ სქესს, ვნახავთ, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს ახალგაზრდა ქალების 11,5% და ახალგაზრდა მამაკაცების 8,7%. 15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა (66,9%) არ დადის არც ერთ საგანმანათლებო დაწესებულებაში.

როგორც ცხრილი 2.1-დან ჩანს, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის უმრავლესობას (41,5%) მიღწეული აქვს საშუალო ზოგადი განათლების დონე, უმაღლესი განათლება მიღებული აქვს მოსახლეობის ¼-ზე მეტს (26,3%). მოსახლეობის მცირე ნაწილს (10,8%) მიღებული აქვს მხოლოდ დაწყებითი ან საბაზო განათლება. მაგთან 1/3 (33,3%) არის 30 წლის და უფროსი ასაკი მოსახლეობა. სქესის ჭრილში, როგორც ქალების, ასევე მამკაცების უმრავლესობისათვის განათლების მიღწეული დონე საშუალო ზოგადი განათლებაა, თუმცა კაცებში აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალია (43,6%), ვიდრე ქალებში (39,6%). რაც შეეხება უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულებს, პროცენტულად ქალების მცირედით მეტ ნაწილს აქვს დამთავრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ვიდრე კაცების – შესაბამისად, ქალების 26,9% და კაცების 25,6%-ს. ამის მსგავსად, პროფესიული (დაწყებითი პროფესიული, სახელობო, საშუალო ან უმაღლესი პროფესიული) განათლებაც ქალების შედარებით მეტ წილს აქვს მიღებული, ვიდრე კაცების.

ცხრილი 2.1 საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით, %

განათლების დონე	ქალი	კაცი	სულ

დაწყებითი ან საბაზო	10.6	11.1	10.8
საშუალო ზოგადი	39.6	43.6	41.5
დაწყებითი პროფესიული, სახელობო	1.9	3.2	2.5
საშუალოან უმაღლესი პროფესიული	19.9	16.0	18.1
უმაღლესი	26.9	25.6	26.3
განათლების გარეშე	1.0	0.5	0.8
სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**

განათლების დონის მიხედვით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში, 15-29 წლის ახალგაზრდების წილი სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებულია. მოსახლეობიდან, ვისაც მხოლოდ დაწყებითი განათლება აქვს მიღებული, 15-29 წლის ახალგაზრდების წილი 66,7%-ს შეადგენს. მათ შორის, ვისაც მხოლოდ ზოგადი საშუალო განათლება აქვთ მიღებული, მათი წილი 25,8%-ს, ხოლო მოსახლეობაში, ვისაც დაწყებითi პროფესიული, სახელობო და უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, მათი წილი თანაბარია და 21,9%-ს შეადგენს. ეს შედეგები ბუნებრივია, რადგან 15-29 წლის ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ სწავლობს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დიაგრამა 2.1 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლებაში 15-29 წლის ახალგაზრდების წილი განათლების მიღწეული დონის მიხედვით, %



15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობას (40.0%) მიღებული აქვს მხოლოდ ზოგადი საშუალო განათლება, ხოლო 21.6%-ს – უმაღლესი განათლება. შედარებით არაპოპულარულია ახალგაზრდებში პროფესიული განათლება, ეს განსაკუთრებით ეხება დაწყებით პროფესიულ განათლებას (2%).

სქესის ჭრილში, როგორც ახალგაზრდა ქალების, ასევე ახალგაზრდა კაცების უმრავლესობას, შესაბამისად 36,7% და 43,4%-ს, მიღებული აქვს მხოლოდ საშუალო ზოგადი განათლება. უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ქალებისა და კაცების 1/5-ზე მეტს, შესაბამისად 22,7% და 20,7%. როგორც ქალებში, ასევე კაცებში შედარებით მცირეა იმ ახალგაზრდების წილი, ვისაც მიღებული აქვს პროფესიული (დაწყებითი პროფესიული, სახელობო, საშუალო ან უმაღლესი პროფესიული) განათლება, თუმცა ახალგაზრდა ქალების მაჩვენებელი (14,3%) ჯერ კიდევ აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (7,8%). შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა ქალების განათლების დონე შედარებით მაღალია ახალგაზრდა კაცების განათლების დონესთან შედარებით.

ცხრილი 2.2 საქართველოში 15-29 წლის მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით, სქესის ჭრილში, %

განათლების დონე	ქალი	კაცი	სულ
დაწყებითი ან საბაზო	26.0	28.2	27.1
საშუალო ზოგადი	36.7	43.4	40.0
დაწყებითი პროფესიული, სახელობო	2.4	1.7	2.0
საშუალო პროფესიული	11.9	6.1	9.0
უმაღლესი	22.7	20.4	21.6
განათლების გარეშე	0.3	0.2	0.2
სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**

საინტერესოა 22-29 წლის ახალგაზრდების წილი 15-29 წლის ახალგაზრდებში განათლების მიღწეული დონის მიხედვით. რამდენადაც 22-29 წლის ახალგაზრდებს ძირითადად დასრულებული აქვთ ფორმალური განათლების[9] მიღება და მათი უმრავლესობისათვის მიღებული განათლება, განსხვავებით უმცროსი ასაკის ახალგაზრდებისაგან (15-21 წლის ახალგაზრდების 93,7%-ის მიღებული განათლების უმაღლესი საფეხური არ სცდება საშუალო ზოგად განათლებას, მათგან 56,1%-ს მიღებული აქვს მხოლოდ დაწყებითი ან საბაზო განათლება), განათლების უმაღლესი მიღწეული საფეხურია. 22-29 წლის ახალგაზრდების თითქმის 2/5-ს (39,3%) მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, 39,1%-ს – საშუალო ზოგადი განათლება და მხოლოდ დაწყებითი ან საბაზო განათლება მიღებული აქვს ამ ასაკის ახალგაზრდების 4,8%-ს.

დიაგრამა 2.2 22-29 წლის ახალგაზრდების განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით, %



როგორც დიაგრამა 2.3-დან ჩანს, განათლების დონის მატებასთან ერთად იზრდება მათი წილი 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში. უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდებში ეს წილი 97,4%-ს შეადგენს, ახალგაზრდებში, რომლებსაც მიღებული აქვთ საშუალო პროფესიული განათლება - 82,7%-ს. ბუნებრივია, მათი წილი ყველაზე დაბალია იმ ახალგაზრდებში, რომლებსაც მხოლოდ დაწყებითი ან საბაზო განათლება აქვთ მიღებული (9,6%).

[9] ფორმალური განათლება არის სტრუქტურული საგანმანათლებლო სისტემა დაწყებითიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით, რომელმაც შეიძლება აგრეთვე მოიცვას ტექნიკური და პროფესიული გადამზადების სპეციალური პროგრამები.

დიაგრამა 2.315-29 წლის ახალგაზრდებში 22-29 წლის ახალგაზრდების წილი განათლების მიღწეული დონის მიხედვით, %



ქალაქის მოსახლეობაში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განათლების მიღწული დონე უფრო მაღალია, ვიდრე სოფლის მოსახლეობაში. ქალაქში მოსახლეობის 39,3%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც საგრძნობლად აღემატება სოფლად მცხოვრებ უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა წილს (12,5%). სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას (50,5%) მიღებული აქვს მხოლოდ საშუალო ზოგადი განათლება.

ცხრილი 2.3 მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით ქალაქ-სოფლის ჭრილში, %

განათლების დონე	15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა		15-29 წლის ახალგაზრდები	
	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი
დაწყებითი ან საბაზო	8.0	13.8	22.6	32.1
საშუალო ზოგადი	33.1	50.5	35.8	44.8
დაწყებითი პროფესიული, სახელობო	1.9	3.1	2.1	2.0
საშუალოან უმაღლესი პროფესიული	17.2	18.9	9.8	8.2
უმაღლესი	39.3	12.5	29.7	12.3
განათლების გარეშე	0.4	1.2	0.0	0.5
სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**

რეგიონებში 15-29 წლის ახალგაზრდების უმეტეს ნაწილს მხოლოდ საშუალო ზოგადი განათლება აქვს მიღებული და ეს მაჩვენებელი მერყეობს 31,3%-დან 46,3%-მდე. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვემო ქართლსა და კახეთში დაფიქსირდა, შესაბამისად 46,3% და 45,6%, ხოლო აჭარაში ეს მაჩვენებელი დანარჩენ რეგიონებთან შედარებით ყელაზე დაბალია - 31,3%. მხოლოდ დაწყებითი ან საბაზო განათლება მიღებულიაქვს ქვემო ქართლის ახალგაზრდების 35,9%-ს. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონებს შორის. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისში (17,9%). უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა წილი რეგიონებში მერყეობს 9,1%-დან 33,2%-მდე. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა და აჭარაში დაფიქსირდა,

თბილისში ახალგაზრდების 1/3-ს (33,2%), ხოლო აჭარაში ახალგაზრდების ¼-ზე მეტს (26,8%) მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. ყველაზე დაბალი წილი დაფიქსირდა კახეთში, სადაც ახალგაზრდების მხოლოდ 9,1%-ს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება.

ცხრილი 2.4 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით რეგიონულ ჭრილში, %

	დაწყებითიანს აბაზო	საშუალოზოგადი	პროფესიული	უმაღლესი	განათლებისგარეშე
კახეთი	30.2	45.6	15.1	9.1	0.0
თბილისი	17.9	40.4	8.6	33.2	0.0
შიდა ქართლი	31.5	41.8	10.2	16.5	0.0
ქვემო ქართლი	35.9	46.3	4.5	11.6	1.8
აჭარის ა.რ.	24.6	31.3	17.2	26.8	0.0
სამეგრელო	32.1	35.4	16.4	16.1	0.0
იმერეთი	33.1	34.6	11.9	20.2	0.2
სხვა რეგიონები	25.6	45.6	12.2	16.7	0.0
საქართველო	**27.1**	**40.0**	**11.1**	**21.6**	**0.2**

5.1.2 სწავლის ნაადრევად შეწყვეტა

კვლევით ირკვევა, რომ 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების 9,4%-მა შეწყვიტა სწავლა (შეწყვიტა ანუ არ დაუმთავრებია სწავლა რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში) სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში, აქედან სკოლა მიატოვა ახალგაზრდების 4,3%, მათგან 60,9% სოფლად მცხოვრები ახალგაზრდაა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა შეწყვიტა 3%, მათი უმრავლესობა (69,0%) ქალაქში ცხოვრობს. სქესის მიხედვით ამ მაჩვენებლებში მკვეთრი განსხვავება არ იკვეთება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით (იხილეთ ცხრილი 2. 5), 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით საშუალო სკოლა ნაადრევად მიატოვა 17089 ახალგაზრდამ, მათ უმეტესობას (10153) კაცები შეადგენდა. ამ სტატუსის ახალგაზრდების უმრავლესობა (89,9%) 15-29 წლის ასაკის მოსახლეობა იყო, ხოლო დანარჩენი ნაწილი, ვინც სკოლა ნაადრევად მიატოვა, 15 წელზე უმცროსი ასაკის მოზარდები იყვნენ.

ცხრილი 2.5 ახალგაზრდების რაოდენობა, ვინც საშუალო სკოლა ნაადრევად მიატოვა, პირი

	კახეთი	თბილისი	აფხაზეთის არ	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	აჭარის ა.რ	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა-მთიანეთი	**საქართველო, სულ**

ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებმაც მიატოვეს სკოლა, სულ	**1870**	**4320**	**132**	**1131**	**2570**	**636**	**1674**	**422**	**1792**	**2193**	**349**	**17089**
ქალი	756	1718	63	426	1112	291	691	173	749	828	129	6936
კაცი	1114	2602	69	705	1458	345	983	249	1043	1365	220	10153
15-29 წლის	**1664**	**3655**	**108**	**1057**	**2226**	**567**	**1597**	**402**	**1692**	**2067**	**332**	**15367**
ქალი	656	1411	52	399	939	264	656	163	705	770	126	6141
კაცი	1008	2244	56	658	1287	303	941	239	987	1297	206	9226
15-17 წლის	**1468**	**3336**	**87**	**1006**	**1998**	**502**	**1413**	**367**	**1558**	**1860**	**304**	**13899**
ქალი	565	1272	43	371	843	229	591	150	644	683	117	5508
კაცი	903	2064	44	635	1155	273	822	217	914	1177	187	8391
18-29 წლის	**196**	**319**	**21**	**51**	**228**	**65**	**184**	**35**	**134**	**207**	**28**	**1468**
ქალი	91	139	9	28	96	35	65	13	61	87	9	633
კაცი	105	180	12	23	132	30	119	22	73	120	19	835

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

რეგიონების მიხედვით იმ ახალგაზრდებში, ვინც სკოლა ნაადრევად მიატოვა, 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების პროცენტული წილი 84,6%-დან 95,4%-მდე მერყეობს. ყველაზე მაღალი წილი აჭარაში დაფიქსირდა (95,4%), ხოლო ყველაზე დაბალი (84,6%) თბილისში.

თუ შევადარებთ 15-29 წლის იმ ახალგაზრდების რაოდენობას, რომლებმაც სკოლა ნაადრევად მიატოვეს, მოცემული ასაკის ახალგაზრდების მთლიანად რაოდენობას, დავინახავთ, რომ 1000 ახალგაზრდიდან საშუალოდ 15-მა დაანება სწავლას თავი. რეგიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი 11-დან 21-მდე მერყეობს. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კახეთში დაფიქსირდა (21), ხოლო ყველაზე დაბალი – სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (11). რაც შეეხება 15-29 წლის ასაკის ქალებს, 1000 ქალიდან საშუალოდ 12-მა დაანება სწავლას თავი, რეგიონებში ეს მაჩვენებელი 9-დან 17-მდე მერყეობს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კახეთში დაფიქსირდა (17), ხოლო ყველაზე დაბალი – თბილისში (9). ქალებთან შედარებით უფრო მეტმა კაცმა დაანება სწავლას თავი – 1000 ახალგაზრდა კაციდან 19-მა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ისევე, როგორც ქალების შემთხვევაში, კახეთში ფიქსირდება (25), ხოლო ყველაზე დაბალი – სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (12).

ცხრილი 2.6 15-29 წლის იმ ახალგაზრდების საშუალო რაოდენობა, რომლებმაც სკოლა ნაადრევად მიატოვეს, რეგიონების მიხედვით (1000 კაცზე)

	ქალი	კაცი	სულ
კახეთი	17	25	21
თბილისი	9	16	12
შიდა ქართლი	11	17	14
ქვემო ქართლი	15	20	17
სამცხე-ჯავახეთი	11	12	11
აჭარის ა.რ	15	23	19
გურია	12	18	15
სამეგრელო	15	22	19

იმერეთი	11	18	14
მცხეთა-მთიანეთი	10	16	13
საქართველო	**12**	**19**	**15**

როგორც ცხრილი 2.7-დან ჩანს, 15-29 წლის ახალგაზრდებიდან, ვინც სკოლა ნაადრევად მიატოვა, 90,4% 15-17 წლის ასაკისაა. რეგიონების მიხედვით მათი წილი 88,2%-დან 95,2%-მდე მერყეობდა, ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა შიდა ქართლის რეგიონში (95,2%), ხოლო ყველაზე დაბალი - კახეთში (88,2%). სქესის მიხედვით 15-29 წლის ასაკის ქალებიდან, ვინც სკოლა ნაადრევად მიატოვა, 89,7% 15-17 წლის ახალგაზრდაა. შიდა ქართლში ეს მაჩვენებელი 93,0%-ს შეადგენდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია დანარჩენ რეგიონებთან შედარებით, ხოლო ყველაზე დაბალი –კახეთში დაფიქსირდა (86,1%). ქვეყნის მასშტაბით კაცებში ეს მაჩვენებელი 90,9%-ს შეადგენდა. რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალი წილი, ისევე როგორც ქალებში, შიდა ქართლში დაფიქსირდა (96,5%), ხოლო ყველაზე დაბალი – აჭარაში (87,4%).

ცხრილი 2.7 15-17 წლის იმ ახალგაზრდების წილი, ვინც სკოლა ნაადრევად მიატოვა, ამავე სტატუსის მქონე 15-29 წლის ახალგაზრდებში, რეგიონების მიხედვით, %

	ქალი	კაცი	სულ
კახეთი	86.1	89.6	88.2
თბილისი	90.1	92.0	91.3
შიდა ქართლი	93.0	96.5	95.2
ქვემო ქართლი	89.8	89.7	89.8
სამცხე-ჯავახეთი	86.7	90.1	88.5
აჭარის ა.რ	90.1	87.4	88.5
გურია	92.0	90.8	91.3
სამეგრელო	91.3	92.6	92.1
იმერეთი	88.7	90.7	90.0
მცხეთა-მთიანეთი	92.9	90.8	91.6
საქართველო	**89.7**	**90.9**	**90.4**

კვლევიდან ირკვევა, რომ 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების 66.9% ფლობს ინფორმაციას სკოლაში ჩარიცხვის მექანიზმისა და მისი სერვისების შესახებ, ხოლო 56.8% - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მექანიზმისა და მისი სერვისების შესახებ. ახალგაზრდების 17.7% საერთოდ არ ფლობს ამ ინფორმაციას არც-ერთი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ.

სქესის ჭრილში განხილვისას აღმოჩნდა, რომ 15-29 წლის ახალგაზრდა ქალები უფრო ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში ჩარიცხვის მექანიზმისა და მათი სერვისების შესახებ, ვიდრე კაცები. ახალგაზრდა ქალების 73,9% და ახალგაზრდა კაცების მხოლოდ 59,8% ფლობს ინფორმაციას სკოლაში ჩარიცხვის მექანიზმისა და მისი სერვისის შესახებ, ქალების 60,2% და კაცების მხოლოდ 53,3% არის ინფორმირებული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის შესახებ.

ცხრილი 2.8 15-29 წლის ახალგაზრდების ინფორმირებულობა საგანმანათლებლოდაწესებულებებში ჩარიცხის მექანიზმისა და მათი სერვისების შესახებ, %

	ქალი	კაცი	სულ

სკოლა	73.9	59.8	66.9
ლიცეუმი (პროფსასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება)	24.6	21.7	23.2
ტექნიკუმი (კოლეჯი)	33.0	29.7	31.4
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)	60.2	53.3	56.8
არც-ერთი	13.4	22.1	17.7

5.1.3 ახალგაზრდების ინფორმირებულობა მობილობის შესახებ

საქართველოში ბევრ ახალგაზრდას სურს ისწავლოს საზღვარგარეთ მოქმედ უნივერსიტეტებში. უცხო ქვეყნებში განათლების მიღების შემდეგ სტუდენტები მნიშვნელოვან ცოდნას და უნარ-ჩვევებს იძენენ, რაც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. ამასთან, უცხო ქვეყნებში მიღებული განათლება მათ საზღვარგარეთ დასაქმების შანსსაც აძლევს.

საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ ინფორმაციას ფლობს 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 33,8%. სქესის მიხედვით ახალგაზრდა ქალების მეტი წილი (39,1%) ფლობს ამ ინფორმაციას, ვიდრე ახალგაზრდა კაცების (28,4%). რეგიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი მერყეობს 16,6%-დან 44,0%-მდე. რეგიონებში უფრო მეტად ინფორმირებული არიან აჭარის და თბილისის ახალგაზრდები, შესაბამისად 44,0% და 43,7%, ხოლო ყველაზე ნაკლებად – სამეგრელოს რეგიონის ახალგაზრდები, მათი მხოლოდ 16,6% ფლობს ამ ინფორმაციას.

დიაგრამა 2.4 15-29 წლის ახალგაზრდების ინფორმირებულობა სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელებისათვის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ რეგიონების მიხედვით, %



საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება სცადა 15-29 წლის ახალგაზრდების 25,8%-მა. მათგან პროექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ინტერნეტის საშუალებით შეეცადა 57,7%, ნაცნობ–მეგობრებში - 21,7%, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან - 12,7%-მა, ხოლო პრესის საშუალებით - 7,3%. პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში შედარებით აქტიური იყვნენ ქალები. ახალგაზრდა ქალების 27,9%-მა, ხოლო კაცების 23,6%-მა სცადა ამ ინფორმაციის მოძიება, თუმცა ინფორმაციის მოპოვებას ორივე სქესის ახალგაზრდები ერთნაირი საშუალებებით ცდილობდნენ: ინტერნეტით ეძებდა ქალების 56,9% და კაცების 58,7%, ნაცნობ მეგობრებში - ქალების 21,2% და კაცების 22,4%, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან - ქალების 13,8% და კაცების 11,3%, პრესის საშუალებით – როგორც ქალების, ასევე კაცების 7,3%.

5.2 დასაქმება

განათლების სისტემიდან შრომის ბაზარში ჩართვა ყველა ახალგაზრდის წინაშე მდგარი გამოწვევაა. ბევრი ახალგაზრდა უმუშევრობის ფაქტის წინაშე დგება თვეების და წლების განმავლობაში, სანამ იპოვის პირველ სამუშაოს ფორმალური განათლების დასრულების შემდეგ. გადასვლის პერიოდი ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ნელმა ან გართულებულმა ჩართვამ შრომის ბაზარში შეიძლება ხანგრძლივი გავლენა იქონიოს პიროვნების მომავალ კარიერასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

5.2.1 ახალგაზრდების ეკონომიკური აქტიურობა

საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში ფიქსირდება. ბუნებრივია, ახალგაზრდები, რომლებმაც დაამთავრეს ფორმალური განათლების მიღება, აქტიურად ეძებენ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამის სამუშაოს, რათა მიაღწიონ ფინანსურ დამოუკიდებლობას, მაგრამ მათ ხვდებათ კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარი, სადაც სამუშაო ადგილების სიმცირისა და ნაკლები გამოცდილების გამო შედარებით გართულებულია მათი შრომის ბაზარში ჩართვა. 15-29 წლის ახალგაზრდების აქტიურობის დონე 60,0%-ს აღწევს. ახალგაზრდა სამუშაო ძალის 30,7% უმუშევარია, მათი დიდი ნაწილი (33,2%) უმაღლესი განათლებითაა. ასაკობრივი ჯგუფებიდან ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფშია.ამ ასაკის აქტიური ახალგაზრდებიდან (სამუშაო ძალა) 36,3% უმუშევარია. შედარებით მაღალია დასაქმების დონე 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში (55,6%), ხოლო 15-19 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა (67,1%) ეკონომიკურად არააქტიურია. ქალაქში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 2,5-ჯერ მაღალია სოფელთან შედარებით, ხოლო კაცების დასაქმების დონე (53,3%) ბევრად აღემატება ქალების დასაქმების დონეს (30,4%).

დიაგრამა 2.5 15-29 წლის ახალგაზრდების აქტიურობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, %



დიაგრამა 2.6 15-29 წლის ახალგაზრდების დასაქმებისა და უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, %



ახალგაზრდების აქტიურობისა და დასაქმების დონე ასაკთან ერთად იზრდება, რაც ბუნებრივია, რადგან ახალგაზრდების დიდი ნაწილი, უმთავრესად 15-19 წლის ასაკში სწავლითაა დაკავებული და სამუშაო ძალის გარეთ იმყოფება - შესაბამისად, არააქტიურია. 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების ეკონომიკური აქტიურობის დონე 60,0% აღწევს, ეს არც ისე დაბალი მაჩვენებელია, მაგრამ ძალიან საყურადღებოა ამ ასაკის ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე (30,7%), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ასაკის სამუშაო ძალის საკმაოდ დიდი ნაწილი აქტიურად ეძებს სამუშაოს და მზად არის მუშაობის დასაწყებად, თუმცა უშედეგოდ. მათგან ხანგრძივი დროით, 1 წელი და მეტი ხნით უმუშევრების წილი 31,3%-ს შეადგენს, ხოლო ახალგაზრდების 42,4% პირველ სამუშაოს ეძებს (იხ. დიაგრამა 2.7).

დიაგრამა 2.7 15-29 წლის უმუშევარი ახალგაზრდების განაწილება უმუშევრობის ხანგრძლივობის მიხედვით, %



15-29 წლის ახალგაზრდების ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დახასიათებისას (იხ. ცხრილი 2.9) ირკვევა, რომ 15-19 წლისახალგაზრდების აქტიურობის დონე (32,9%) ყველაზე დაბალია დანარჩენ ორ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ამ ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი სწავლითაა დაკავებული და აქედან გამომდინარე, არააქტიურია. დასაქმებულია ამ ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების მხოლოდ 24,3%, ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია დანარჩენი ორი ასაკობრივი ჯგუფის მაჩვენებლებთან შედარებით. რაც შეეხება უმუშევრებს, 15-19 წლის ახალგაზრდების 8,6% აქტიურად ეძებს სამსახურს და მზად არის სამუშაოს დასაწყებად, ხოლო უმუშევრობის დონე 26,3%-ს შეადგენს.

განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის დონე 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ამ ასაკის ახალგაზრდების ¼-ზე მეტი (26,3%) აქტიურად ეძებს სამუშაოს და მზად არის მუშაობის დასაწყებად, რაც ამ ასაკის სამუშაო ძალის 1/3-ზე მეტს (36,3%) წარმოადგენს. აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში შედის იმ ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რომლებიც ახალკურსდამთავრებულები არიან, მიიღეს პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება და აქტიურად ცდილობენ შრომის ბაზარში ჩართვას. ამ ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების აქტიურობის დონე (72,5%) გაცილებით მაღალია, ვიდრე 15-19 წლის ახალგაზრდების. ამ ასაკის ყოველი 1000 ახალგაზრდიდან დასაქმებულია 462, უმუშევარი - 263 და არააქტიური - 275.

25-29 წლის ახალგაზრდების აქტიურობის დონე (76,5%) გაცილებით მაღალია დანარჩენი ორი ასაკობრივ ჯგუფების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სამუშაო ძალის თითქმის ¾ (72,7%) დასაქმებულია. დასაქმების დონე 55,6%-ს შეადგენს, რაც 9,4 პროცენტული პუნქტით მაღალია 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის მაჩვენებელს 31,3 პროცენტული პუნქტით აღემატება. 25-29 წლის ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე 20-24 წლის ახალგაზრდებთან შედარებით 9,0 პროცენტული პუნქტით დაბალია და 27,3% შეადგენს. ამ ასაკობრივი ჯგუფის ყოველი 1000 ახალგაზრდიდან 765 აქტიურია, აქედან 556 დასაქმებულია და 209 უმუშევარი.

ცხრილი 2.9 15-29 წლისახალგაზრდების განაწილება ეკონომიკური სტატუსისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, %

	15-19	20-24	25-29	სულ
15-29 წლის ახალგაზრდები, სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**
აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	32.9	72.5	76.5	60.0
დასაქმებული	24.3	46.2	55.6	41.6
დაქირავებული	5.3	25.3	27.6	19.1
თვითდასაქმებული	18.9	20.8	28.1	22.5
გაურკვეველი	0.1	0.1	-	-

უმუშევარი	8.6	26.3	20.9	18.4
ეკონომიკურად არააქტიური	67.1	27.5	23.5	40.0
უმუშევრობის დონე	**26.3**	**36.3**	**27.3**	**30.7**

15-29 წლის კაცების აქტიურობის დონე 71,3% აღწევს, ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ამავე ასაკის ქალების ანალოგიურ მაჩვენებელთან (49,0%) შედარებით. როგორც ცხრილი 2,10-დან ჩანს, ახალგაზრდა ქალების უმრავლესობა (51,0%) არააქტიურია, ხოლო სამუშაო ძალიდან (აქტიურებიდან) 37,9% უმუშევარია. ახალგაზრდა ქალების უმუშევრობის დონე 12,3 პროცენტული პუნქტით მაღალია ახალგაზრდა კაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე. რაც შეეხება დასაქმებას, ახალგაზრდა კაცების ნახევარზე მეტი (53,1%)დასაქმებულია, რაც გაცილებით მაღალია ქალების ანალოგიურ მაჩვენებელთან (30,4%) შედარებით.

ცხრილი 2.10 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება ეკონომიკური სტატუსისა და სქესის მიხედვით, %

	ქალი	კაცი
15-29 წლის ახალგაზრდები, სულ	**100.0**	**100.0**
აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	49.0	71.3
დასაქმებული	30.4	53.1
დაქირავებული	15.9	22.4
თვითდასაქმებული	14.4	30.7
გაურკვეველი	0.1	-
უმუშევარი	18.6	18.3
ეკონომიკურად არააქტიური	51.0	28.7
უმუშევრობის დონე	**37.9**	**25.6**

თვალსაჩინოა საქართველოს მასშტაბით 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების, ისევე როგორც 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის უმუშევრობის მაღალი დონე ქალაქებში. ქალაქში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 2,5-ჯერ მაღალია სოფელთან შედარებით. თბილისში აქტიური ახალგაზრდებიდან (სამუშაო ძალა) 44,2% უმუშევარია, ხოლო დანარჩენ ქალაქებში თბილისთან შედარებით უმუშევრობის დონე ოდნავ დაბალია. თბილისის ახალგაზრდები ნაკლებად აქტიურები არიან არამარტო სოფლის ახალგაზრდებთან, არამედ საქართველოს სხვა ქალაქების ახალგაზრდებთან შედარებითაც. მათი აქტიურობის დონე 55,0% შეადგენს, ხოლო დასაქმების დონე - 30,7%. დანარჩენ ქალაქებში თბილისთან შედარებით 4,0 პროცენტული პუნქტით მაღალია აქტიურიობის დონე და 2,8 პროცენტული პუნქტით – დასაქმების დონე. რაც შეეხება სოფლის ახალგაზრდებს, მათი უმრავლესობა (52,5%) დასაქმებულია, ხოლო 11,1% აქტიურად ეძებს სამუშაოს და მზად არის მუშაობის დასაწყებად – შესაბამისად, უმუშევრობის დონე 17,4%-ს შეადგენს.

ცხრილი 2.11 15-29 წლისახალგაზრდების განაწილება ეკონომიკური სტატუსისა და ქალაქ-სოფლის მიხედვით, %

	ქ. თბილისი	სხვა ქალაქები	სოფელი
15-29 წლის ახალგაზრდები, სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**
აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	55.0	59.0	63.5
დასაქმებული	30.7	33.5	52.5

დაქირავებული	25.1	21.0	14.5
თვითდასაქმებული	5.6	12.3	38.0
გაურკვეველი	0.0	0.2	0.0
უმუშევარი	24.3	25.5	11.1
ეკონომიკურად არააქტიური	45.0	41.0	36.5
უმუშევრობის დონე	**44.2**	**43.3**	**17.4**

რეგიონების მიხედვით ახალგაზრდების აქტიურობის დონე 55,3%-დან 72%-მდე მერყეობს. ყველაზე მაღალია აქტიურობის დონე სხვა რეგიონებში (72,0%), ასევე ქვემო ქართლსა და კახეთის რეგიონებშია, შესაბამისად – 64,8% და 61,9%. ამ რეგიონებში ახალგაზრდების დასაქმების დონეც მაღალია სხვა რეგიონებთან შედარებით. რაც შეეხება უმუშევრობას, ქვემო ქართლის რეგიონში აქტიური ახალგაზრდების (სამუშაო ძალა) მხოლოდ 14,3% უმუშევარი, სხვა რეგიონებში – 15,3%, ხოლო კახეთში - 26,7%. ყველაზე დაბალია ახალგაზრდების აქტიურობის დონე (55,3%) იმერეთში, თუმცა აქტიური ახალგაზრდების მხოლოდ 1/5 (19,3%) არის უმუშევარი.

რეგიონებიდან ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე თბილისსა და აჭარაში დაფიქსირდა, შესაბამისად 46,3% და 43,6%. თბილისში დასაქმებულია ახალგაზრდების 30,7%, ხოლო აჭარაში - 33,4%.

ცხრილი 2.12 15-29 წლისახალგაზრდების ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით, %

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ.	სამეგრელო	იმერეთი	სხვა რეგიონები
უმუშევრობის დონე	26.7	46.3	31.6	14.3	43.6	36.4	19.3	15.3
აქტიურობის დონე	61.9	57.1	60.5	64.8	59.1	56.4	55.3	72.0
დასაქმების დონე	45.4	30.7	41.4	55.5	33.4	35.8	44.7	61.0

როგორც ზემოთაა აღნიშნული, სოფლად ახალგაზრდების უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოფელში უმუშევრობის დაბალი დონე განპირობებულია თვითდასაქმებულებით, რომელთა უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული.

15-29 წლის დასაქმებულ ახალგაზრდებს შორის თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი 54,1%-ს შეადგენს. თვითდასაქმებული ახალგაზრდების დიდი ნაწილი (65,7%) ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში ან ახლობლისთვის შრომით საქმიანობაში უსასყიდლოდ მუშაობს და მათი უმრავლესობა (83,1%) სოფლის ახალგაზრდებს წარმოადგენს. ქალაქებში ახალგაზრდების უმეტესობა დაქირავებით დასაქმებულია, თბილისში მათი ხვედრითი წილი 81,7%-ს შეადგენს, ხოლო სხვა ქალაქებში 62,7%-ს.

დიაგრამა 2.8 15-29 წლის ახალგაზრდების დასაქმების სტატუსი, %



15-29 წლის ასაკის როგორც დაქირავებული, ასევე თვითდასაქმებული ახალგაზრდების უმრავლესობას კაცები შეადგენს, შესაბამისად 57,8% და 67,5%. მთლიანად დასაქმებულ კაცებში თვითდასაქმებულთა რაოდენობა სჭარბობს დაქირავებულებს 15,8 პროცენტული პუნქტით, დასაქმებულ ქალებში კი პირიქით, დაქირავებულთა წილი 4,6 პროცენტული პუნქტით აღემატა თვითდასაქმებულებს.

დიაგრამა 2.9 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება დასაქმების სტატუსისა და სქესის მიხედვით, %



ისევე როგორც საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის (15+) დიდი ნაწილი, ასევე 15-29 წლის ახალგაზრდების 46,7% დასაქმებულია სოფლის მეურნობის დარგში. ახალგაზრდების უმრავლესობა ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირია, მომსახურების სხვადასხვა დარგში დასაქმებულია ახალგაზრდების 47,7%, ხოლო მრეწველობის დარგში მხოლოდ 5,6%. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულია ახალგაზრდების დაახლოებით 15%, დანარჩენი 85% კი კერძო სექტორში.

დიაგრამა 2.10 15-29 წლის დასაქმებული ახალგაზრდები ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სფეროების მიხედვით, %



*ჩართულია მშენებლობა

დასაქმებული ახალგაზრდების 30,3%-სათვის ჩვეულებრივი სამუშაო საათების ხანგრძლივობა კვირაში 40 საათს და მეტს გრძელდება, 17%-ისათვის სამუშაო დრო 30-დან 40 საათამდე მერყეობს, სხვადასხვა პერიოდში (სეზონში) განსხვავებული სამუშაო დრო აქვს დასაქმებულების 16,4%-ს, ხოლო 10,7% მუშაობს 10 საათზე ნაკლებს.

დიაგრამა 2.11 15-29 წლის დასაქმებული ახალგაზრდების განაწილება კვირაში სამუშაო საათების მიხედვით, %

5.2.2 ახალგაზრდების განათლების მიღწეული დონე და ეკონომიკური სტატუსი

15-29 წლის ახალგაზრდებიდან, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება, დასაქმებულია 54%, ხოლო მათი წილი მთლიან დასაქმებულებში 28%-ს შეადგენს (იხილეთ დიაგრამა 2.12 და 2.13). ახალგაზრდებიდან, რომელთა განათლების მიღწეული დონე სრული საშუალო ზოგადი განათლების საფეხურს შეესაბამება, დასაქმებულია 45,8%, თავის მხრივ მათი წილი მთლიან დასაქმებულებში საკმაოდ მაღალია (44%-ზე მეტი). უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო ზოგადი განათლების საფეხურს შეესაბამება ამ ასაკის ახალგაზრდების უმრავლესობა და მათი რაოდენობა თითქმის 2-ჯერ აღემატება უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა რაოდენობას. დაწყებითი პროფესიული, სახელობო ან საშუალო/უმაღლესი პროფესიული განათლება მიღებული აქვსდასაქმებულების 12,1%-ს, რაც წარმოადგენს 45,3% იმ ახალგაზრდებისა, რომელთაც მიღწეული აქვთ განათლების აღნიშნული დონე. რაც შეეხება ახალგაზრდებს, რომელთა განათლების დონე დაწყებით ან საბაზო საფეხურს შეესაბამება, მხოლოდ 23,9%–ია დასაქმებული, ხოლო მთლიანად დასაქმებულებში მათი წილი 15,6%-ს შეადგენს.

დიაგრამა 2.12 ,15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება განათლების მიღწეული დონისა და ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, %



მსგავსად დასაქმებული ახალგაზრდებისა, უმუშევარი ახალგაზრდების უმრავლესობასაც (42,6%) მხოლოდ საშუალო ზოგადი განათლება აქვს მიღებული, მათი წილი ამ დონის განათლების მქონე ახალგაზდებში 19,6%-ს შეადგენს. განსაკუთრებით მაღალია უმუშევარ ახალგაზრდებში უმაღლესი განათლების

კურსდამთავრებულთა წილი (33,2%), უმუშევარი ახალგაზრდებიდან ყოველი მესამე უმაღლესი განათლებითაა, რაც 5,2 პროცენტული პუნქტით მაღალია დასაქმებულებში უმაღლესდამთავრებულთა წილზე.

დიაგრამა 2.13 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება ეკონომიკური სტატუსის და განათლების მიღწეული დონის მიხედვით, %



საქართველოს ახალგაზრდების 31,2% არც დასაქმებულია და არც სწავლობს, არ დადის არც ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კურსებზე პროფესიის/ხელობის დასაუფლებლად ან კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მათ უმრავლესობას (65,4%) ქალები წარმოადგენს. როგორც გაირკვა, ახალგაზრდა ქალებში მათი წილი 40,3%-ს აღწევს, რაც თითქმის 2-ჯერ მეტია ახალგაზრდა კაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე (21,9%).

სოფელში იმ ახალგაზრდების წილი, ვინც არც სწავლობს და არც მუშაობს, ¼-ს აღემატება (26,6%), თბილისში ამ ახალგაზრდების წილი 34%-ს შეადგენს, ხოლო სხვა ქალაქებში ეს მაჩვენებელი 2,5 პროცენტული პუნქტით მეტია თბილისთან შედარებით.

6. ნაწილი III. ჯანდაცვა

ამ თავში მოცემულია 15-29 წლის ახალგაზრდების წონისა და სიმაღლის, ექიმთან მიმართვიანობის დონის, ახალგაზრდების მიერ თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების ამსახველი მონაცემები, აგრეთვე აივ ინფექციასა და კონტრაცეპტივებზე ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის მაჩვენებლები. ასევე მოყვანილია აბორტების, უბედური შემთხვევებით, მოწამვლით, ძალადობით და თვითმკვლელობით გამოწვეული გარდაცვალების სიხშირის, ახალგაზრდებში შიდსის ვირუსის დაფიქსირებული ახალი შემთხვევების რაოდენობის ამსახველი მონაცემები.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდები ძირითადად ნორმალური წონის არიან, იმ ქალთა წილი, ვისი წონაც ნორმალურია, 67,4%–ს, ხოლო კაცების ანალოგიური მაჩვენებელი 61%-ს შეადგენს. 15-29 წლის ქალის სიმაღლე საშუალოდ 162,8სმ, ხოლო კაცის – 175,1სმ-ს უტოლდება.

15-29 წლის ახალგაზრდების ნახევარზე მეტს (52,2%) ბოლო 12 თვის განმავლობაში მიღებული აქვს სამედიცინო მომსახურება. ამავდროულად, ახალგაზრდა ქალები უფრო ხშირად მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს, ვიდრე მათი თანატოლი მამრობითი სქესის წარმომადგენლები.

საკმაოდ მრავალფეროვანია იმ სამედიცინო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომლებსაც 15-29 წლის ახალგაზრდებმა ბოლო ვიზიტისას მიმართეს. საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდები ყველაზე ხშირად მიმართავდნენ პოლიკლინიკებს (27,6%) და ზოგადი პროფილის საავადმყოფოებს (23,2%).

საქართველოში იმ ახალგაზრდების წილი, რომელთაც გასულ 12 თვეში დასჭირდათ, მაგრამ ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებებს, 26,6%-ს შეადგენს. მათი უმეტესობა ექიმთან მიუსვლელობის ძირითად მიზეზად (როცა სჭირდებოდათ, ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულას), სამედიცინო მომსახურების სიძვირეს ასახელებს (63,8%).[10]

15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების 21,6% რეგულარული მწეველია. იმ ახალგაზრდების წილი, ვინც განაცხადა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ალკოჰოლური სასმელი მიიღო, 63,4%-ს შეადგენს, ხოლო მათი უდიდესი ნაწილი (66,8%) ალკოჰოლურ სასმელს თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად იღებდა.

შიდსის შესახებ სმენია 15-29 წლის ახალგაზრდების უდიდეს ნაწილს (89,9%). თუმცა იმ ახალგაზრდებიდან, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სმენიათ აივ ინფექციაზე, მხოლოდ 17.4%-მა დაასახელა ყველა სწორი პასუხი კითხვაზე, თუ რა გზით შეიძლება გადაედოს აივ ინფექცია ადამიანს.

15-29 წლის ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი (85,9%) კონტრაცეფციის საშუალებებიდან ყველაზე მეტად პრეზერვატივის შესახებაა ინფორმირებული. აღსანიშნავია კონტრაცეფციის კიდევ ორი მეთოდი, რომელზეც ახალგაზრდებს სხვა საშუალებებთან შედარებით მეტი სმენიათ, ესენია აბები (54,2%) და საშვილოსნოს შიდა საშუალება - სპირალი (49,9%).15-29 წლის ახალგაზრდებში ძალიან დაბალია მათი წილი, ვისაც გარკვეული კონტრაცეფციის საშუალება გამოუყენებია. ახალგაზრდებს ძირითადად სმენიათ, იციან როგორ გამოიყენონ, თუმცა არ გამოუყენებიათ აღნიშნული საშუალებები.

რეგისტრირებული აბორტების თითქმის ნახევარი (47,7%) 15-29 წლის ქალებზე მოდის.

საქართველოში 2012 წლის მონაცემებით ყოველ 100,000 ახალგაზრდაზე უბედური შემთხვევებით, მოწამვლით ან ძალადობით გამოწვეული გარდაცვალების 17, თვითმკვლელობების 2, ხოლო საგზაო ავარიებით გამოწვეული გარდაცვალების 1 შემთხვევა დაფიქსირდა.

ქვეყანაში 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით, 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში შიდსის ინფექციის 126 ახალი შემთხვევაა გამოვლინდა. სქესის მიხედვით აღნიშნული შემთხვევების 31% ქალებში, ხოლო 69% კაცებშია დადგენილი.

6.1 ჯანსაღი ცხოვრების წესი

6.1.1 ახალგაზრდების სიმაღლე და წონა

ქალების უმრავლესობა და კაცების გარკვეული ნაწილი დიდ დროს უთმობს საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას, მათ შორის სხეულის მასის კონტროლს. მეცნიერებმა და მედიკოსებმა ამისათვის შეიმუშავეს სპეციალური ფორმულა, რომელსაც სხეულის მასის ინდექსი ეწოდება. მისისაშუალებით შეიძლება დადგინდეს,

[10]გამოკვლევა ჩატარდა ქვეყანაში საყოველთაო დაზღვევის შემოტანამდე. აქედან გამომდინარე, ეს მაჩვენებელი შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს ქვეყანაში ამჟამად არსებულ მდგომარეობას აღნიშნულთან მიმართებაში.

თუ რამდენად შეესაბამება არსებული შეფარდება ბიოლოგიურ ნორმას. იგი გამოითვლება სხეულის წონის სიმაღლის კვადრატზე გაყოფით[11].

საქართველოში ნორმალური წონის მქონე ახალგაზრდა ქალების წილი 67,4%-ს შეადგენს, ხოლო კაცების ანალოგიური მაჩვენებელი– 61%-ია. რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი წილი ქალებისა, რომელთაც ნორმალური წონა აქვთ, მცხეთა-მთიანეთშია (75,2%), მცირედით ნაკლებია ასეთი ახალგაზრდების წილი ქვემო ქართლსა (72,3%) და გურიაში(72,2%), ხოლო ყველაზე დაბალი წილი (58,4%) სამეგრელოს რეგიონში ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში დანარჩენ რეგიონებთან შედარებით მაღალია ჭარბწონიანი ქალების რიცხვი (25,3%). აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე ნაკლებია გურიის რეგიონში, იგი 2,7-ჯერ ჩამორჩება ანალოგიურ მაჩვენებელს ქვეყნის მაშტაბით და მხოლოდ 7,1%-ს შეადგენს. 2-ჯერ მეტია ასეთი ახალგაზრდები თბილისის რეგიონში(15,3%), მაშინ როდესაც დანარჩენ რეგიონებში ჭარბწონიანი ქალების წილი 19-23%-მდე მერყეობს.

ცხრილი 3.1 საქართველოში15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება სხეულის მასის ინდექსის კატეგორიების მიხედვით რეგიონულ ჭრილში, %

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე–ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა–მთიანეთი	**საქართველო**
ქალი											
წონისნაკლებობა	5.6	11.1	4.6	3.4	7.7	5.9	8.8	7.2	4.9	1.7	**7.1**
ნორმალურიწონა	67.0	69.2	66.6	72.3	68.3	66.9	72.2	58.4	64.1	75.2	**67.4**
ჭარბიწონა	19.7	15.3	22.8	21.3	20.3	22.7	7.1	25.3	20.8	21.4	**19.4**
სიმსუქნე	7.6	4.4	6.0	3.0	3.7	4.5	11.9	9.0	10.3	1.7	**6.1**
კაცი											
წონისნაკლებობა	4.0	6.5	4.8	1.6	0.0	6.9	3.6	0.6	1.2	0.0	**3.6**
ნორმალურიწონა	61.5	54.5	68.4	70.8	65.3	58.5	60.5	61.6	58.4	74.7	**61.0**
ჭარბიწონა	24.9	28.0	23.1	21.4	26.5	26.4	26.4	25.7	30.0	21.2	**26.2**
სიმსუქნე	9.6	10.9	3.7	6.2	8.2	8.1	9.5	12.2	10.4	4.1	**9.1**

საქართველოში 15-29 წლის ქალების 6,1% აღმოჩნდა სიმსუქნის ჯგუფში. რეგიონებს შორის ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია გურიისა (11,9%) და იმერეთის რეგიონებში (10,3%), მცირედით ნაკლებია აღნიშნული მაჩვენებელი სამეგრელოს რეგიონში (9%), ხოლო დანარჩენ რეგიონებში 3-8%-იან ინტერვალში ფიქსირდება. იმ ქალთა წილი, რომლებიც სიმსუქნის ჯგუფში მოხვდნენ, ყველაზე დაბალია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 3,6-ჯერ მცირეა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელზე და 1,7%-ს არ აღემატება. დანარჩენ რეგიონებთან შედარებით თბილისში ყველაზე მაღალია (11,1%) იმ ქალების პროცენტული მაჩვენებელი, ვისაც წონის ნაკლებობა აღმოაჩნდა. აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალია გურიის

[11]სხეულის მასის ინდექსი (სმი) გამოითვლება ადამიანის სიმაღლითა და წონით. ბევრი ადამიანისათვის იგი წარმოადგენს სიმსუქნის სანდო მაჩვენებელს და გამოიყენება წონის იმ კატეგორიების გამოსავლენად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. მიმდინარე შეფასებითი მაჩვენებლები ასეთია: სმი 18,8–დან 25–მდე მიუთითებს ნორმალურ წონაზე, 18,5–ზე ნაკლები – წონის ნაკლებობაზე, 25–ზე მეტი – ჭარბ წონაზე და 30–ზე მეტი – სიმსუქნეზე.

რეგიონში (8,8%), ის 5-ჯერ აღემატება მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ანალოგიურ მაჩვენებელს, სადაც რეგიონებს შორის წონის ნაკლებობის მქონე ქალების ყველაზე დაბალი წილი (1,7%) დაფიქსირდა. დანარჩენ რეგიონებში აღნიშნული მაჩვენებელი 3-8%-მდე მერყეობს.

15-29 წლის ახალგაზრდების წონის სქესის ჭრილში შედარებისას აღმოჩნდა, რომ კაცებში ჭარბწონიანების (26,2%) და მსუქნების (9,1%) მეტი წილი დაფიქსირდა, ვიდრე ქალებში, თუმცა კაცებში უმეტესი ნაწილი მაინც ნორმალური წონისაა (61%). რეგიონებში ქალების მსგავსად ნორმალურწონიანი კაცების მაღალი წილით გამოირჩევა კვლავ მცხეთა-მთიანეთის რეგიონი (74,7%). ნორმალური წონის კაცების ყველაზე დაბალი წილი თბილისში დაფიქსირდა (54,5%), მასზე 4 პროცენტული პუნქტით მაღალია ასეთი ახალგაზრდების წილი აჭარისა და იმერეთის რეგიონებში, ხოლო დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი 61-71%-იან მონაკვეთში ფიქსირდება.

კვლევამ აჩვენა, რომ წონის ნაკლებობის მქონე ქალების წილი ცოტათი, მაგრამ მაინც აჭარბებდა სიმსუქნის ჯგუფში ქალების რიცხვს. კაცების შემთხვევაში პირიქითაა და იმ კაცების წილი, რომლებიც სიმსუქნის ჯგუფში აღმოჩნდნენ (9,1%), თითქმის სამჯერ აღემატება წონის ნაკლებობის მქონე კაცების წილს(3,6%). რეგიონებს შორის მათი წილი, რომელთაც წონის ნაკლებობა დაუფიქსირდათ 15-29 წლის კაცებში, ყველაზე მაღალია აჭარის რეგიონსა (6,9%) და თბილისში (6,5%).

სხეულის მასის ინდექსი განსხვავებულია ასაკობრივ ჯგუფებშიც, კერძოდ, 15-19 წლის ახალგაზრდებში მნიშვნელოვნად მაღალია მათი წილი, ვისაც ნორმალური წონა აქვს (ქალები-81,7%, კაცები-73,8%), მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი 20-29 წლის ახალგაზრდებში შედარებით დაბალია (ქალები-60,1%, კაცები-54%). აღსანიშნავია, რომ ორივე ასაკობრივ ჯგუფში ნორმალური წონის მქონე ქალების პროცენტული წილი აჭარბებს ნორმალური წონის მქონე კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს.

დიაგრამა 3.1 საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება სხეულის მასის ინდექსის კატეგორიების მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებში, %



საქართველოში 15-29 წლის ქალების საშუალო სიმაღლე 162,8სმ, ხოლო კაცების სიმაღლე 175,1სმ-ს უტოლდება. რეგიონების მიხედვით ახალგაზრდების საშუალო სიმაღლე ყველაზე მეტია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში – როგორც ქალების (166,4სმ), ასევე კაცების (178,9სმ) შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონების მიხედვით ახალგაზრდების სიმაღლის მაჩვენებლებს შორის დიდი განსხვავება არ ფიქსირდება. ახალგაზრდა ქალების საშუალო სიმაღლის მიხედვით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (161,0სმ) სამცხე-ჯავახეთის რეგიონშია, ხოლო კაცების შემთხვევაში – გურიის რეგიონში (172,4სმ).

ცხრილი 3.2 15-29 წლის ახალგაზრდების საშუალო სიმაღლე სქესის მიხედვით რეგიონულ ჭრილში (სმ)

	ქალი	კაცი
კახეთი	162.1	174.3
თბილისი	163.9	176.8
შიდა ქართლი	162.0	176.7
ქვემო ქართლი	162.7	174.0
სამცხე–ჯავახეთი	161.0	172.8
აჭარის ა.რ.	162.4	175.2
გურია	163.5	172.4
სამეგრელო	162.4	173.4
იმერეთი	161.6	174.3
მცხეთა–მთიანეთი	166.4	178.9
საქართველო	**162.8**	**175.1**

6.1.2 თამბაქოს მოხმარება ახალგაზრდებში

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების 21,6% აცხადებს, რომ რეგულარული[12] მწეველია, მათ უმრავლესობას კაცები წარმოადგენენ. კაცების 39,6%, ხოლო ქალების მხოლოდ 4,1% განაცხადა, რომ ეწევა რეგულარულად. რაც შეეხება 15–19 წლის მოზარდებს, მათი 10,2% რეგულარული მწეველია (ქალი – 0,9%, კაცი – 19,4%).

ცხრილი 3.3 15-19 წლის ახალგაზრდების განაწილება სიგარეტის რეგულარულად მოწევის მიხედვით, %

	სულ	ქალი	კაცი
მწეველი	**10,2**	**0,9**	**19,4**
არამწეველი	**89,8**	**99,1**	**80,6**

რეგიონულ ჭრილში ეს მაჩვენებლები საკმაოდ განსხვავებულია. რეგულარული მწეველების მაღალი წილი დაფიქსირდა თბილისსა (26,9%) და კახეთის რეგიონში (26,5%), რაც თითქმის ორჯერ მეტია ქვემო ქართლსა (13,6%) და სამცხე–ჯავახეთთან (14%) შედარებით. ამ ორ უკანასკნელ რეგიონში რეგულარული მწეველების ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ცხრილი 3.4 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება სიგარეტის რეგულარული მოწევის მიხედვით, %



[12]რეგულარული მოწევს უნდა გავიგოთ, როგორც ყოველდღიური მოწევა – მაშინაც კი, თუ ადამიანი მოიხმარს თამბაქოს მცირე ოდენობას.

მწეველი	26.5	26.9	20.6	13.8	14.0	21.3	24.7	21.7	18.1	17.1	**21.6**
არამწეველი	73.5	73.1	79.4	86.2	86.0	78.7	75.3	78.3	81.9	82.9	**78.4**
ქალი											
მწეველი	2.0	10.1	0.0	0.9	0.0	5.9	7.1	0.0	0.3	0.0	**4.1**
არამწეველი	98.0	89.9	100.0	99.1	100.0	94.1	92.9	100.0	99.7	100.0	**95.9**
კაცი											
მწეველი	50.2	45.7	40.0	26.5	27.3	37.5	43.0	43.9	35.8	33.7	**39.6**
არამწეველი	49.8	54.3	60.0	73.5	72.7	62.5	57.0	56.1	64.2	66.3	**60.4**

მწეველ ქალთა პროცენტული მაჩვენებლით, დანარჩენ რეგიონებთან შედარებით გამორჩეულია თბილისის, აჭარისა და გურიის რეგიონები. რაც შეეხება მწეველ ახალგაზრდა კაცებს, რეგიონებში გამორჩეულია კახეთი, სადაც კაცების ნახევარი აცხადებს, რომ რეგულარული მწეველია. მწეველ კაცთა მაღალი წილით გამოირჩევა ასევე თბილისი (45,7%).

ქალაქ–სოფლის ჭრილში განხილვისას აღმოჩნდა, რომ ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 23,1%, მათივე განცხადებით, რეგულარული მწეველია, მათ ოდნავ ჩამორჩება სოფლის ანალოგიური მაჩვენებელი - 19,9%. სქესის ჭრილშიც უმრავლესობას კაცები წარმოადგენენ. ქალაქში მცხოვრები კაცების 41,3% მწეველია, სოფელში მცხოვრები რეგულარულად მწეველი კაცების წილი ოდნავ ნაკლებია (37,7%). რაც შეეხება რეგულარულად მწეველ ახალგაზრდა ქალებს, სოფელში მათი წილი ძალიან დაბალია და 1,1%-ს შეადგენს, ხოლო ქალაქში ანალოგიური მაჩვენებელი თითქმის 6-ჯერ მეტია და 6,5%-ს შედგენს.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების რეგულარულად მოწევის დაწყების საშუალო ასაკი 17 წელია. რეგიონებიდან მოწევის დაწყების საშუალო ასაკი შედარებით მაღალია შიდა ქართლისა და სამეგრელოს რეგიონებში (18 წელი), დანარჩენ რეგიონებთან შედარებით ყველაზე ადრეულ ასაკში რეგულარულად სიგარეტის მოწევას იწყებენ აჭარის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები, საშუალოდ 16 წლის ასაკში. აღნიშნული მაჩვენებლის სქესის ჭრილში განხილვისას აღმოჩნდა, რომ ქალებში სიგარეტის მოწევის დაწყების საშუალო ასაკი 18 წელია, ხოლო კაცებში ანალოგიური მაჩვენებელი 17 წელს უტოლდება.

დიაგრამა 3.2 15-29 წლის ახალგაზრდებში მოწევის დაწყების საშუალო ასაკი (წელი)



საქართველოში მცხოვრები მწეველი ახალგაზრდები დღეში საშუალოდ 18 ღერ სიგარეტს ეწევიან. რეგიონულ ჭრილში აღნიშნული მაჩვენებლების განხილვისას აღმოჩნდა, რომ დღეში საშუალოდ ყველაზე მეტს (22 ღერი) ეწევიან შიდა ქართლის რეგიონში, 1.3-ჯერ ნაკლებს ეწევიან კახეთის რეგიონში, სადაც ეს მაჩვენებელი

ყველაზე დაბალია რეგიონებს შორის (საშუალოდ 16 ღერი დღეში), დანარჩენ რეგიონებში ახალგაზრდები დღეში საშუალოდ 17-20 ღერს ეწევიან.

დიაგრამა 3.3 15-29 წლის ახალგაზრდებში მოწეული სიგარეტის ღერების საშუალო რაოდენობა დღეში (ერთეული)



ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მწეველთა უდიდესი ნაწილი (57,8%) დღეში 10-დან 20 ღერამდე, 27,8% - 10 ღერს ან ნაკლებს, ხოლო 14,4% – დღეში 20 ღერზე მეტს ეწევა.

6.1.3 ალკოჰოლური სასმელების მოხმარება ახალგაზრდებში

ქვეყნის მასშტაბით იმ ახალგაზრდების წილი, ვინც აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მიიღო ალკოჰოლური სასმელი, 63,4%-ს შეადგენს. ქალებში ეს მაჩვენებელი 45,9%-ია, თითქმის 2-ჯერ მეტია ახალგაზრდა კაცების წილი, რომლებმაც გასულ 12 თვეში ერთხელ მაინც მიიღო ალკოჰოლური სასმელი და ეს მაჩვენებელი 81,3%-ს შეადგენს.

ცხრილი 3.4 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება ბოლო 12 თვეში ალკოჰოლური სასმელის მოხმარების მიხედვით, %

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე–ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა–მთიანეთი	**საქართველო**
მოიხმარა ალკოჰოლური სასმელი	71.9	76.4	75.1	40.6	60.0	50.4	55.2	50.5	65.9	50.7	**63.4**
არ მოიხმარა ალკოჰოლური სასმელი	28.1	23.6	24.9	59.4	40.0	49.6	44.8	49.5	34.1	49.3	**36.6**
ქალი											
მოიხმარა ალკოჰოლური სასმელი	55.8	63.5	59.3	31.3	31.2	28.9	36.1	22.9	46.1	13.8	**45.9**
არ მოიხმარა ალკოჰოლური სასმელი	44.2	36.5	40.7	68.7	68.8	71.1	63.9	77.1	53.9	86.2	**54.1**
კაცი											
მოიხმარა ალკოჰოლური სასმელი	87.5	90.8	90.0	49.8	87.2	73.1	74.9	78.8	85.6	86.4	**81.3**

არ მოიხმარა ალკოჰოლური სასმელი	12.5	9.2	10.0	50.2	12.8	26.9	25.1	21.2	14.4	13.6	**18.7**

15-29 წლის ახალგაზრდებში ალკოჰოლური სასმელების მოხმარების მხრივ რეგიონებს შორისგამორჩეულია თბილისი, სადაც ახალგაზრდების 76,4%-ს ბოლო 12თვის მანძილზე ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლური სასმელი. თბილისს ამ მაჩვენებლის სიდიდით მცირედით ჩამორჩება შიდა ქართლის (75,1%) და კახეთის რეგიონები (71,9%), ხოლო დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებლი 50-66%-ს შორის მერყეობს. ახალგაზრდების ყველაზე ნაკლები წილი (40,6%) ალკოჰოლურ სასმელს გასული 12 თვის განმავლობაში ქვემო ქართლის რეგიონში მოიხმარს.

მოზარდების წილი, ვინც მოიხმარა ალკოჰოლური სასმელები ბოლო 12 თვის მანძილზე, 60,5%–ის ტოლია. სქესის მიხედვით ეს მაჩვენებელი ქალებში 48,5% და კაცებში 72,4%–ს შეადგენს (იხ. ქვემოთმოყვანილი ცხრილი).

ცხრილი 4. 15 – 19 წლის ახალგაზრდების განაწილება ბოლო 12 თვის მანძილზე ალკოჰოლის მოხმარების მიხედვით, %

	სულ	ქალი	კაცი
მოიხმარა ალკოჰოლური სასმელები	**60.5**	**48.5**	**72.4**
არ მოუხმარია ალკოჰოლური სასმელები	**39.5**	**51.5**	**27.6**

დიაგრამა 3.4 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება ბოლო 12 თვეში ალკოჰოლური სასმელის მოხმარების მიხედვით ქალაქ-სოფლისა და სქესის ჭრილში, %



დიაგრამა 3.4-დან ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდები ქალაქში უფრო მეტად ეტანებიან სასმელს, ვიდრე სოფელში. სქესის მიხედვითაც გასულ 12 თვეში ქალაქში მცხოვრები ქალების მაღალი წილი მოიხმარდა ალკოჰოლურ სასმელებს, ვიდრე სოფელში, შესაბამისად სოფელში მცხოვრები ქალების მხოლოდ მესამედი (33,6), ხოლო ქალაქში მცხოვრები ქალების ნახევარზე მეტი (56,1%). გასულ 12 თვეში ახალგაზრდა კაცებში ალკოჰოლის მოხმარებით კვლავ ქალაქი (87,7%) გამოირჩევა, თუმცა მას დიდად არ ჩამორჩება სოფლის ანალოგიური მაჩვენებელი - 74,5%.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების ნახევარზე მეტი მოიხმარდა ალკოჰოლურ სასმელს გასული 12 თვის განმავლობაში, მათ მიერ ალკოჰოლური სასმლის მიღების სიხშირე საკმაოდ დაბალია. საქართველოს

მასშტაბით 15-29 წლის ახალგაზრდების უმეტესი წილი (66,8%) მათგან, ვინც ერთხელ მაინც მიიღო ალკოჰოლური სასმელი გასული 12 თვის მანძილზე, თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს. იმ ახალგაზრდების წილი, ვინც თვეში 1-3 დღე მოიხმარდა ალკოჰოლს, ამ მაჩვენებელზე 3-ჯერ ნაკლებია და 19.4%-შეადგენს. შედარებით მცირეა იმ ახალგაზრდების წილი, ვინც კვირაში 1-2 დღე იღებდა ალკოჰოლურ სასმელს (11%), ძალიან მცირეა იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც ალკოჰოლსკვირაში 3-7 დღე მოიხმარდნენ (2,8%).

ცხრილი 3.5 15-29 წლის იმ ახალგაზრდების განაწილება, ვისაც ბოლო 12 თვეში ერხელ მაინც მიუღია ალკოჰოლური სასმელი, ალკოჰოლის მოხმარების სიხშირის მიხედვით, %

	ქ. თბილისი	სხვაქალაქები	სოფელი	საქართველო
ყოველდღე	0.5	0.3	0.1	0.3
5-6 დღე კვირაში	0.3	0.2	0.4	0.3
3-4 დღე კვირაში	2.0	1.8	2.6	2.2
1-2 დღე კვირაში	8.9	12.1	11.9	11.0
1-3 დღე თვეში	23.5	19.4	15.9	19.4
თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად	64.7	66.2	68.9	66.8

ალკოჰოლის მოხმარების სიხშირე 15–19 წლის ასაკის მოზარდებში დიდად არ განსხვავდება ალკოჰოლის მიღების სიხშირიდან 15–29 წლის ახალგაზრდებში. (იხ. ცხრილი 3.6)

ცხრილი 3.6 15-19 წლის იმ ახალგაზრდების განაწილება, ვისაც ბოლო 12 თვეში ერხელ მაინც მიუღია ალკოჰოლური სასმელი, ალკოჰოლის მოხმარების სიხშირის მიხედვით, %

	საქართველო
ყოველდღე	**0.1**
5-6 დღე კვირაში	**0.5**
3-4 დღე კვირაში	**0.8**
1-2 დღე კვირაში	**4.1**
1-3 დღე თვეში	**10.0**
თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად	**84.4**

თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი (64,7%) აცხადებს, რომ თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს. აღსანიშნავია, რომ იმ ახალგაზრდების წილი, ვინც დააფიქსირა, რომ ალკოჰოლურ სასმელს თვეში 1-3 დღე იღებდა, ყველაზე მაღალია თბილისში (23,5%) და სოფლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7,6 პროცენტული პუნქტით აღემატება, ხოლო სხვა ქალაქებში აღნიშნული მაჩვენებელი 19,4%-ს შეადგენს. ყველაზე მაღალი წილი, ვინც ალკოჰოლურ სასმელს კვირაში 1-2 დღე იღებდა, სხვა ქალაქებში (12,1%), და სოფელში (11,9%) დაფიქსირდა, თბილისში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 8,9%-ს შეადგენს.

15-29 წლის ახალგაზრდები, ვინც განაცხადა, რომ მიიღო ალკოჰოლური სასმელი გასული 12 თვის მანძილზე, საშუალოდ თვეში ყველაზე დიდი ოდენობით იღებდა ლუდს (2,4ლ), ღვინოს და შამპანურს (1,7ლ), შედარებით მცირე ოდენობით (0,6ლ) ძლიერ ალკოჰოლურ სასმელებს (არაყი, კონიაკი, ვისკი და ა.შ.) დამხოლოდ 0.2 ლიტრის ოდენობით – საშუალო სიძლიერის ალკოჰოლურ სასმელებს (ლიქიორი, მარტინი, პორტვეინი და ა.შ.).

ცხრილი 3.7 15-29 წლის ახალგაზრდებში ბოლო 12 თვეში ალკოჰოლური სასმელების საშუალო თვიური მოხმარება, გაანგარიშებული ერთ პირზე, ვინც ამ პერიოდში მიიღო ალკოჰოლური სასმელი (ლიტრი)

	ქ.თბილისი	სხვა ქალაქები	სოფელი	**საქართველო**
ძლიერი ალკოჰოლური სასმელები (არაყი, კონიაკი, ვისკი და ა.შ.)	0.3	0.6	1.1	**0.6**
საშუალო სიძლიერის ალკოჰოლური სასმელები (ლიქიორი, მარტინი, პორტვეინიდა ა.შ.)	0.3	0.2	0.3	**0.2**
შედარებით სუსტია ლკოჰოლური სასმელები (ღვინო, შამპანური)	0.8	1.7	2.2	**1.7**
სუსტი ალკოჰოლური სასმელები (ლუდი)	2.1	2.5	2.5	**2.4**

ზემოთაღნიშნული ცხრილი აჩვენებს, რომ ყველა სახის ალკოჰოლური სასმელის (ძლიერი, საშუალო სიძლიერის, შედარებით სუსტი და სუსტი) მოხმარება სოფლად ბევრად მეტია, ვიდრე თბილისსა და სხვა ქალაქებში.

ცხრილი 3.8 ბოლო 12 თვის განმავლობაში ალკოჰოლური სასმელების საშუალო თვიური მოხმარება 15–19 წლის ახალგაზრდებში, რომლებმაც ამ პერიოდში მიიღეს ალკოჰოლი (ლ)

	საქართველო
ძლიერი ალკოჰოლური სასმელები (არაყი, კონიაკი, ვისკი და სხვ.)	**0.3**
საშუალო სიძლიერის ალკოჰოლური სასმელები (ლიქიორი, მარტინი, პორტვეინი და სხვ.)	**0.2**
შედარებით სუსტი ალკოჰოლური სასმელები (ღვინო და შამპანური)	**0.8**
სუსტი ალკოჰოლური სასმელები	**1.4**

აღნიშნულ მაჩვენებელზე სქესის ჭრილში დაკვირვებისას შეიძლება ითქვას, რომ ქალები კაცებთან შედარებით ძალიან მცირე ოდენობით ალკოჰოლურ სასმელებს მოიხმარენ. ირკვევა, რომ ქალები ძლიერ ალკოჰოლურ სასმელებს და ლუდს სხვა ქალაქებში (0,2ლ; 0,8ლ) უფრო მეტს მოიხმარენ, ვიდრე თბილისსა (0,1ლ; 0,7ლ) და სოფლებში (0,1ლ; 0,5ლ).

6.2 ახალგაზრდების მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებში

15-29 წლის ახალგაზრდების ნახევარზე მეტს (52,2%) ბოლო 12 თვის განმავლობაში მიღებული აქვს სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში დაფიქსირდა (62,9%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (24,4%).

ცხრილი 3.9 15-29 წლის ახალგაზრდების სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობის მაჩვენებელი გასულ 12 თვეში, რეგიონულ და სქესის ჭრილში, %

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე–ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა–მთიანეთი	**საქართველო**
მიმართა	51.2	62.9	55.0	40.6	38.1	58.0	46.7	44.4	52.1	24.4	**52.2**
არ მიმართა	48.8	37.1	45.0	59.4	61.9	42.0	53.3	55.6	47.9	75.6	**47.8**
ქალი											
მიმართა	61.2	68.5	71.9	48.6	59.0	63.3	60.3	47.1	62.7	31.3	**60.9**
არ მიმართა	38.8	31.5	28.1	51.4	41.0	36.7	39.7	52.9	37.3	68.7	**39.1**
კაცი											
მიმართა	41.5	56.6	39.1	32.9	18.4	52.3	32.6	41.6	41.5	17.6	**43.4**
არ მიმართა	58.5	43.4	60.9	67.1	81.6	47.7	67.4	58.4	58.5	82.4	**56.6**

აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა ქალები უფრო ხშირად მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს, ვიდრე მათი თანატოლი მამრობითი სქესის წარმომადგენლები. ეს ტენდენცია ყველა რეგიონში შენარჩუნებულია.

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის ჭრილშიც. ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 60,9%, ხოლო სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ 42,4% იყო ნამყოფი ბოლო 12 თვის განმავლობაში სამედიცინო დაწესებულებაში. ქალაქში მცხოვრებ კაცებში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია (52,9%) სოფელში მცხოვრები კაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე (33,2%).

საკმაოდ მრავალფეროვანია იმ სამედიცინო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელსაც 15-39 წლის ახალგაზრდებმა ბოლო ვიზიტისას მიმართეს. საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდები ყველაზე ხშირად მიმართავდნენ პოლიკლინიკებს (27,6%) და ზოგადი პროფილის საავადმყოფოებს (23,2%). თბილისში ახალგაზრდების ყველაზე დიდმა წილმა (39,5%) მიმართა პოლიკლინიკებს. სტომატოლოგთან ვიზიტების თითქმის თანაბარი მაჩვენებელია თბილისსა და სოფლებში (11,4-12,2%), ცოტათი ჩამორჩება მათ სხვა ქალაქების ანალოგიური მაჩვენებელი და ის 9,4%-ს შეადგენს.

ცხრილი 3.10 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება სამედიცინო დაწესებულებების მიხედვით, რომელთაც მიმართეს უკანასკნელი ვიზიტისას, %

	ქ.თბილისი	სხვა ქალაქები	სოფელი	საქართველო
ექიმის ვიზიტი ბინაზე	1.8	4.1	4.9	3.6
სოფლის ამბულატორია	0.0	0.7	11.4	4.4
პოლიკლინიკა	39.5	27.3	16.5	27.6

ქალთა კონსულტაცია	9.2	16.4	12.3	12.4[1313]
ზოგადი პროფილის საავადმყოფო	19.0	24.6	26.2	23.2
სამშობიარო სახლი	3.8	3.3	7.4	5.0
სხვა სპეციალიზირებული საავადმყოფოები	4.5	2.7	2.7	3.3
სტომატოლოგიური კლინიკა/კაბინეტი	11.7	9.4	11.8	11.1
დიაგნოსტიკური ცენტრი	5.3	5.4	1.0	3.8
კერძო კაბინეტი/სპეციალისტის კაბინეტი	2.1	2.4	2.0	2.1
სხვა დაწესებულებები	3.1	3.5	3.8	3.5

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობამ (52,1%) კითხვაზე „თუ ამის საჭიროება იყო, მიიღეთ თუ არა ინფორმაცია, სად უნდა მიგეღოთ შემდგომი მომსახურება (სპეციფიკური სამედიცინო, ფსიქო-სოციალური)“[13] უპასუხა, რომ ამის საჭიროება მათთვის არ დამდგარა. იმ ახალგაზრდებმა, ვინც შემდგომ მომსახურებას საჭიროებდნენ, ძირითადად (83%) ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს, ნაწილობრივი ინფორმაცია მიიღო ამ ახალგაზრდების მხოლოდ 10,6%–მა. აღსანიშნავია, რომ ძალიან მცირეა იმ ახალგაზრდების წილი (6,5%), ვინც შემდგომ სამედიცინო მომსახურებას საჭიროებდა, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია საერთოდ ვერ მიიღო.

საქართველოში იმ ახალგაზრდების წილი, რომელთაც გასულ 12 თვეში დასჭირდათ, მაგრამ არ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებებს, 26,6%-ს შეადგენს. თბილისში ახალგაზრდების თითქმის მესამედი ვერ ახერხებს სამედიცინო დაწესებულებაში მისვლას საჭიროების დროს.

ცხრილი 3.11 15-29 წლის ახალგაზრდების საჭიროების შემთხვევაში მიმართვიანობის მაჩვენებელი სამედიცინო დაწესებულებებში გასული 12 თვის მანძილზე, %

რეგიონი	სულ		ქალი		კაცი	
	არ/ვერ მიმართა	მიმართა	არ/ვერ მიმართა	მიმართა	არ/ვერ მიმართა	მიმართა
კახეთი	25.7	74.3	29.9	70.1	21.6	78.4
თბილისი	32.3	67.7	38.9	61.1	25.0	75.0
შიდა ქართლი	28.2	71.8	36.0	64.0	20.9	79.1
ქვემო ქართლი	22.9	77.1	26.8	73.2	19.1	80.9
სამცხე–ჯავახეთი	19.0	81.0	13.0	87.0	24.6	75.4
აჭარის ა.რ.	25.4	74.6	24.8	75.2	26.1	73.9
გურია	22.7	77.3	17.4	82.6	28.2	71.8
სამეგრელო	21.6	78.4	24.9	75.1	18.3	81.7
იმერეთი	23.6	76.4	32.5	67.5	14.9	85.1
მცხეთა–მთიანეთი	35.4	64.6	44.3	55.7	26.8	73.2

[13]ეს შეკითხვა დასმული იყო ქალებისათვის

საქართველო	**26.6**	**73.4**	**31.4**	**68.6**	**21.7**	**78.3**

აღნიშნული მაჩვენებლის სქესის მიხედვით განხილვისას აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა ქალების უფრო მაღალი წილი ვერ მიმართავს საჭიროების შემთხვევაში ექიმს, ვიდრე მათი თანატოლი კაცების.

ქალაქ-სოფლის ჭრილში იმ ახალგაზრდების წილი, რომელთაც გასულ 12 თვეში დასჭირდათ და ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებებს, განსხვავებულია, კერძოდ, ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების წილი, ვინც ვერ/არ მიმართა საჭიროების შემთხვევაში ექიმს, 30,3%-ს უტოლდება, შედარებით დაბალია სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების წილი, ვინც ვერ მივიდა სამედიცინო დაწესებულებაში საჭიროების დროს (22,4%).

ძირითად მიზეზად, თუ რატომ ვერ მიმართავს ექიმს, საქართველოში მცხოვრები 15-29 წლის ახალგაზრდების უმეტესობა (63,8%), სამედიცინო მომსახურეობაზემაღალ ფასებსასახელებს (საჭიროების შემთხვევაში ვერ მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს). ახალგაზრდების 19,3% - მა აღნიშნა, რომ მდგომარეობას არ თვლიდნენ სერიოზულად, 11,6% მალევე გამოჯანმრთელდა და ამის გამო მკურნალობისათვის არ მიმართა ექიმს; ახალგაზრდების 10%-მა ექიმთან მიუსვლელობის ძირითად მიზეზად დაასახელა დროის უქონლობა. ექიმთან მიუსვლელობის სხვა დანარჩენი მიზეზების მაქსიმალური წილი 3%-ს არ აღემატება.

ცხრილი 3.12: ძირითადი მიზეზების მიხედვით 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, რომელთაც დასჭირდათ და ვერ მიმართეს ექიმს %.

არ მივიჩნიე სერიოზულად	19.3
მალევე გავხდი უკეთესად	11.6
ვერ მივედი დაწესებულებაში მისი ადგილმდებარეობის გამო	1.7
ვერ მივედი დაწესებულებაში იმის გამო, რომ არ იყო მოსახერხებელი	2.6
ძალიან ძვირია/არ მაქვს საკმარისი თანხა	63.8
ვერ დავადგინე კარგი სპეციალისტი/ექიმი	3.2
არ ვიცოდი ვისთვის მიმემართა	0.7
არ ვენდობი ჯანდაცვის სისტემას	1.1
თვითონ ვარ (ან შინამეურნეობის წევრი არის) ექიმი	0.1
ვიცი (ან შინამეურნეობის წევრმა იცის) როგორ ვიმკურნალო	0.8
დრო არ მქონდა	10.0
ექიმის ან/და მკურნალობის შიში	2.3

*ექიმთან არ მიმართვის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ერთზე მეტი, შესაბამისად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მონაცემების ჯამი 100%-ს აღემატება.

რეგიონის დონეზეც,საჭიროებისას სამედიცინო დაწესებულების არ/ვერ მიმართვის ანალოგიური სამი ძირითადი მიზეზი გამოიკვეთა. კერძოდ, ახალგაზრდების უმეტესობისათვის სამედიცინო მომსახურება ძალიან ძვირია და არ აქვთ საკმარისი თანხა, არ მიიჩნიეს ავადმყოფობა სერიოზულად, მალევე გახდნენ უკეთ და ამ მიზეზების გამო არ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას. როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონის დონეზეც, ამ სამ მიზეზში კვლავ დომინირებს მომსახურების სიძვირე.

6.3 ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობა სამედიცინო დაწესებულებებში

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი (82,2%) აცხადებს, რომ სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც ისინი უკანასკნელი ვიზიტისას იმყოფებოდნენ, ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი გარემო დახვდათ. ქ. თბილისის, სხვა ქალაქებისა და სოფლის ანალოგიური მაჩვენებლების შედარებისას ირკვევა, რომ ქ. თბილისში მცირედით ნაკლებია იმ ახალგაზრდების წილი, ვინც კმაყოფილია სამედიცინო დაწესებულებებში მიღებული მომსახურეობით (79,5%).

დიაგრამა 3.5: 15 -29 წლის ახალგაზრდების სამედიცინო დაწესებულებებში მიღებული მომსახურების კმაყოფილების დონე, %.



იგივე ტენდენციაა შენარჩუნებული სქესის მიხედვითაც:15-20 წლისახალგაზრდა ქალების 82,6%, ხოლო კაცების 81,6% აცხადებს, რომ კმაყოფილია უკანასკნელი ვიზიტისასმიღებული მომსახურეობით.

15-19 წლის მოზარდების 8,4%-მა განაცხადა, რომ კმაყოფილია ჯანდაცვის მიღებული მომსახურეობით,10,2% - ნაწილობრივ კმაყოფილია და მხოლოდ5,1 % -მაგანაცხადა, რომ უკმაყოფილოა მიღებული სამედიცინო მომსახურეობით.

ცხრილი 3.13.15 -19 წლის ახალგაზრდების სამედიცინო დაწესებულებებში მიღებული მომსახურეობით კმაყოფილების დონე, %.

	საქართველო
კმაყოფილი	**84.8**
ნაწილობრივ კმაყოფილი	**10.2**
უკმაყოფილო	**5.1**

6.4 სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

6.4.1.სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების უდიდეს ნაწილს (89,9%) სმენია აივ/შიდსის შესახებ. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისში, სადაც მოსახლეობის 98,5% ინფორმირებულია აივ-ის შესახებ, ხოლო ყველაზე დაბალია ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც ახალგაზრდების მხოლოდ 60,8%-მა განაცხადა, რომ სმენიათ აივ/შიდსის შესახებ.

დიაგრამა 3.6. 15-29 წლის ახალგაზრდების მაჩვენებლები, აივ/შიდსზე ინფორმირებულობის მიხედვით, %



თითქმის თანაბრად ნაწილდება აღნიშნული მაჩვენებელი სქესის მიხედვით, თუმცა 15-29 წლის ქალებისწილი,რომლებიც ინფორმირებულნი არიან აივ/შიდსის შესახებ, მცირედითმაღალია (91,2%), ვიდრე იგივე ასაკის ახალგაზრდა მამაკაცებისა (88,4%). რაც შეეხებათ 15-19ასაკის მოზარდებს, მათი 85,9 % -ს სმენია აივ/შიდსის შესახებ (87,6 % გოგონებს და 84,2 % ბიჭებს). იხ. ცხრილი:

ცხრილი 3.14: 15-19 წლის მოზარდთა მაჩვენებელი, რომელთაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ, %.

	სულ	გოგონები	ბიჭები
სმენიათ	**85.9**	**87.6**	**84.2**
არ სმენიათ	**14.1**	**12.4**	**15.8**

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 17,4%-მა, რომლებიც აცხადებენ, რომ სმენიათ აივ ინფექციაზე, დაასახელა ყველა სწორი პასუხი აივ ინფექციის გადაცემის გზების შესახებ, როგორიცაა: *დაუცველი სქესობრივი კონტაქტი, ნარკოტიკის ინექციური მოხმარების დროსშპრიცების გაზიარება, აივ ინფიცირებული დედიდან შვილზე გადაცემა.* რაც შეეხებათ 15-19 ასაკის მოზარდებს, მხოლოდ 14,9 % -მა, რომელთაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ, დაასახელა ყველა სწორი პასუხი აივ ინფექციის გადაცემის გზების შესახებ. ჩამოთვლილი ვარიანტებიდან სულ მცირე ორი სწორად დაასახელა15-29 ასაკის ახალგაზრდების უდიდესმა ნაწილმა (85,8%). ეს ინდიკატორი თითქმის იგივეა 15-19 ასაკის მოზარდებს შორისაც (83,6%). ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ შიდსი უმეტესად შეიძლება გადაედოს ადამიანს დაუცველი სქესობრივი კონტაქტით (94,6%) ან დაინფიცირებული შპრიცების გაზიარებით ნარკოტიკის ინექციური მოხმარების დროს (87,8%). ახალგაზრდების თითქმის მესამედი ფიქრობს აგრეთვე, რომ აივ ინფექცია შეიძლება გადაეცეს აივ ინფიცირებული დედიდან შვილზე.

რაც შეეხებაააივ - ის შესახებ არასწორ პასუხებს, შედეგები ასეთია:ახალგაზრდების 17,2%ფიქრობს, რომ აივ ინფექციააგრეთვე გადაედება კოღოს ნაკბენით,6% - ჰაერწვეთოვანი გზით და13,6% - აივ ინფიცირებულის ნაპირალი ჭიქის, საერთო ტუალეტის, აუზის, საუნის გამოყენებით. იმ ახალგაზრდების ძალიან მცირე ნაწილი 1,2 %, ვინც განაცხადა რომ სმენიათაივ/შიდსის შესახებ, თვლის, რომ აივ ინფექციაშეიძლება ხელის ჩამორთმევითაც გადაედოს ადამიანს. ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც აივ-ის გადაცემის გზებიდან სწორად ვერცერთს ვერ ასახელებს ძალიან მცირეა და 1,6% შეადგენს.

ცხრილი 3.15: 15-29 წლის ახალგაზრდების მონაცემები, მათ მიერ დასახელებული აივ ინფექციის გადაცემის გზების მიხედვით, % (ისინი ვისაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ).

	კახეთი	თბილისი	მცდაქართლი	ქვემოქართლი	სამცხე–ჯავახეთი	აჭარისა.რ.	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა–მთიანეთი	**საქართველო**
სქესობრივი კონტაქტით პრეზერვატივის გარეშე	88.4	97.7	93.5	87.7	97.5	97.3	94.5	92.5	94.1	98.3	94.6
შპრიცების გაზიარებით ნარკოტიკის ინექციური მოხმარების დროს	83.7	93.6	86.7	74.6	83.3	94.2	65.6	86.5	86.5	95.3	87.8
აივ ინფიცირებული დედიდან შვილზე	30.9	32.4	26.3	26.3	29.5	17.8	26.1	20.1	40.8	49.0	30.3
ხელის ჩამორთმევით	2.5	0.4	2.9	2.7	0.4	0.9	1.1	0.0	1.8	0.0	1.2
ჰაერ-წვეთოვანი გზით	4.9	5.8	9.1	4.1	2.9	9.4	9.4	4.7	7.0	0.6	6.0
კოღოს ნაკბენით	38.3	17.7	23.1	9.7	6.8	10.3	10.0	8.8	19.7	13.9	17.2
აივ ინფიცირებულის ნაპირალი ჭიქის, საერთო ტუალეტის, აუზის, საუნის გამოყენებით	8.8	14.9	11.8	15.4	7.6	10.9	2.8	10.6	17.2	32.2	13.6
არც ერთი ჩამოთვლილთაგან	0.3	0.5	2.3	6.3	0.0	0.4	4.4	0.0	0.6	0.0	1.1

რაც შეეხებათ 15-19 ასაკის მოზარდებს, მათი 16,5 %,ვისაც სმენია აივ/შიდსის შესახებ, ფიქრობს, რომ აივ ინფექცია შეიძლება გადაეცეს კოღოს ნაკბენით; 6,2 % ფიქრობს, რომ შეიძლება გადაეცეს ჰაერწვეთოვანი გზით,ხოლო 13,8% - აივ ინფიცირებულის ნაპირალი ჭიქის, საერთო ტუალეტის, აუზის, საუნის გამოყენებით.იხ. ცხრილი:

ცხრილი 3.16: 15-19 წლის ახალგაზრდების მონაცემები, მათ მიერ დასახელებული აივ ინფექციის გადაცემის გზების მიხედვით, % (ისინი ვისაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ).

	საქართველო
სქესობრივი კონტაქტით პრეზერვატივის გარეშე	**91.3**
შპრიცების გაზიარებით ნარკოტიკის ინექციური მოხმარების დროს	**87.6**
აივ ინფიცირებული დედიდან შვილზე	**27.7**
ხელის ჩამორთმევით	**1.2**
ჰაერ-წვეთოვანი გზით	**6.2**
კოღოს ნაკბენით	**16.5**
აივ ინფიცირებულის ნაპირალი ჭიქის, საერთო ტუალეტის, აუზის, საუნის გამოყენებით	**13.8**
არც ერთი ჩამოთვლილთაგან	**1.5**

საქართველოში ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი, მათი ვინც სწორად დაასახელეს აივ ინფექციის პრევენციის გზები და მათიც, ვინც არასწორი პასუხები გასცეს აივ ინფექციის გადადების შესახებ, არის 49,3 %.

ცხრილი 3.17 იმ ახალგაზრდების წილი, რომლებმაც სწორად დაასახელეს აივ ინფექციის გადაცემის გზები და უარყვეს არასწორი პასუხები აივ ინფექციის გადაცემის გზების შესახებ %

	15-19	20-24	25-29	15-29
ქალი	45.0	51.9	52.8	49.8
კაცი	44.8	52.2	49.2	48.7
სულ	44.9	52.0	51.1	49.3

ნუმერატორი:15-19 ასაკის რესპოდენტთა რაოდენობა, რომელთაც სწორი პასუხი გასცეს ხუთივე შეკითხვას: Q58-1, Q58-2, Q58-6, Q58-7, Q59;

დენომინატორი: 15-29 ასაკის რესპოდენტთა რაოდენობა, (მოიცავს მთელს ნიმუშს, მათშორის მათაც, ვინც განაცხადა, რომ არ სმენიათ აივ/შიდსის შესახებ).

ქვეყნის მასშტაბით, ისევე, როგორც რეგიონების დონეზე, ახალგაზრდების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ გარეგნულად ჯანმრთელი ადამიანი შეიძლება იყოსაივ ინფიცირებული (80-90%). შედარებით ნაკლები იზიარებს ამ მოსაზრებას ქვემო ქართლის რეგიონში (76,7%).

დიაგრამა 3.7: 15-29 წლის მოზარდების მიერ დასახელებული პასუხების განაწილება კითხვაზე: "გარეგნულად ჯანმრთელი ადამიანი შეიძლება თუ არაიყოს აივ ინფიცირებული", %.



კითხვარში აივ ინფექციის გადაცემის თავიდან აცილების 5 შესაძლო პასუხიდან სწორი იყო შემდეგი სამი:*პრეზერვატივის რეგულარული სწორი მოხმარება, სვირინგის (ტატუ) და პირსინგის გაკეთება მხოლოდ სერთიფიცირებულ ცენტრებში, აივ ინფიცირებულმა ორსულმა ქალმაუნდა მიიღოს მედიკამენტები, ვირუსის შვილზე გადაცემის თავიდან აცილების მიზნით.* ამ საკითხთან დაკავშირებით, 15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა პრეზერვატივის რეგულარულად სწორ მოხმარებას ასახელებს (84,5%). აივ ინფექციის თავიდან აცილების მიზნით სვირინგის (ტატუ) და პირსინგის გაკეთება, მხოლოდ სერთიფიცირებულ ცენტრებში ახალგაზრდების 42,2%-მა დაასახელა, ხოლო აივ ინფიცირებისგან თავისდამცავ საშუალებად უფრო მცირე წილი (24,2%) მიიჩნევს რომ *აივ ინფიცირებულმა ორსულმა ქალმა ვირუსის შვილზე გადაცემის თავიდან აცილების მიზნით უნდა მიიღოს მედიკამენტები.*

ცხრილი 3.18: 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, მათ მიერ დასახელებული აივ ინფექციის გადაცემის თავიდან აცილების საშუალებების მიხედვით რეგიონულ ჭრილში, %.

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე–ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა–მთიანეთი	**საქართველო**
პრეზერვატივის რეგულარული სწორი მოხმარება	78.5	87.6	80.3	71.9	88.7	82.2	94.5	90.9	81.5	99.1	84.5
ინექციური (შპრიცის გამოყენებით) ნარკოტიკების მოხმარებაზე უარის თქმა	87.8	87.5	77.3	71.3	84.6	92.1	65.0	84.4	79.8	92.5	83.7
სქესობრივი ცხოვრების დაწყების გადავადება	16.7	18.4	18.7	25.6	22.6	35.0	6.3	8.6	20.7	43.5	20.3

სვირინგის (ტატუ) და პირსინგის გაკეთება მხოლოდ სერთიფიცირებულ ცენტრებში	40.2	53.8	50.1	25.8	21.6	31.6	18.1	27.5	44.0	71.2	42.2
თუ ორსული ქალი აივ ინფიცირებულია, უნდა მიიღოს მედიკამენტები დედიდან შვილზე აივის გადაცემის თავიდან ასაცილებლად	23.4	25.6	23.6	18.7	26.8	15.8	13.5	17.2	32.3	39.2	24.2
არც ერთი ჩამოთვლილთაგან	2.3	2.1	6.1	6.3	0.0	1.1	3.4	0.5	1.0	0.9	2.3

* დასაშვები იყო ერთზე მეტი აივ ინფექციის გადაცემის თავიდან აცილების საშუალების დასახელება, შესაბამისად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პასუხებისჯამი 100%-ს აღემატება.

იმ ახალგაზრდების წილი, ვინც სულ მცირე ორი სწორი პასუხი მაინც დაასახელა ქვეყნის მასშტაბით 45,7%-ია. რეგიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი (იმ ახალგაზრდების წილი ვინც სულ მცირე ორი სწორი პასუხი გასცა) ყველაზე მაღალია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (83,5%), შემდეგ მოდის თბილისისა (56%) და იმერეთის (50,2%) რეგიონები. ყველაზე დაბალი წილი ახალგაზრდებისა, რომელთაც ზემოთ აღნიშნულ კითხვაზე ორი სწორი პასუხი მაინც ჩამოთვალეს, გურიის რეგიონშია (18,8%). აივ ინფექციის გადაცემის თავიდან აცილების ვერცერთი სწორი საშუალება ვერ დაასახელა ახალგაზრდების 3%-მა.

რესპოდენტთა მაღალი წილი აღიარებს, რომ აივ ინპექციის პრევენცია შესაძლებელია თუ თავიდან ავიცილებთ პრეზერვატივის გარეშე სექსს (84,5%) და ასევე ინექციურინარკოტიკის მოხმარების დროსსაერძთო შპრიცების მოხმარებას(83,7%).ახალგაზრდების წილი, რომელთაც აივ ინფექციის გადაცემის პრევენციად დაასახელეს სქესობრივი ცხოვრების დაწყების გადავადება და აივ ინფიცირებული ორსული ქალის მიერ მედიკამენტების მიღება, შესაბამისად იყო 20,3 % და 24,2 %.

იმისათვის, რომ გამოეკვლიათ ახალგაზრდების ცოდნა აივ ინფექციის გადაცემისრისკის შესახებ აივ ინფიცირებული დედიდან ბავშვებზე, რესპოდენტებს მისცეს ხუთი შესაძლო პასუხი კითხვაზე: „თქვენი აზრით შესაძლებელია თუ, არა აივ ინფექცია გადაეცეს აივ ინფიცირებული დედიდან ბავშვებზე“. მათ შორის სამი პასუხი იყო სწორი: *ორსულობისას, მშობიაროობისას, ძუძუთი კვებისას.*

ახალგაზრდა მოსახლეობის 34,7 % - მა, ვისაც სმენია აივ/შიდსის შესახებ, განაცხადა, რომ მათთვის ძნელია ზემოთ აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. 3,6 %- მა თქვა, რომ აივ ინფექცია არ შეიძლება გადაეცეს დედიდან ბავშვებს არც ორსულობის, არც მშობიარობის და არც ძუძუთი კვების დროს. დანარჩენი რესპოდენტების 47,2% -ს სჯერა, რომ აივ ინფექცია აივ პოზიტიური დედისაგან გადაეცემა ბავშვს ორსულობის დროს.

იმ ახალგაზრდების წილი, ვინც დაასახელა სამი სწორი პასუხი ვირუსის გადაცემის შესახებ აივ ინფიცირებული დედისაგან შვილზემ ქვეყნის მასშტაბით 6,5% -ია. ახალგაზრდათა 23,3%- მა დაასახელა ორი სწორი პასუხი. 15-19 ასაკის მოზარდთა პასუხები არ განსხვავდება ზემოთ დასახელებული 15-29 ასაკის ახალგაზრდათა პასუხებისაგან. 15-19 ასაკის მოზარდთა წილი, ვინც დაასახელა სამი სწორი პასუხი ვირუსის გადაცემის შესახებ აივ ინფიცირებული დედისაგან შვილზე ქვეყნის მასშტაბით 6,2% -ია. ახალგაზრდათა 22,2% - მა დაასახელა ორი სწორი პასუხი.

ცხრილი 3.19: 15-29 წლის ახალგაზრდების მიერ დასახელებული პასუხების განაწილება კითხვაზე: “შეიძლება თუ არა შიდსის გამომწვევი ვირუსი გადაეცეს დედიდან შვილს“, %.

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა-მთიანეთი	**საქართველო**
ორსულობის დროს	50.2	43.4	53.8	43.7	42.3	42.1	58.6	52.4	54.0	30.6	47.2
მშობიარობის დროს	31.8	22.5	25.7	13.2	22.4	16.2	14.8	20.5	28.5	26.0	22.8
ძუძუთი კვების დროს	21.4	12.7	21.4	18.7	28.6	20.7	14.4	15.6	41.6	32.7	21.4
არც-ერთი ჩამოთვლილთაგან	2.7	5.1	1.4	5.3	0.4	3.7	2.1	4.3	1.7	2.8	3.6
მიჭირს პასუხის გაცემა	29.1	37.4	34.4	34.0	41.6	39.4	35.7	34.8	27.3	39.6	34.7

* დასაშვები იყო ერთზე მეტი პასუხის დასახელება, შესაბამისად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პასუხებისჯამი 100%-ს აღემატება.

ახალგაზრდების წილი, რომელთაც აივ ვირუსის ინფიცირებული დედისაგან ბავშვზე გადაცემის სამი სწორი გზა დაასახელეს (ორსულობია, მშობიარობა, ძეძუთი კვება), ყველაზე მაღალია იმერეთის რეგიონში 13,7%. ეს ციფრი ყველაზე დაბალია თბილისში, სადაც ახალგაზრდების მხოლოდ 3,7% -მა იცის ვირუსის ინფიცირებული დედისაგან ბავშვზე გადაცემის სამივე გზის შესახებ.

ასევე დაბალია ახალგაზრდების ცოდნა აივ ტესტირებასა და კონსულტაციების შესახებ. 15-29 ასაკის ახალგაზრდების მხოლოდ 57,7 % და მოზარდთა 53,7 % თვლის, რომ აივ ტესტირება არის აივ ინფექციის დიაგნოზირების ერთადერთი საშუალება. იხ. ცხრილი ქვემოთ:

ცხრილი 3.20: 15-29 წლის ახალგაზრდების მიერ დასახელებული პასუხების განაწილება კითხვაზე: არის თუ, არა აივ ტესტირება აივ ინფექციის დიაგნოზირების ერთადერთი საშუალება %; (ისინი ვისაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ).

	თბილისი (ქალაქი)	**სხვა ქალაქები**	**სოფლები**	**საქართველო**
ერთადერთი საშუალებაა	53.4	60.6	58.9	57.7
არ არის ერთადერთისაშუალება	13.3	17.2	11.9	13.7
არ ვიცი	33.3	22.2	29.2	28.6

ცხრილი 3.21: 15-19 წლის ახალგაზრდების მიერ დასახელებული პასუხების განაწილება კითხვაზე: არის თუ, არა აივ ტესტირება აივ ინფექციის დიაგნოზირების ერთადერთი საშუალება %; (ისინი ვისაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ).

	თბილისი (ქალაქი)	**სხვა ქალაქები**	**სოფლები**	**საქართველო**

ერთადერთი საშუალებაა	49.5	53.3	56.4	53.7
არ არის ერთადერთისაშუალება	13.6	21.3	12.7	15.1
არ ვიცი	36.9	25.3	30.8	31.2

15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 12,1% აქვს გავლილი აივ ტესტირება, იგივე ინდიკატორი 15-19 წლის მოზარდებისათვის არის 1.5%. აივ ტესტირების მაჩვენებელი უფრო მაღალია თბილისისა და სხვა ქალაქებისათვის სოფლებთან შდარებით. იხ. ცხრილი ქვემოთ:

ცხრილი 3.22: 15-29 წლის ახალგაზრდების მიერ დასახელებული პასუხების განაწილება კითხვაზე: „გაგივლიათ თუ, არა ოდესმე აივ ტესტირება“ % (ისინი ვისაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ).

	თბილისი (ქალაქი)	**სხვა ქალაქები**	**სოფლები**	**საქართველო**
გაუვლია ტესტირება	14.5	13.4	9.6	12.1
არ გაუვლია ტესტირება	84.4	84.8	88.3	86.2
უჭირს პასუხის გაცემა	1.1	1.8	2.1	1.7

ცხრილი 3.23: 15-19 წლის ახალგაზრდების მიერ დასახელებული პასუხების განაწილება კითხვაზე: „გაგივლიათ თუ, არა ოდესმე აივ ტესტირება“ % (ისინი ვისაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ).

	თბილისი (ქალაქი)	**სხვა ქალაქები**	**სოფლები**	**საქართველო**
გაუვლია ტესტირება	3.2	1.8	0.4	1.5
არ გაუვლია ტესტირება	96.0	97.8	98.6	97.7
უჭირს პასუხის გაცემა	0.7	0.4	1.0	0.8

15-29ასაკის იმ ახალგაზრდების 46% - მა, რომელთაც არ გაუვლიათ ტესტირება განაცხადეს, რომ მათ არასოდეს უფიქრიათ ამის შესახებ, ხოლო 72,9% თვლის, რომ ისინი ინფიცირების ძალიან დაბალი რისკის ქვეშ არიან. იგივე ინდიკატორი 15-19 ასაკის მოზარდებისათვის შესაბამისად არის 47,6 % და 72,7 %. იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი:

ცხრილი 3.24: ძირითადი მიზეზები, თუ რატომ არ გაიარეს აივ ტესტირება 15-29 ასაკის ახალგაზრდებმა %. (ისინი ვისაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ და არასოდეს გაუვლიათ აივ- ტესტირება).

	თბილისი (ქალაქი)	სხვა ქალქები	სოფლები	საქართველო
არასოდეს მიფიქრია ამის შესახებ	33.8	52.1	50.7	46.0
მჯერა, რომ არა ვარ აივ-ინფიცირებული (ვარ ძალიან დაბალი რისკის ქვეშ)	78.2	70.9	70.4	72.9

ცხრილი 3.25: ძირითადი მიზეზები, თუ რატომ არ გაიარეს აივ ტესტირება 15-19 ასაკის მოზარდებმა %. (ისინი ვისაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ და არასოდეს გაუვლიათ აივ -ტესტირება).

	თბილისი (ქალაქი)	სხვა ქალქები	თბილისი (ქალაქი)	სხვა ქალქები
არასოდეს მიფიქრია ამის შესახებ	37.7	56.6	48.7	47.6
მჯერა, რომ არა ვარ აივ-ინფიცირებული (ვარ ძალიან დაბალი რისკის ქვეშ)	75.4	66.9	74.2	72.7

კვლევის შედეგების მიხედვით 15-29 ასაკის ახალგაზრდების მხოლოდ 31 %- მა და 15-19 ასაკის მოზარდთა მხოლოდ 21,8 %- მა იცის სად არის შესაძლებელი აივ-ტესტირების მომსახურების მიღება.იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი:

ცხრილი 3.26: საქართველოში 15-29 ასაკის ახალგაზრდების განაწილება, რომლებმაც იციან სად არის შესაძლებელი აივ-ტესტირების მომსახურების მიღება %. (ისინი ვისაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ)

	თბილისი (ქალაქი)	სხვა ქალქები	თბილისი (ქალაქი)	სხვა ქალქები
იცის	27.4	32.8	34.1	31.7
არ იცის	72.6	67.2	65.9	68.3

ცხრილი 3.27: საქართველოში 15-19 ასაკის ახალგაზრდების განაწილება, რომლებმაც იციან სად არის შესაძლებელი აივ-ტესტირების მომსახურების მიღება %. (ისინი ვისაც სმენიათ აივ/შიდსის შესახებ).

	თბილისი (ქალაქი)	სხვა ქალქები	თბილისი (ქალაქი)	სხვა ქალქები
იცის	12.2	24.5	26.0	21.8
არ იცის	87.8	75.5	74.0	78.2

კითხვარში ჩამოთვლილი სქესობრივი გზით გადამდები ათი შესაძლო დაავადებიდან,შემდეგი შვიდი დაავადება იყო სწორი: *სიფილისი, გონორეა, ქლამიდია, სოკოვანი დაავადებები, გენიტალური ჰერპესი, ტრიქომონიაზი, აივ/შიდსი.*

15-29 ასაკის ახალგაზრდები სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს შორის ყველაზე მეტად (70,5%) *აივ/შიდსის* ვირუსის შესახებ არიანინფორმირებული. ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი გადამდებ დაავადებებში, რომელიც სქესობრივი გზით ვრცელდება, ასევეასახელებენ*სიფილისს* (45,8%) და *სოკოვან დაავადებებს* (47,7%). საკმაოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ სქესობრივი გზით შეიძლება გავრცელდეს *გონორეა* (17,5%), *გენიტალური ჰერპესი* (12,7%), *ტრიქომონიაზი* (11,8%) და *ქლამიდია* (10%). რაც შეეხება არასწორ კატეგორიებს (მენინგიტი, პლევმონია, იმპოტენცია), მათ ახალგაზრდების ძალიან მცირე წილი მოიაზრებს სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებად (0,5-1,8%). 15-29 ასაკის ახალგაზრდებში, მათი წილი ვინც სქესობრივიგზით გადამდები დაავადებებიდან მხოლოდ ყველა სწორი ვარიანტი დაასახელა, ქვეყნის მასშტაბით ძალიან მცირეა და 1,5%-ს არ აღემატება.

ცხრილი 3.28: 15-29 ასაკის ახალგაზრდების განაწილება მათ მიერ დასახელებული სქესობრივიგზით გადამდები დაავადებების მიხედვით, %.

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე–ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა–მთიანეთი	**საქართველო**
სიფილისი	39.4	48.4	36.8	31.0	76.3	53.3	40.7	54.4	47.2	23.2	45.8
გონორეა	22.7	14.8	23.5	9.4	25.3	23.9	38.2	12.0	15.6	22.8	17.5
მენინგიტი	0.8	1.4	4.4	2.6	1.2	0.0	0.9	0.5	3.1	0.7	1.7
ქლამიდია	13.6	13.6	4.1	9.3	11.1	13.1	4.2	6.0	7.7	2.1	10.0
პნევმონია	0.0	0.5	0.0	1.0	0.0	0.0	0.0	1.7	2.4	0.0	0.8
სოკოვანი დაავადებები	42.7	56.4	53.4	46.2	58.4	40.4	37.0	35.2	44.6	36.5	47.7
იმპოტენცია	0.5	1.6	2.9	2.1	0.0	1.0	0.9	3.1	2.7	2.2	1.8
გენიტალური ჰერპესი	7.0	20.5	20.3	6.6	7.6	11.0	6.7	6.7	10.7	3.3	12.7
ტრიქომონიაზი	10.0	14.9	17.0	12.8	11.3	10.0	6.9	9.0	9.3	1.8	11.8
აივ/შიდსი	66.4	81.5	75.3	42.9	56.6	74.3	46.4	73.2	76.0	69.4	70.5
არც ერთი ჩამოთვლილთაგან	0.6	0.0	0.0	2.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.6	1.4	0.5
მიჭირს პასუხის გაცემა	23.1	14.2	15.1	29.4	12.5	15.7	35.9	16.2	16.7	24.8	18.4

* დასაშვები იყო ერთზე მეტი პასუხის დასახელება, შესაბამისად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პასუხებისჯამი 100%-ს აღემატება.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კითხვარში ჩამოთვლილი სქესობრივი გზით გადამდები ათი შესაძლო დაავადებიდან შვიდი დაავადება იყო სწორი.შესაბამისად, ახალგაზრდები, რომლებიც ერთდროულად 8, 9 ან 10 პასუხს ასახელებდნენ, შეძლებდნენ შემთხვევით სწორი პასუხი გამოეცნოთ. ამის გამოსარიცხად აღებულ იქნა ახალგაზრდების ის რაოდენობა, რომლებმაც 7-ზე ნაკლებიპასუხი დაასახელა. ამ პრინციპის გათვალისწინებით უფრო მეტი სიზუსტით შეიძლება გამოჩნდეს სქესობრივი კონტაქტის გზით გადამდებ დაავადებებზე ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე. აღმოჩნდა, რომ 15-29 ასაკის ახალგაზრდების

წილი, ვინც სქესობრივი კონტაქტის გზით გადამდები შესაძლო დაავადებებიდან 7 ან ნაკლები დაავადება დასახელა, 76,5% შეადგენს.

დიაგრამა 3.8:15-29ასაკის ახალგაზრდების მიერ დასახელებული სქესობრივი კონტაქტის გზით გადამდებ დაავადებებში სწორი პასუხების წილი, %

(იგულისხმებიან ახალგაზრდები, ვინც 7ან ნაკლები პასუხები დასახელა).



შეიძლება ითქვას, რომ 15-29 ასაკის ახალგაზრდები ინფორმირებულები არიან სქესობრივიგზით გადამდებ დაავადებებისშესახებ. ქვეყნის მასშტაბით, 15-29 ასაკის ახალგაზრდების მიერ აღნიშნულ კითხვაზე მთლიანად დასახელებული პასუხებიდან სწორი პასუხების წილი 98,2%-ია. აღსანიშნავია, რომ ყველა რეგიონში დასახელებული სწორი პასუხების წილი 96%-ს აღემატება.

კითხვარში ჩამოთვლილისქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესაძლო 6 სიმპტომებიდან მამაკაცებში -3 იყო სწორი, ესენია: *სასქესო ორგანოების შეშუპება და ტკივილი, წვა შარდვისას, გამონადენი.* 15-29 ასაკის ახალგაზრდების უმრავლესობამ (62,3%) აღნიშნულ შეკითხვაზე განაცხადა, რომ უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო დანარჩენმა 37,7%-მა ძირითადად სწორი ვარიანტები დასახელა. არასწორი პასუხებიდან, ახალგაზრდების უფრო მეტმა ნაწილმა დასახელა მაღალი ტემპერატურა, თუმცა ეს მაჩვენებელი 8,8%-ს არ აღემატება. 15-29 ასაკის ახალგაზრდებში, მათი წილი ვინც მამაკაცებში სქესობრივი კონტაქტით გადამდები დაავადებების მხოლოდ სწორი სიმპტომები დასახელა, ქვეყნის მაჩტაბით 6,6%-ია, ხოლო მინიმუმ ორი სწორი პასუხი დასახელა ახალგაზრდების 23,5%-მა. აღნიშნული დაავადების ვერცერთი მართებული სიმპტომის დასახელება ვერ შეძლო ახალგაზრდების 3%-მა.

ცხრილი 3.29: 15-29 ასაკის ახალგაზრდების განაწილება მამაკაცებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადების მათ მიერ დასახელებული სიმპტომების მიხედვით, %.

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა-მთიანეთი	**საქართველო**

მუცლის ტკივილი	2.3	1.6	8.5	4.1	2.0	4.5	3.8	4.7	3.3	0.6	3.3
სასქესო ორგანოების შეშუპება და ტკივილი	24.5	26.2	31.5	20.8	25.5	34.3	29.2	35.0	24.6	7.3	26.6
სიყვითლე თვალის არეში	6.8	3.9	8.4	5.6	3.6	9.2	2.9	3.5	7.3	1.5	5.5
წვა შარდვისას	22.0	24.5	39.7	19.2	22.5	32.7	20.6	23.3	25.9	10.8	25.0
გამონადენი	17.7	18.0	23.5	12.8	14.4	22.0	12.7	25.6	15.8	5.8	17.8
მაღალი ტემპერატურა	5.2	9.7	13.1	4.2	5.2	8.5	7.8	8.9	13.2	1.2	8.8
არც ერთი ჩამოთვლილთაგან	3.0	0.6	0.0	1.2	2.0	0.0	0.0	0.3	0.5	0.0	0.8
მიჭირს პასუხის გაცემა	65.3	67.0	53.1	66.6	66.6	53.8	63.7	47.4	60.7	89.2	62.3

* დასაშვები იყო ერთზე მეტი პასუხის დასახელება, შესაბამისად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პასუხებისჯამი 100%-ს აღემატება.

საინტერესოა, თუ რა მიაჩნიათ კაცებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადების ძირითად სიმპტომად იმავე სქესის და საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს. კვლევამ აჩვენა, რომ ქალების ძალიან დიდმა (70%), ხოლო კაცების საკმაოდ მაღალმა წილმა (55%) დააფიქსირა, რომ უჭირთ პასუხის გაცემა აღნიშნულ კითხვაზე, ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები ძირითადად სწორ პასუხებს ასახელებდნენ, სწორი ვარიანტები თითქმის ყველა რეგიონის მიხედვით კაცებმა უფრო მეტად დაასახელეს.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული კითხვარში ჩამოთვლილი კაცებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადების ექვსი შესაძლო სიმპტომიდან მხოლოდ სამი იყო სწორი. *შესაბამისად,* ახალგაზრდები, რომლებიც ერთდროულად 4, 5 ან 6 პასუხს ასახელებდნენ, შეძლებდნენ შემთხვევით სწორი პასუხი გამოეცნოთ. ამის გამოსარიცხად აღებულ იქნა ახალგაზრდების ის რაოდენობა, რომლებმაც 4-ზე ნაკლებიპასუხი დაასახელა. ამ პრინციპის გათვალისწინებით უფრო მეტი დაზუსტებითშეიძლება დადგინდეს კაცებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მართებულ სიმპტომებზე ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე.

დიაგრამა 3.9:15-29ასაკის ახალგაზრდების მიერ დასახელებული სწორი პასუხების წილი, მამაკაცებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესაძლო სიმპტომების შესახებ%

(იგულისხმებიან ახალგაზრდები, ვინც 3 ან ნაკლები პასუხები დაასახელა).



15-29 ასაკის ახალგაზრდებში, ვინც შესძლო აღნიშნულ კითხვაზე სამი ან ნაკლები პასუხისჩამოთვლა, სწორი პასუხების პროცენტულმა წილმა 85,5% შეადგინა. კითხვა შეეხებოდა მამაკაცებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესაძლო სიმპტომებს. აღნიშნული მაჩვენებლის 78,3% დაფიქსირდა იმერეთის რეგიონში, სადაც აღმოჩნდა, რომ რეგიონებს შორის პროცენტულად ყველაზე ნაკლებად დაასახელეს მამაკაცებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადების სწორი სიმპტომები. დანარჩენ რეგიონებში აღნიშნულ საკითხზე სწორი პასუხების პროცენტული წილი 85-88%-მდე მერყეობს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ 15-29 წლის ახალგაზრდებს ძირითადად გაუჭირდათ კაცებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სიმპტომების დასახელება, თუმცა ისინი ვინც შეძლო დასახელება, მათი უმეტესობაინფორმირებულია აღნიშნული საკითხის შესახებ.

კითხვარში ჩამოთვლილისქესობრივი გზით გადამდები დაავადების შესაძლო 6 სიმპტომებიდან ქალებში, 3 იყო სწორი, ესენია: *ტკივილი ან წვის შეგრძნება შარდვისას, რძისებრი ან ჩირქოვანი გამონადენი საშოდან, წელის ან მუცლის ტკივილი.* 15-29 ასაკის ახალგაზრდების უმრავლესობამ (69,7%), კითხვაზე თუ რა სიმპტომები შეიძლება ჰქონდეს ქალს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების დროს, განაცხადა, რომ უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო დანარჩენმა 30,3%-მა ძირითადად სწორი პასუხები დაასახელა. არასწორი პასუხების ვარიანტებიდან ახალგაზრდების უფრო მეტმა ნაწილმა გულის რევის შეგრძნება დაასახელა, თუმცა ეს მაჩვენებელი 5,5%-ს არ აღემატება. 15-29 ასაკის ახალგაზრდებში, მათი წილი ვინც ქალებში სქესობრივი კონტაქტით გადამდები დაავადებების მხოლოდ სწორი სიმპტომები დაასახელა ქვეყნის მასშტაბით 4%-ია, ხოლო მინიმუმ 2 სწორი პასუხი დაასახელა ახალგაზრდების 18,4%-მა. აღნიშნული დაავადების ვერცერთი მართებული სიმპტომის დასახელება ვერ შეძლო ახალგაზრდების 2%-მა.

ცხრილი 3.30: 15-29 ასაკის ახალგაზრდების განაწილება ქალებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადების მათ მიერ დასახელებული სიმპტომების მიხედვით, %

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე–ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა–მთიანეთი	**საქართველო**
ტკივილი ან/და წვის შეგრძნება შარდვისას	17.4	21.7	23.4	15.1	19.7	27.1	16.0	14.9	23.0	7.6	20.1
თავის ტკივილი	4.5	2.5	3.1	2.5	2.6	8.2	3.8	5.7	5.7	0.0	4.0
რძისებრი ან ჩირქოვანი გამონადენი საშოდან	22.8	25.2	15.1	20.6	14.1	35.4	19.7	26.2	20.5	7.9	22.8
გულის რევის შეგრძნება	2.3	4.4	6.0	4.2	2.6	12.2	5.3	5.9	7.3	2.7	5.5
წელის ან მუცლის ტკივილი	12.9	10.0	9.9	6.9	6.5	23.6	11.9	8.2	12.1	7.7	11.0
სიყვითლე თვალის არეში	4.5	3.6	2.8	3.6	0.4	6.4	0.9	2.5	5.3	0.0	3.7
არც ერთი ჩამოთვლილთაგან	0.0	0.4	0.0	1.2	0.8	0.0	0.9	0.6	0.6	1.4	0.5
მიჭირს პასუხის გაცემა	73.6	69.6	71.0	69.9	78.6	53.7	73.3	68.6	70.5	85.1	69.7

* დასაშვები იყო ერთზე მეტი პასუხის დასახელება, შესაბამისად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პასუხებისჯამი 100%-ს აღემატება.

რეგიონებიდან, როგორც კაცების, ასევე ქალების სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ძირითადი სიპტომების დასახელება, ყველაზე მეტად მცხეთა-მთიანეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს გაუჭირდათ. ამავდროულად, ქალების სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებების ძირითადი სიპტომების შესახებ,დანარჩენ რეგიონებთან შედარებით, ყველაზე უკეთ აჭარის რეგიონის ახალგაზრდები არიან ინფორმირებულები.

ქალებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადების ძირითად სიმპტომებს, იმავე სქესისა და საპირისპირო სქესის წარმომადგენლები განსხვავებულად მოიაზრებენ. კვლევამ აჩვენა, რომ კაცების ძალიან მაღალმა წილმა (81,7%), ხოლო ქალების ნახევარზე მეტმა (58%) დააფიქსირა, რომ აღნიშნულ კითხვაზე უჭირს პასუხის გაცემა. სწორი სიმპტომები უფრო მეტადქალებმა დააფიქსირესყველა რეგიონის მიხედვით. აქვე შეიძლება ითქვას, რომ კაცებს უფრო ნაკლები ინფორმაცია აქვთ ქალების სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ძირითადი სიმპტომების შესახებ, ვიდრე პირიქით.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კითხვარში ჩამოთვლილი ქალებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადების ექვსი შესაძლო სიმპტომიდან სწორიიყო სამი. ახალგაზრდები, რომლებიც ერთდროულად 4, 5 ან 6 პასუხს ასახელებდნენ, შემთხვევით სწორი პასუხისგამოცნობას შეძლებდნენ. ამის გამოსარიცხად აღებულ იქნა ახალგაზრდების ის რაოდენობა, რომლებმაც 3-ზე ნაკლებიპასუხი დაასახელა. ამ პრინციპის გათვალისწინებით უფრო მეტი დარწმუნებითშეიძლება ითქვას, თუ როგორია ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე, ქალებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მართებული სიმპტომების შესახებ.

დიაგრამა 3.10: 15-29 ასაკის ახალგაზრდების მიერ დასახელებული სწორი პასუხების წილი, ქალებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესაძლო სიმპტომების შესახებ%

(იგულისხმებიან ახალგაზრდები, ვინც 3 ან ნაკლები პასუხები დაასახელა).



15-29 ასაკის ახალგაზრდებში, ვინც შესძლო აღნიშნულ კითხვაზე სამი ან ნაკლები პასუხის ჩამოთვლა, სწორი პასუხების პროცენტულმა წილმა 86,3% შეადგინა. კითხვა შეეხებოდა ქალებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესაძლო სიმპტომებს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ 15-29 ასაკის ახალგაზრდებსძირითადად გაუჭირდათ ქალის სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სიმპტომების დასახელება, თუმცა ისინი,ვინც შეძლო დასახელება, მათი დიდი უმრავლესობა ინფორმირებულია აღნიშნული საკითხის შესახებ. თითოეულ რეგიონში სწორი პასუხების წილი საკმაოდ მაღალია და ვარირებს 80%-89%-იან მონაკვეთში.

საქართველოში, 15-29 ასაკის ახალგაზრდებში,აივ ინფექციის 112 ახალი შემთხვევა გამოვლინდა2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდში. აქედან 8% მოდის 15-17 ასაკის მოზარდებზე, 43,7%

- 18-24 ასაკის, ხოლო 49,2% - 25-29 ასაკის ახალგაზრდებზე. სქესის მიხედვით აღნიშნული შემთხვევების 31% გამოვლინდა ქალებში, ხოლო 69% კაცებში.

ცხრილი 3.31 აივ ინფექციების ახალი შემთხვევების რიცხვი, ერთეული (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით)

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე–ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო	იმერეთი	მცხეთა – მთიანეთი	აფხაზეთი	**საქართველო**
სულ	20	174	17	28	4	44	12	76	85	11	34	505
ქალი	6	40	2	15	0	15	5	19	23	3	10	138
კაცი	14	140	15	18	4	29	10	57	62	8	24	381
მათ შორის 15 - 17 წლის	1	3	0	1	0	0	0	0	3	1	0	9
ქალი	1	0	0	1	0	0	0	0	2	0	0	4
კაცი	0	3	0	0	0	0	0	0	1	1	0	5
18 - 24 წლის	1	26	3	3	0	6	3	6	4	0	3	55
ქალი	0	7	0	2	0	2	2	2	1	0	2	18
კაცი	1	19	3	1	0	4	1	4	3	0	1	37
25 - 29 წლის	3	27	2	7	0	4	3	8	7	0	1	62
ქალი	0	6	0	5	0	0	2	2	2	0	0	17
კაცი	3	21	2	2	0	4	1	6	5	0	1	45

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აივ ინფიცირების ახალი შემთხვევებიდან ყველაზე მეტი (44,6%),15-29 ასაკის ახალგაზრდებში, თბილისის რეგიონში ფიქსირდება. ამავდროულად, ეს რაოდენობაყველა ასაკობრივ ჯგუფში ახლად გამოვლენილი აივ ინფექციის შემთხვევების 28,7%-ს შეადგენს.

15-29 ასაკის ყოველ 100,000 მოზარდზე შიდსით დაინფიცირების 11 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. ეს მაჩვენებელი,დანარჩენ რეგიონებთან შედარებით ყველაზე მაღალია თბილისის რეგიონში (17 შემთხვევა), შემდეგ მოდის სამეგრელოსა (15 შემთხვევა) და აჭარის რეგიონები (12 შემთხვევა). ხოლო ყველაზე ცოტა შიდსის ახალი შემთხვევა დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთში და ყოველ 100,000 მოზარდზე 4 შემთხვევა შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საერთოდ არ გამოვლენილა აივ-ის ახალი შემთხვევა აღნიშნულ პერიოდში.

სქესობრივ ჭრილში აღნიშნული მაჩვენებლის განხილვამ აჩვენა, რომ საქართველოს მასშტაბით ყოველ 100,000 ქალში ახლად დაინფიცირებული ქალის რიცხვი 5-ს, ხოლო კაცებში ანალოგიური მაჩვენებელი 18-ს უტოლდება. რეგიონებს შორის, ქალებში ახლად გამოვლენილი აივის შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდასამეგრელოს რეგიონში და აქ ყოველ 100,000 ქალში 9 ახლად დაინფიცირებულია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში ახალი ინფიცირების შემთხვევები არ დაფიქსირებულაშიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში მცხოვრებ ქალებში. ამასთან,დანარჩენ რეგიონებში ახლად გამოვლენილი შიდსის ვირუსით დაინფიცირების მაჩვენებელი 3-დან 7 შემთხვევამდე მერყეობს.

მამაკაცებში დაინფიცირების რიცხვი ყველაზე მაღალია თბილისის რეგიონში და აქ ყოველ 100,000 კაცში შიდსის ახალმა შემთხვევებმა 31-ს მიაღწია, სამეგრელოს რეგიონში 22-ს, ხოლო აჭარის რეგიონში 19-ს. შედარებით დაბალია ეს მაჩვენებელი გურიის (15), შიდა ქართლისა (13) და იმერეთის (12) რეგიონებში, ხოლო

დანარჩენ რეგიონებში ყოველ 100,000 მოზარდზე შიდსის ვირუსით ინფიცირების შემთხვევები 10-ს არ აღემატება.

2012 ივლისი-2013 ივნისის პერიოდში აივ ინფიცირების ახალი შემთხვევები უმეტესწილად ჰეტერო (48,4%) და ჰომო/ბისექსუალური გზით იყო შეძენილი (30,2%). 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში 8,7%-მა შიდსის ვირუსი შეიძინა ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარების გზით. აივ ვირუსის გადაცემის ერთი შემთხვევა დაფიქსირდა სისხლის გადასხმის დროს, ხოლო ერთი შემთხვევის მიზეზი უცნობია. ამასთან, დედიდან-შვილზე გადაცემული აივ ინფექციის ახალი შემთხვევები 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდში ახალგაზრდებში არ დაფიქსირებულა.

6.4.2 კონტრაცეფციის მეთოდები და საშუალებები

15-29 წლის ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი (85,9%) კონტრაცეფციის საშუალებებიდან ყველაზე მეტად პრეზერვატივის შესახებაა ინფორმირებული. კონტრაცეფციის საშუალებებიდან აღსანიშნავია კიდევ ორი მეთოდი, რომელზეც ახალგაზრდებს სხვა საშუალებებთან შედარებით უფრო მეტი სმენიათ, ესენია აბები (54,2%) და საშვილოსნოს შიდა საშუალება - სპირალი (49,9%). სხვა ჩამოთვლილ კონტრაცეფციის მეთოდებზე წარმოდგენა ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილს (4-17%) აქვს.

ცხრილი 3.32: 15-29 ასაკის ახალგაზრდების განაწილება იმის გათვალისწინებით, თუ კონტრაცეფციის რომელმეთოდებსა და საშუალებებს იცნობენ, %.

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ.	სამეგრელო	იმერეთი	სხვა რეგიონები	**საქართველო**
აბები (ორალური კონტრაცეფტივები)	44.5	66.1	54.3	30.0	46.0	72.2	54.3	47.0	54.2
საშვილოსნოს შიდა საშუალება (სპირალი)	48.7	58.0	48.8	30.7	56.5	62.5	48.9	35.6	49.9
პრეზერვატივი	86.3	95.5	86.7	64.3	93.1	94.2	81.1	76.8	85.9
ქაფი/გელი/მალამო/აქაფებადი აბები (ადგილობრივი სპერმიციდები)	7.4	12.8	7.7	10.1	19.6	17.9	13.7	7.6	12.3
ქალის სტერილიზაცია	19.7	15.7	13.8	13.3	16.6	18.0	15.4	7.1	15.0
ვაზექტომია	2.9	3.5	0.6	5.0	9.1	7.8	4.1	0.5	4.1
ინექციები	10.9	15.3	16.6	9.2	17.4	12.2	14.1	6.8	13.1
გადაუდებელი ჰორმონული კონტრაცეფცია („დილის აბი“)	13.9	9.5	7.2	7.1	10.2	22.2	10.6	7.8	10.6
ტემპერატურული /კალენდარული მეთოდი	11.1	17.1	20.4	16.7	11.8	24.7	18.0	11.6	16.6

რეგიონულ ჭრილში ფაქტიურად მსგავსი სურათი ფიქსირდება. ყველა რეგიონში ახალგაზრდები ყველაზე მეტად კონტრაცეფციის სამი საშუალების შესახებ არიან ინფორმირებული - პრეზერვატივი, საშვილოსნოს შიდა საშუალება და აბები. რეგიონების მიხედვით, აღსანიშნავია ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც ახალგაზრდების მხოლოდ 64,3% აფიქსირებს, რომ იცნობს საქართველოს მასშტაბით 15-29 ასაკის

ახალგაზრდებში ყველაზე ცნობილ კონტრაცეფციის საშუალებას - პრეზერვატივს, როდესაც დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი 76-96%-იან ინტერვალში მერყეობს.

აბების, როგორც კონტრაცეფციის საშუალებისშესახებ,ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდების ნახევარზე მეტია (54.2%) ინფორმირებული.ასეთი ახალგაზრდების წილი გაცილებით მაღალია სამეგრელოსა (72,2%) და თბილისის (66,1%) რეგიონებში. მათზე შედარებით დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება ყველა დანარჩენ რეგიონში (30-54%).

რეგიონებში მესამე გამოკვეთილი კონტრაცეფციის მეთოდი, რომლის შესახებ ახალგაზრდების ½-ია ინფორმირებული, საშვილოსნოს შიდა საშუალება - სპირალია. ამ კონტრაცეფციის საშუალების შესახებ ინფორმაციის მქონე ახალგაზრდების ყველაზე მაღალი წილი სამეგრელოს რეგიონშია (62,5%), მას მცირედით ჩამორჩება თბილისისა (58%) და აჭარის (56,5%) რეგიონები. დანარჩენ რეგიონებში აღნიშნული მაჩვენებელი 30%-49%-იან ინტერვალშია მოქცეული.

ქვემო ქართლსა და სხვა რეგიონებში, დანარჩენ რეგიონებთან შედარებით ახალგაზრდების ნაკლები წილი იცობს თითქმის ყველა ჩამოთვლილ კონტრაცეფციის მეთოდს. საპირისპირო სურათია სამეგრელოს რეგიონში, სადაც კონტრაცეფციის საშუალებებზე ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე დანარჩენ რეგიონებთან შედარებით საკმაოდ მაღალია.

კვლევამ აჩვენა, რომ სქესის მიხედვით აღნიშნული მაჩვენებლის განხილვა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ, ძირითადად 15-29 ასაკის ახალგაზრდა ქალების ინფორმირებულობის დონე, ქვეყნისა და რეგიონების მიხედვით კონტრაცეფციის თითქმის ყველა საშუალებებზე გაცილებით მაღალია, ვიდრე მათი თანატოლი მამაკაცების.

ასევე საინტერესოა ის, რომ ახალგაზრდების წილი, რომლებსაც სმენიათ და იციან სად იშოვონ/მიიღონ ქვემოთ მოყვანილი კონტრაცეფციის საშუალებები, უმრავლეს შემთხვევაში მცირედით განსხვავდება ქალაქ-სოფლის ჭრილში.

ცხრილი 3.33:15-29 ასაკის ახალგაზრდების განაწილება, რომლებმაც იციან თუ სად უნდა იშოვონ/მიიღონ კონტრაცეფციის საშუალებები, მათ შორის ვისაც სმენია აღნიშნული საშუალების შესახებ, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %

	ქ. თბილისი	სხვა ქალაქები	სოფელი	**საქართველო**
აბები (ორალური კონტრაცეფტივები)	85.7	89.1	85.3	**86.5**
საშვილოსნოს შიდა საშუალება (სპირალი)	74.0	78.1	78.2	**76.8**
პრეზერვატივი	97.6	97.8	93.2	**95.8**
ქაფი/გელი/მალამო/აქაფებადი აბები (ადგილობრივი სპერმიციდები)	82.6	81.4	78.8	**80.6**
ქალის სტერილიზაცია	70.1	78.7	75.2	**74.8**
ვაზექტომია	66.6	77.1	80.6	**76.0**
ინექციები	76.4	83.8	76.1	**78.5**
გადაუდებელი ჰორმონული კონტრაცეფცია(დილის აბი)	87.3	84.6	90.4	**88.0**

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, იმ ახალგაზრდების, ვისაც სმენია ამა თუ იმ კონტრაცეფციის საშუალების შესახებ, მინიმუმ 3/4-მა იცის თუ სად უნდა მიიღოს თითოეული საშუალება. ქვეყანაში ახალგაზრდების განსაკუთრებით მაღალმა წილმა განაცხადა, რომ იცის სად შეიძლება იშოვოს პრეზერვატივი (95,8%). ამ საშუალებას ასევე ყველაზე მაღალი წილი ხვდა წილად, როგორც ქალაქებში, ასევე

სოფლებში (93-98%). ქ. თბილისში, სხვა ქალაქებსა და სოფლებში ასევე საკმაოდ მაღალია მათი წილი, ვინც იცის თუ სად შეუძლია იშოვოს აბები (85,3%-89,1%).

მსგავსი სურათია კონტრაცეფციის ერთ-ერთი მეთოდის - სპირალის შემთხვევაშიც. ქ. თბილისში,სხვა ქალაქებსა და სოფლებში საკმაოდ მაღალია (74%-78%) იმ ახალგაზრდების წილი (მათ შორის, ვისაც სმენია საშვილოსნოს შიდა საშუალების (სპირალი) შესახებ),ვინც იცის თუ სად შეიძლება იშოვოს აღნიშნული საშუალება. ქ. თბილისში ახალგაზრდების საკმაოდ მაღალმა წილმა (82,6%) იცის თუ სად უნდა იშოვოს/მიიღოს ქაფი/გელი/მალამო/აქაფებადი აბები. ფაქტიურად ანალოგური მაჩვენებელია სხვა ქალაქებშიც (81,4%), ხოლო უმნიშვნელოდ მცირეა ასეთი ახალგაზრდების წილი სოფლებში (78,8%). რეგიონებში აღნიშნული მაჩვენებელი ძირითადად 80-100%-იან ინტერვალშია მოქცეული, თუმცა შედარებით დაბალია ასეთი ახალგაზრდების წილი კახეთის (62%)და ქვემო ქართლის (53%) რეგიონებში.

ქ. თბილისსა და სოფლებში ფაქტიურად იდენტურია, იმ ახალგაზრდების წილი, ვინც იცის თუ სად უნდა იშოვოს/მიიღოს ინექციები (76,4-76,1%). სხვა ქალაქებში ასეთი ახალგაზრდების წილი 83,8%-ს შეადგენს.

პრეზერვატივის შემდეგ, ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი (88%), რომელთაც სმენიათ გადაუდებელი ჰორმონალური აბების შესახებ, ინფორმირებულია თუ სად შეუძლია მიიღოს გადაუდებელი ჰორმონალური კონტრაცეფცია - „დილის აბი“. ასეთი ახალგაზრდების წილი შედარებით მაღალია სოფელში (90,4%) და მას მცირედით ჩამორჩება ქ. თბილისისა (87,3%) და სხვა ქალაქების (84,6%) ანალოგიური მაჩვენებელი.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, მათ შორის ვისაც სმენია კონტრაცეფციის კონკრეტული საშუალების/მეთოდის შესახებ, არანაკლებ ¾-ი ადასტურებს, რომ იცის სად იშოვოს/მიიღოს იგი, ხოლო თითოეული მათგანის გამოყენება იცის ქვეყნის მასშტაბით 53-80%-მა. საქართველოს მასშტაბით განსაკუთრებით მაღალმა წილმა განაცხადა, რომ იცის თუ როგორ გამოიყენება პრეზერვატივი (80%), აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის თანაბარია ქ. თბილისს, სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

ცხრილი 3.34: 15-29 ასკის ახალგაზრდების განაწილება, რომელთაც იციან თუ როგორ გამოიყენონ კონტრაცეფციის საშუალება/მეთოდი მათ შორის, ვისაცსმენია კონტრაცეფციის შესაბამისი საშუალების/მეთოდის შესახებ, %.

	ქ. თბილისი	სხვა ქალაქები	სოფელი	**საქართველო**
აბები (ორალური კონტრაცეფტივები)	55.1	62.0	59.4	**58.7**
საშვილოსნოს შიდა საშუალება (სპირალი)	47.9	55.5	57.5	**53.9**
პრეზერვატივი	81.0	79.6	79.6	**80.0**
ქაფი/გელი/მალამო/აქაფებადი აბები (ადგილობრივი სპერმიციდები)	57.9	62.7	52.0	**56.7**
ქალის სტერილიზაცია	44.8	61.1	56.3	**54.3**
ვაზექტომია	51.3	63.4	71.9	**64.0**
ინექციები	60.7	62.9	48.5	**56.8**
გადაუდებელი ჰორმონული კონტრაცეფცია („დილის აბი“)	58.9	69.3	76.2	**69.8**
ტემპერატურული /კალენდარული მეთოდი	63.2	73.9	67.2	**68.2**

სხვა ქალაქებში, ქ. თბილისსა და სოფელთან შედარებით, მცირედით, თუმცა მაინც მაღალია იმ ახალგაზრდების წილი, ვინც იცის, როგორ გამოიყენება აბები (62%), ქაფი/გელი/მალამო/აქაფებადიაბები (62,7%), ინექციები (62,9%) და ტემპერატურული/კალენდარული მეთოდი (73,9%).

აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის ახალგაზრდებს სხვა ქალაქებსა და სოფელთან შედარებით, მხოლოდ პრეზერვატივის გამოყენებაზე აქვთ უფრო მეტი ინფორმაცია. შესაბამისად, დანარჩენ სამი კონტრაცეფციის საშუალების (საშვილოსნოს შიდა საშუალება (სპირალი), ვაზექტომია და გადაუდებელი ჰორმონული კონტრაცეფცია („დილის აბი“)) გამოყენებაზე ინფორმაციას ყველაზე მეტად სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები ფლობენ.

15-29 ასკის ახალგაზრდებში ძალიან დაბალია მათი წილი, ვისაც ზემოთ ჩამოთვლილი კონტრაცეფციის საშუალებები გამოუყენებია. ახალგაზრდებმა ძირითადად განაცხადეს, რომ სმენიათ/იციან, როგორ გამოიყენონ, თუმცა არ გამოუყენებიათ აღნიშნული საშუალებები. გამონაკლისია ისევ და ისევ პრეზერვატივი, რაზეც ახალგაზრდების 47,4%-მა (მათში, ვისაც სმენია და იცის როგორ გამოიყენოს), განაცხადა რომ გამოუყენებია, თუმცა მათ უმრავლესობას კაცები წარმოადგენენ (75%). ამ მაჩვენებლის ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა თბილისის რეგიონში, სადაც 62%-მა განაცხადა რომ გამოიყენა კონტრაცეფციის აღნიშნული საშუალება.

6.4.3 რეპროდუქციული ჯანმრთელობა

კვლევამ აჩვენა, რომ 15-29 ასაკისახალგაზრდებს,საკითხზე, არის თუ არა უსაფრთხო ორსულობა და მშობიარობა ადრეულ ასაკში,ძირითადად განსხვავებული მოსაზრება აქვთ. კერძოდ, 39,3% ფიქრობს, რომ უსაფრთხოა, 34,3%-მა არ იცის უსაფრთხოა თუ არა, ხოლო 26,4% თვლის, რომ უსაფრთხო არ არის. ამ უკანასკნელის მიზეზად ძირითადად ასახელებენ, იმას, რომ ამ ასაკში ორგანიზმი ბოლომდე მომწიფებული არ არის.

ცხრილი 3.35: 15-29 ასაკის ახალგაზრდების განაწილება, მათი მოსაზრებების მიხედვით, საკითხზე არის თუ არა ორსულობა და მშობიარობა უსაფრთხო ადრეულ ასაკში (19 წლამდე), %.

	უსაფრთხოა	არარის უსაფრთხო	არვიცი
კახეთი	31.3	15.4	53.3
თბილისი	39.5	32.3	28.1
შიდა ქართლი	36.8	19.0	44.2
ქვემო ქართლი	40.9	28.2	30.9
სამცხე–ჯავახეთი	21.1	13.8	65.1
აჭარის ა.რ.	53.4	18.9	27.7
გურია	56.0	15.5	28.5
სამეგრელო	47.9	26.8	25.3
იმერეთი	27.1	35.1	37.8
მცხეთა – მთიანეთი	69.3	15.1	15.6
საქართველო	**39.3**	**26.4**	**34.3**

რეგიონულ ჭრილში,აღნიშნული მაჩვენებლის განხილვამ განსხვავებული სურათი გამოკვეთა. კერძოდ, ყველაზე მაღალი წილი იმ ახალგაზრდებისარეგიონებს შორის, რომლებიც თვლიან, რომ ორსულობა და მშობიარობა ქალისთვის 19 წლამდე ასაკში უსაფრთხო არ არის, დაფიქსირდა იმერეთის რეგიონში (35,1%). საპირისპიროდ ფიქრობენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სადაც ახალგაზრდების 69,3% თვლის, რომ ორსულობა და მშობიარობა ადრეულ ასაკში უსაფრთხოა. ამ მოსაზრებას ყველაზე ნაკლებად იზიარებენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სადაც ახალგაზრდების მხოლოდ 21,1% ფიქრობს, რომ 19 წლამდე ასაკში ქალისთვის ორსულობა და მშობიარობა უსაფრთხოა. ამავდროულად, ამ რეგიონში ყველაზე მაღალია მათი წილი, ვინც დააფიქსირა(65,1%), რომ არ იცის ადრეულ ასაკში ორსულობა და მშობიარობაუსაფრთხოა თუ, არა.

აღნიშნულის სქესობრივ ჭრილში განხილვისას, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქალების უმეტესი ნაწილი თითქმის ყველა რეგიონში აცხადებს, რომ ქალისთვის ადრეულ ასაკში ორსულობა და მშობიარობა უსაფრთხოა, ხოლო კაცები ამ მოსაზრებას უფრო ნაკლებად იზიარებენ. გამონაკლისია მცხეთა-მთიანთის რეგიონი, სადაც კაცებში ამ მხრივ უფრო მაღალი წილი დაფიქსირდა, ვიდრე ქალებში. თუმცა განსხვავება აქაც ძალიან მცირეა და თუ კაცების 70,8% თვლის, რომ მშობიარობა და ორსულობა 19 წლამდე უსაფრთხოა, ქალების 67,7% ეთანხმება ამ მოსაზრებას. სქესის მიხედვით ყველაზე კონტრასტულია შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონის ახალგაზრდების მოსაზრებები. ქალების 44,1% კახეთში და 51,3% შიდა ქართლში თვლის, რომ ადრეულ ასაკში ორსულობა და მშობიარობა დასაშვებია, ხოლო კაცების ანალოგიური მაჩვენებელი ქალების მაჩვენებელს მკვეთრად ჩამოუვარდება შესაბამისად, 18,9% და 23,1%.

კვლევის შედეგების განხილვამ აჩვენა, რომ 15-29 წლის ასაკის ქალების 41,4% ერთხელ მაინც ყოფილა ორსულად. ამ მაჩვენებლის ყველაზე მაღალი წილი შიდა ქართლის რეგიონში დაფიქსირდა (52,4%). ქალაქში აღნიშნული მაჩვენებელი მცირეთი აღემატება სოფლის მაჩვენებელს, შესაბამისად, 43,2% და 39,2%. ასევე დადგინდა, რომ ქვეყანაში და უმეტეს რეგიონებში ქალების პირველი დაორსულების საშუალო ასაკი 20 წელია, თუმცა ეს მაჩვენებელი განსხვავებულია აჭარის რეგიონში (22 წელი). პირველი ორსულობა 87,4%-სთვის ერთი ცოცხლადშობილი ბავშვით დასრულდა.

დაავადებათა კონტროლისადასაზოგადოებრივიჯანმრთელობისეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით,მთლიანი რეგისტრირებული აბორტებიდან თითქმის ნახევარი (47,7%) 15-29 წლის ქალებზე მოდის. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია კახეთის რეგიონში, სადაც რეგისტრირებული აბორტებიდან 53,7% მოდის 15-29 წლის ასაკის ქალებზე. ამ ასაკის ქალებში აბორტების დიდი წილი 20-29 წლის ასაკში კეთდება, როდესაც 15-19 წლის ასაკის ქალებში ეს მაჩვენებელი 10%-ს შეადგენს. აღნიშნული წილი ყველაზე მაღალია იმერეთის რეგიონში, სადაც 15-29 წლის ასაკში რეგისტრირებული აბორტებიდან 19% 15-19 წლის ახალგაზრდებზე მოდის.

ცხრილი 3.36 15-29 წლის ახალგაზრდა ქალებში რეგისტრირებული აბორტების შემთხვევების რაოდენობა(2012 წლის ივლისიდან 2013 ივნისის ჩათვლით).

	სულ	მათ შორის ასაკის მიხედვით	
		15-19 წელი	20-29 წელი
კახეთი	2436	123	1308
თბილისი	13383	524	6529
შიდა ქართლი	4621	149	2043
ქვემო ქართლი	5702	349	2856
სამცხე–ჯავახეთი	1630	37	750
აჭარის ა.რ.	4170	143	1922
გურია	725	16	341
სამეგრელო	1404	145	677
იმერეთი	6092	649	2717

მცხეთა–მთიანეთი	101	5	54
საქართველო	**40264**	**2140**	**19197**

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; დაავადებათა კონტროლისადასაზოგადოებრივიჯანმრთელობისეროვნული ცენტრი

15-29 წლის ასაკში, რეგისტრირებული აბორტების ამავე ასაკის ქალების რაოდენობასთან შედარებისას (იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ერთმა ქალმა გაიკეთა ერთი აბორტი) ჩანს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 15-29 წლის ასაკის ქალების 4,2%-მა გაიკეთა აბორტი. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია შიდა ქართლის რეგიონში (6,1%), ხოლო აბორტების ყველაზე დაბალი წილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაფიქსირდა (0,5%).

6.5 უბედური შემთხვევები და თვითმკვლელობები

უბედური შემთხვევებით, მოწამვლით ან ძალადობით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობა 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში, ყველა ასაკში ასეთი შემთხვევების 1%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია აჭარის რეგიონში და 3,9%-ს აღწევს, მას ოდნავ ჩამორჩება სამეგრელოს რეგიონი (2,1%).

15-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში, რომელთაც უბედური შემთხვევებით, მოწამვლით ან ძალადობით გამოწვეული გარდაცვალების მიზეზი დაუდგინდათ, უმეტესობა ქალები იყვნენ (81%).

ცხრილი 3.37: უბედური შემთხვევით, მოწამვლით, ან ძალადობით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2012 წელს (ერთეული)

რეგიონი	სულ		მათ შორის 15-29 წლის ასაკის	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
კახეთი	706	647	14	3
თბილისი	3040	3418	41	10
შიდაქართლი	621	588	4	1
ქვემოქართლი	1185	1157	13	4
სამცხე-ჯავახეთი	434	424	3	0
აჭარისა.რ.	170	109	9	2
გურია	236	201	6	1
სამეგრელო	662	548	21	5
იმერეთი	1127	1127	20	6

მცხეთა-მთიანეთი	152	123	5	0
საქართველო	**8333**	**8342**	**136**	**32**

მონაცემებიდან ჩანს, რომ ყოველ 100,000 ახალგაზრდაზე, ზემოთ აღნიშნული მიზეზით გარდაცვალების 17 შემთხვევა მოდის. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია სამეგრელოსა (29) და გურიის რეგიონებში (26), ხოლო ყველაზე დაბალი სამცხე-ჯავახეთისა (6) და შიდა ქართლის (7) რეგიონებში, დანარჩენრეგიონებში ანალოგიური მაჩვენებელი 13-დან 21-მდე მერყეობს.

15-29 წლის ახალგაზრდებში 2012 წელს თვითმკვლელობით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობამ 25 ერთეული შეადგენა, რაც სულ თვითმკვლელობის შემთხვევების 9,8%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია აჭარის რეგიონში, სადაც 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში თვითმკვლელობის 11 შემთხვევა დაფიქსირდა. შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და იმერეთის რეგიონებში, 15-29 წლის ასაკში 2012 წელს თვითმკვლელობის შემთხვევა არ ყოფილა.

15-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში, რომელთაც თვითმკვლელობით გამოწვეული გარდაცვალების მიზეზი დაუდგინდათ, უმეტესობა ქალები იყვნენ (88%).

ცხრილი 3.38: თვითმკვლელობის შემთხვევების რაოდენობა 2012 წელს (ერთეული).

რეგიონი	სულ		მათ შორის 15-29 წლის	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
კახეთი	40	5	3	-
თბილისი	30	11	2	-
შიდაქართლი	7	1	-	-
ქვემოქართლი	30	8	2	-
სამცხე-ჯავახეთი	6	1	-	-
აჭარისა.რ.	24	3	9	2
გურია	7	0	-	-
სამეგრელო	34	3	5	1
იმერეთი	31	6	-	-
მცხეთა-მთიანეთი	8	1	1	-
საქართველო	**217**	**39**	**22**	**3**

15-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში, 2012 წელს საგზაო ავარიებით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობამ 12 ერთეული შეადგინა. ამასთან, კახეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და გურიის რეგიონებში 2012 წელს 15-29 წლის ასაკში საგზაო ავარიებით გამოწვეული გარდაცვალების არც-ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

15-29 წლის ასაკის 12 ახალგაზრდიდან, რომელთაც საგზაო ავარიით გამოწვეული გარდაცვალების მიზეზი დაუდგინდათ, უმეტესობას ქალები წარმოადგენდნენ(10).

ცხრილი 3.39: საგზაო ავარიებში სიკვდილობის მაჩვენებელი 2012 წელს (ერთეული).

რეგიონი	სულ		მათ შორის 15-29 წლის	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
კახეთი	139	29	-	-
თბილისი	299	128	2	
შიდაქართლი	102	27	-	-
ქვემოქართლი	139	36	2	1
სამცხე-ჯავახეთი	41	13	-	-
აჭარისა.რ.	122	35	1	1
გურია	46	21	-	-
სამეგრელო	146	36	4	-
იმერეთი	220	61	-	-
მცხეთა-მთიანეთი	53	22	1	-
საქართველო	**1307**	**408**	**10**	**2**

15-29 წლის ასაკში საგზაო ავარიებით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევების ამავე ასაკის ახალგაზრდების რაოდენობასთან შედარებისას, დადგინდა, რომ ყოველ 100,000 ახალგაზრდაზე ზემოთ აღნიშნული მიზეზით გარდაცვალების 1 შემთხვევა მოდის. ეს მაჩვენებელი დანარჩენრეგიონებთან შედარებით ყველაზე მაღალია სამეგრელოსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და 4 შემთხვევას შეადგენს.

ნაწილი IV: სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა

7.1 ახალგაზრდების დამოკიდებულება გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მიმართ ძალადობაზე

მოცემულ თავში მოყვანილია 15-29 წლის ახალგაზრდების მოსაზრებები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება გენდერულ თანასწორობას და ქალთა მიმართ ძალადობას. კვლევის მასალებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ახალგაზრდების 66% თვლის, რომ მამაკაცის მთავარი მოვალეობა ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფაა, ხოლო ქალის - ბავშვის აღზრდა. ასევე ახალგაზრდების 4/5 ეთანხმება იმას, რომ ქალმა არ უნდა მოითმინოს არც ფიზიკური შეურაცხყოფა და არც რეგულარული ფსიქოლოგიური ძალადობა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი. ამავე დროს ახალგაზრდების უმრავლესობას ერთიანი აზრი არ გააჩნია იმის თაობაზე, რომ თანასწორობა კაცსა და ქალს შორის უკვე მიღწეულია.

დასაწყისისთვის უნდა ითქვას, რომ ამ თავში მოყვანილ ყველა მოსაზრებებას ჰქონდა 5-პასუხიანი შეფასების შკალა (*უარი პასუხზე* შეფასებად არ განიხილება):

1. სრულიადარვეთანხმები; 2. უფროარვეთანხმები; 3. ნეიტრალური; 4. უფროვეთანხმები;

5. სრულიადვეთანხმები; 6. მიჭირსპასუხისგაცემა/უარიპასუხზე.

შემდგომში ტერმინი „არ ეთანხმება“ გულისხმობს მათ ვინც პირველი ან მეორე პუნქტი აირჩია, ხოლო „ეთანხმება“მათ ვინც მეოთხე ან მეხუთე პუნქტი დააფიქსირა.

პირველი ორი მოსაზრება ეხება ქალისა და კაცის ძირითად მოვალეობას ოჯახში.

საქართველოს მასშტაბით, ახალგაზრდების 81,8% ეთანხმება მოსაზრებას, რომ კაცის მთავარი მოვალეობა ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფაა, მათ შორის, სრულიად ეთანხმება 57,9%.

დიაგრამა 4.1: ახალგაზრდების წილი რეგიონებში, ვინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ კაცის მთავარი მოვალეობაა ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა, %.



ასევე რეგიონებშიც, ახალგაზრდების უმრავლესობა (74-98%) ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. მათ შორის, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (97,5%). თბილისში, შიდა ქართლში და აჭარაში 77-80% ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქვემო ქართლის (73,5%) რეგიონში. დანარჩენი რეგიონებისთვის ახალგაზრდების წილი, ვინც ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას მერყეობს 83-93%-იან ინტერვალში.

ცხრილი 4.1: ახალგაზრდების წილი იმის მიხედვით, თუ რამდენად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ მამაკაცის მთავარი მოვალეობაა ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %.

	არვეთანხმები	ნეიტრალური	ვეთანხმები
ქ. თბილისი	15.7	6.1	77.9
სხვაქალაქები	12.3	10.6	76.9
სოფლები	6.3	6.2	86.8

ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ქალაქებსა და სოფლებსშორის გარკვეული სხვაობა მაინც დაფიქსირდა ამ მაჩვენებლის მიხედვით. ქ. თბილისსა და სხვა ქალაქებში აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს 77-78%, ხოლო სოფლებში 10 პროცენტული პუნქტით მეტი (87%). სოფლებში აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება ახალგაზრდების 6%, ხოლო ქ. თბილისსა და სხვა ქალაქებში, მინიმუმ 2-ჯერ მეტი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნეიტრალური პასუხების ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა სხვა ქალაქებში, სადაც ეს მაჩვენებელი 10,6%-ის ტოლია.

საქართველოს ახალგაზრდების 69,2% ეთანხმებამოსაზრებას, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ბავშვის აღზრდაა, მათ შორის, 41,6% სრულიად ეთანხმება, ხოლო 27,7% უფრო ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას.

ცალკეულ რეგიონებშიც, ახალგაზრდების დიდი წილი (58-88%) ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია აჭარისა (58,0%) და თბილისის (59,9%)რეგიონებში. შემდეგ მოდის შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი და მცხეთა-მთიანეთი, სადაც ანალოგიური მოსაზრება დააფიქსირა ახალგაზრდების 63-77%-მა. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა გურიაში (88,2%), სამცხე-ჯავახეთში (85,7%), კახეთსა (84,4) და სამეგრელოში (83,6%). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ-სოფლის ჭრილში მათი რაოდენობა, ვინც ეთანხმება, რომ ქალის მთავარი მოვალეობაა ბავშვის აღზრდაა, ჭარბობს სოფლად (77,1%). ამავე დროს ქ. თბილისში ეს მაჩვენებელი 17 პროცენტული პუნქტით ნაკლებია (59,7%).

ცხრილი 4.2: ახალგაზრდების წილი იმის მიხედვით თუ რამდენად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ქალის მთავარი მოვალეობაა ბავშვის აღზრდა, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %

	არვეთანხმები	ნეიტრალური	ვეთანხმები
ქ. თბილისი	27.3	12.7	59.7
სხვაქალაქები	19.4	15.5	65.1
სოფლები	13.0	9.4	77.1

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდების წილი, რომლებიც ეთანხმებიანმოსაზრებებს, რომ მამაკაცის მთავარი მოვალეობა ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფაა, ხოლო ქალის - ბავშვის აღზრდა 64,9%-ს შეადგენს.

მომდევნო რამოდენიმე მოსაზრება ეხება ქალისა და კაცის ადგილს ოჯახსა და საზოგადოებაში და მათ შორის დამოკიდებულებას. ასევე, ქალის მიმართ ძალადობას და სქესთა შორის თანასწორობას.

აღმოჩნდა, რომ ქვეყანის მასშტაბით, ახალგაზრდების 67% სრულიად არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალებისთვის უფლებების მინიჭება ნიშნავს, რომ კაცები კარგავენ უფლებებს.

თითქმის ყველა რეგიონში ახალგაზრდების უმრავლესობა არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას და მათი წილი თითოეული რეგიონში მერყეობს 55-85%-იან ინტერვალში. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სამცხე-ჯავახეთი, სადაც ამ მოსაზრებას არ ეთანხმება მხოლოდ 29,8%. ამ მაჩვენებლის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა თბილისის რეგიონში (85%). შემდეგ მოდის შიდა ქართლისა და გურიის რეგიონები, სადაც ეს მონაცემი ასევე მაღალია და 70-71%-ს უდრის. კახეთში, აჭარაში, სამეგრელოში,იმერეთსა და მცხეთა-მთიანეთში ახალგაზრდების წილი, რომლებიც არ ეთანხმებიანაღნიშნულ მოსაზრებას, თითქმის თანაბარია (58-63%), ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონს თუ არ გავითვალისწინებთ ანალოგიური მაჩვენებლის ყველაზე დაბალი დონე არის ქვემო ქართლში (55,1%).

დიაგრამა 4.2: ახალგაზრდების წილი იმის მიხედვით თუ რამდენად ეთანხმებიანმოსაზრებას, რომ ქალებისთვის უფლებების მინიჭება ნიშნავს, რომ მამაკაცები კარგავენ უფლებებს, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %.



ქ. თბილისში, სხვა ქალაქებში და სოფლებში ასევე უმრავლესობა არ ემხრობა იმას, რომ ქალებისთვის უფლებების მინიჭება ნიშნავს, რომ კაცები კარგავენ უფლებებს. ზემოთ მოცემული გრაფიკის მიხედვით ყველაზე დიდი წილი ახალგაზრდებისა, რომლებიც არ იზიარებენ ამ მოსაზრებას არის ქ. თბილისში (85,3%), სხვა ქალაქებში იგივე მაჩვენებელი 70,0%-ია, ხოლო სოფლებში შედარებით ნაკლები - 53,6%.

ქართველი ახალგაზრდების მხოლოდ ერთი მესამედი თვლის, რომ თანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის უკვე მიღწეულია.

ცხრილი 4.3: ახალგაზრდების წილი იმის მიხედვით თუ რამდენად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ თანასწორობა მამაკაცსა და ქალს შორის უკვე მიღწეულია, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %

	არ ვეთანხმები	ნეიტრალური	ვეთანხმები
ქ. თბილისი	49.8	20.6	27.4
სხვა ქალაქები	40.8	20.5	35.1
სოფლები	29.0	27.1	37.6

რაც შეეხება ქალაქისა და სოფლის ჭრილს, შეიძლება ითქვას, რომ აქ ახალგაზრდებს საკმაოდ განსხვავებული აზრი აქვთ იმ მოსაზრებაზე, რომ თანასწორობა კაცსა და ქალს შორის უკვე მიღწეულია. როგორც ზემოთ ითქვა, ქ. თბილისშიამ მოსაზრებას არ ეთანხმება ახალგაზრდების 50%, საქართველოს სხვა ქალაქებში ეს მაჩვენებელი ოდნავ აღემატება 40%-ს, ხოლო სოფლებში მხოლოდ 29%-ია. მათი წილი ვინც ფიქრობს, რომ თანასწორობა უკვე მიღწეულია ჭარბობს სოფლებში (37.6%) და სხვა ქალაქებში (35.1%).

იმას, რომ ოჯახში მნიშვნელოვან თემებზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კაცმა ეთანხმებახალგაზრდების 58,7%.

რეგიონებშიც ახალგაზრდების მეტი წილი ემხრობა ამ მოსაზრებას და თბილისის გარდა ყველგან, ეს მონაცემი 50%-ს აღემატება. მხოლოდ თბილისში, აღნიშნული მაჩვენებელი მცირედით, მაგრამ მაინც ნაკლებია ნახევარზე და 45,4%-ის ტოლია. ახალგაზრდების ყველაზე დიდი წილი ვინც ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ოჯახისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კაცმა დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთის (79,9%), კახეთის (72,0%), გურიისა (69,7%) და ქვემო ქართლის (68,3%) რეგიონებში.

ცხრილი 4.4: ახალგაზრდების წილი რეგიონებში, იმის მიხედვით თუ რამდენად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ოჯახისათვის მნიშვნელოვან თემებზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მამაკაცმა, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %.

	არვეთანხმები	ნეიტრალური	ვეთანხმები
ქ. თბილისი	33.8	22.1	43.1
სხვაქალაქები	22.8	17.1	59.0
სოფლები	12.6	19.0	67.7

მოსალოდნელი იყო, რომ ამ მოსაზრების შეფასებისას ახალგაზრდების აზრი საკმაოდ განსხვავებული იქნებოდა ქალაქისა და სოფლის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ქ. თბილისში ახალგაზრდების მხოლოდ 1/3 (33,8%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ოჯახისათვის მნიშვნელოვან თემებზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მამაკაცმა, მაშინ როცა სხვა ქალაქებში 22,8%, ხოლო სოფლად მხოლოდ 12,6%.

იმას, რომ მხოლოდ ქალი არის პასუხისმგებელი თავი დაიცვას არასასურველი ორსულობისგან, არ ეთანხმება 55,1%. მათგან 15-29 წლის ქალების 5%-მა დააფიქსირა ეს მოსაზრება, ხოლო კაცების წილმა 10% შეადგინა.

ახალგაზრდების უმეტესობა არ ემხრობა ააღნიშნულ მოსაზრებას, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის დონეზე. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ქვემო ქართლში და59,2%-ს უტოლდება. ახალგაზრდების თითქმის თანაბარი წილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას იმერეთის (56,6%), კახეთის (54,7%)რეგიონებში, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თბილისის (24,8%) რეგიონში დაფიქსირდა.

დიაგრამა 4.3: ახალგაზრდების წილი რეგიონებში, რომლებიც არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ, მხოლოდ ქალი არის პასუხისმგებელი თავი დაიცვას არასასურველი ორსულობისგან, %



საინტერესოა ახალგაზრდების დამოკიდებულება ოჯახში ქალების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით. საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდების 11,0% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალმა უნდა მოითმინოს ფიზიკური შეურაცხყოფა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი, ხოლო არ ეთანხმება 82,9%. ყველა რეგიონში მათი წილი, ვინც არ ეთანხმება ამ მოსაზრებას ნახევარზე მეტია. ამ მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა თბილისში (94,1%), ხოლო მინიმალური სამცხე-ჯავახეთსა (54,4%) და ქვემო ქართლში (57,3%).კახეთის (75,3%) გარდა დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი 85%-ს აღემატება.

დიაგრამა 4.4: ახალგაზრდების წილი რეგიონებში, რომლებიც არ ეთანხმებიან მოსაზრებას,რომ ქალმა უნდა მოითმინოს ფიზიკური შეურაცხყოფა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი, %.



ქალაქებშიახალგაზრდების 90% არ დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას, ხოლო სოფლებში მხოლოდ 75%. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოფლებში ქალაქთან შედარებით, ახალგაზრდების უფრო დიდი წილი მიიჩნევს, რომ ქალმა უნდა მოითმინოს ფიზიკური შეურაცხყოფა რათა შეინარჩუნოს ოჯახი.

თითქმის ანალოგიური ტენდენცია გამოიკვეთა იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ქალმა უნდა მოითმინოს რეგულარული ფსიქოლოგიური ძალადობა (სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარა, შანტაჟი) ოჯახის შესანარჩუნებლად. ამ მოსაზრებას ეთანხმება ახალგაზრდების 13.4%, ხოლო არ ეთანხმება 86,6%. რეგიონებშიც ახალგაზრდების უმეტესობა თვლის, რომ ოჯახის შესანარჩუნებლად ქალმა არ უნდა მოითმინოს რეგულარული ფსიქოლოგიური ძალადობა (სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარა, შანტაჟი). თუმცა, ახალგაზრდები ქვემო ქართლისა(37,7%) და სამცხე-ჯავახეთის (32,2) რეგიონებში ფიქრობენ, რომ ქალმა ოჯახის შესანარჩუნებლად უნდა მოითმინოს ფსიქოლოგიული ძალადობა.

დიაგრამა 4.5: ახალგაზრდების წილი რეგიონებში, რომლებიც არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ოჯახის შესანარჩუნებლად ქალმა უნდა მოითმინოს რეგულარული ფსიქოლოგიური ძალადობა (სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარა, შანტაჟი) %.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალგაზრდებიდან 20% თვლის, რომ ქალმა ოჯახის შესანარჩუნებლად არ უნდა მოითმინოს არც ფიზიკური შეურაცხყოფა და არც რეგულარული ფსიქოლოგიური ძალადობა. ანალოგიური მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ყველაზე დაბალია და 49.6%-ს უდრის. ასევე, შედარებით დაბალია ეს წილი ქვემო ქართლში (54.0%).

რაც შეეხება იმას, რომ ბიჭისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი მისაღებია, ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ კაცების 49% სრულიად ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო ქალებიდან მხოლოდ 28%-მა გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება. ქვემოთ მოყვანილი კატეგორიების დაჯგუფებით მივიღებთ, რომ ბიჭისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი მისაღებია ახალგაზრდების 64,7%-სთვის.

დიაგრამა 4.6: ახალგაზრდების განაწილება იმის მიხედვით ეთანხმებიან თუ არა მოსაზრებას, რომ ბიჭისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი მისაღებია, %.



1. უჭირს/უარის ამბობს პასუხის გაცემაზე; 2 არ ეთანხმება; 3 ნეიტრალური; 4 ეთანხმება

რეგიონებში ახალგაზრდების მეტი წილი ეთანხმება ამ მოსაზრებას. თბილისში (75,4%),კახეთსა (70,5%) და სამცხე-ჯავახეთში (69,6%) ეს წილი ყველაზე მაღალია. ამ მაჩვენებლის ყველაზე დაბალი დონე ქვემო ქართლის (51,7%), აჭარისა (51,8%) და მცხეთა-მთიანეთის (54,0%) რეგიონებშია, ხოლო დარჩენილი რეგიონებისთვის ახალგაზრდების წილი ვინც ეთანხმება ამ მოსაზრებას 60-65%-იან ინტერვალშია მოხვედრილი.

დიაგრამა 4.7: ახალგაზრდების წილი რეგიონებში, ვინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ ბიჭისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი მისაღებია, %.



ამ მხრივ ქალაქებისა და სოფლების მიხედვით თითქმის იდენტური სიტუაცია აღინიშნება. ქ. თბილისში ამ მოსაზრებას ეთანხმება 74,5%, ხოლო სხვა ქალაქებსა და სოფლებში 15 პროცენტული პუნქტით ნაკლები (60-61%).

რადიკალურად განსხვავებული სურათია იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ გოგონასთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი მისაღებია. ამას მთლიანობაში არ ეთანხმება ახალგაზრდების 82,6%, მათ შორის სრულიად არ ეთანხმება 62,3%.

მსგავსი სიტუაციაა რეგიონულ ჭრილშიც, მათ შორის ყველაზე მაღალია ანალოგიური მაჩვენებელი კახეთისა (92,3%)დამცხეთა-მთიანეთის (91,2%) რეგიონებში.

დიაგრამა 4.8: ახალგაზრდების წილი რეგიონებში, ვინც არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ გოგონასთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი მისაღებია, %.



ქალაქებში ზემოთ ხსენებულ მოსაზრებას არ ეთანხმება 77,1%, ხოლო სოფლებში 12პროცენტული პუნქტით მეტი (88,9%).

რეგიონული და ქალაქ-სოფლის ჭრილების გარდა ასევე საინტერესოა, შედარდეს რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან ქალებისა და მამაკაცების დამოკიდებულება ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით. თუ გადავხედავთ ქალებისა და მამაკაცების რამდენი პროცენტი ხვდა წილად თითოეულ პოზიციას ამა თუ იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, დავინახავთ, რომ ძირითადად ეს მაჩვენებლები მცირედით განსხვავდება ერთმანეთისგან. იხ. ცხრილი 4.5.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია, როგორ გადანაწილდა ქალთა და მამაკაცთა დამოკიდებულება თითოეული მოსაზრების მიმართ. როგორც უკვე ითქვა, უმეტეს შემთქვევაში ეს განსვავება მცირეა, მაგრამ გვაქვს გარკვეული გამონაკლისებიც. ქალების 48% ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ოჯახში მნიშვნელოვან თემებზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მამაკაცმა, ხოლო კაცებისთვის იგივე მაჩვენებელი 22 პროცენტული პუნქტით მეტია (70%). ასევე დიდია სხვაობა მათთვის, ვინც თვლის, რომ ბიჭისათვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი მისაღებია. კაცებში ამ მოსაზრებას იზიარებს 74%, ხოლო ქალებში მხოლოდ 56%.

მოსაზრებას, რომ მხოლოდ ქალი არის პასუხისმგებელი თავი დაიცვას არასასურველი ორსულობისგან - კაცების თითქმის ნახევარი (48%) არ ეთანხმება, რაც 15 პროცენტული პუნქტით ნაკლებია იმ ქალების წილზე ვინც ამავე პოზიციას იზიარებს (63%).

ცხრილი 4.5: ახალგაზრდების განაწილება თითოეულ მოსაზრებაზე პასუხის გაცემისას, სქესობრივ ჭრილში, %.

	არ ვეთანხმები		ვეთანხმები	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
კაცის მთავარი მოვალეობაა ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა	11.3	9.5	79.5	84.2
ქალის მთავარი მოვალეობაა ბავშვის აღზრდა	22.4	14.7	64.1	74.5
ქალებისთვის უფლებების მინიჭება ნიშნავს, რომ კაცები კარგავენ უფლებებს	71.7	61.3	13.7	21.7
თანასწორობა კაცსა და ქალს შორის უკვე მიღწეულია	39.9	35.6	31.3	37.1
ოჯახში მნიშვნელოვან თემებზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კაცმა	29.5	12.4	47.8	69.8
მხოლოდ ქალი არის პასუხისმგებელი თავი დაიცვას არასასურველი ორსულობისგან	62.6	47.5	14.1	19.6
ქალმა უნდა მოითმინოს ფიზიკური შეურაცხყოფა რათა შეინარჩუნოს ოჯახი	87.0	78.6	8.8	13.2
ქალმა უნდა მოითმინოს რეგულარული ფსიქოლოგიური ძალადობა (სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარა, შანტაჟი) რათა შეინარჩუნოს ოჯახი	90.4	82.7	6.1	8.7
ბიჭისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი მისაღებია	22.2	14.6	56.1	73.5
გოგონასთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი მისაღებია	84.1	81.1	5.6	8.6

7.2 ახალგაზრდების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისადმი საზოგადოებაში

ამ თავში აღწერილია თუ, რას ფიქრობენ ახალგაზრდები შშმ პირებისადმი საზოგადოების დამოკიბულების თაობაზე. ასე მაგალითად, კვლევის მასალებიდან გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდების

43,3%შეზღუდული შესაძლებლობების სტიგმას მიიჩნევსსოციალურ ნორმად. ქალაქის ახალგაზრდების 45,9% აკეთებს შეზღუდული შესაძლებლობების სტიგმატიზირებას, იგივე აზრს ავითარებს სოფლის ახალგაზრდების 40,3 %. ასევე შეზღუდული შესაძლებლობების სტიგმა უფრო მღალია ქალებს შორის მამაკაცებთან შედარებით (45,5% vs 41%) და უფრო მაღალია დედაქალაქში, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში (47,8% vs. 41,4%). ეს სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

მოცემული კვლევის ფარგლებში,საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმის დასადგენად 15-29 წლის ახალგაზრდებმა უპასუხეს ხუთ შეკითხვას შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე, სადაც მათ უნდა დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია თითოეულთან მიმართებაში. სტიგმის გამოთვლა შშმ პირებთან მიმართებაში მოხდა სტიგმა პროქსი ინდიკატორის მეთოდოლოგიის საფუძველზე და სტიგმის (EMIC) [14] მოდულის პასუხები ინდივიდუალურ შეკითხვებზე აღწერილია ქვემოთ.

საქართველოში ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (47,7%) თვლის, რომ ოჯახისათვის არ არის პრობლემა იმ ფაქტის გამჟღავნება, რომ მათ ყავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი.

დიაგრამა 4.9 ახალგაზრდების წილი რეგიონებში, ვინც უარყოფითი პასუხი გასცა კითხვას-ოჯახისათვის არის თუ არა პრობლემა იმ ფაქტის გამჟღავნება, რომ ოჯახში არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი?(%)



რეგიონულ ჭრილში მათი წილი ვინც არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას ყველაზე მაღალია სამეგრელოში (63,5%), ხოლო ყველაზე დაბალი მცხეთა-მთიანეთში (22,0%).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მათი წილი, ვინც არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას თითქმის ტოლია ქალაქად და სოფლად. თუმცა, თბილისში ეს ციფრი ცოტათი უფრო დაბალია (49,4%) ვიდრე სხვა ქალაქებებში (52,4%) და სოფლად (53,9%).

ცხრილი 4.6:როგორ ფიქრობთ, ადამიანებს, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ოჯახის წევრი, შეექმნებათ თუ არა პრობლემა დაოჯახებისას? (%).

	ქ. თბილისი	სხვაქალაქები	სოფლები
დიახ	25.7	30.3	19.5
ნაწილობრივ	30.9	29.1	32.9

[14]Measuring health-related stigma – a literature review. Wim H. van Brakel, 2005. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სტიგმის გაზომვა –ლიტეატურის განხილვა. ვიმ ჰ. ვან ბრაკელი, 2005.

არა	35.7	32.8	35.7
მიჭირსპასუხისგაცემა	7.7	7.8	11.9
სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**

საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდების მხოლოდ 1/3 (35,7%) თვლის, რომ თუკი ადამიანს ოჯახის წევრი ჰყავს შშმ პირი, ეს მას ხელს არ შეუშლის დაქორწინებაში. პასუხები ამ შეკითხვაზე სხვადასხვაგვარია რეგიონების მიხედვით. გურიაში 39% სრულად ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. თუმცა 39% სამცხე-ჯავახეთში და 33,6% იმერეთში ნაწილობრივ ეთანხმება ზემოთ ხსნებულ მოსაზრებას. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ახალგაზრდების უმეტეს ნაწილს (35,4%) უჭირს შეკითხვაზე პასუხის გაცემა. დანარჩენ რეგიონებში კი ახალგაზრდების წილი, რომლებიც არ ეთანხმებიან ხსენებულ აზრს უფრო მაღალია.

შემდეგი შეკითხვა იკვლევდა ახალგაზრდების აზრს, იმის შესახებ, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში,მშობელიეცდებადაუმალოსსხვებს, რომმასჰყავსშეზღუდულიშესაძლებლობისმქონეშვილი. ახალგაზრდების ნახევარზე მეტი მთელს საქართველოში ეთანხმება ხსენებულ აზრს.

ქალაქ-სოფლის ჭრილში გაანალიზებისას დავინახავთ, რომ ქ. თბილისში ამ მოსაზრებას ეთანხმება ახალგაზრდების 1/4, ხოლო სოფლებში მხოლოდ - 13,6%. ქ. თბილისში, სხვა ქალაქებსა და სოფლებში უარყოფითი პასუხი დააფიქსირა ახალგაზრდების 45-50%-მა.

კითხვარი შეიცავდა ასევე შეკითხვას ასეთი ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის შეასახებ. ახალგაზრდებს დაუსვეს კითხვა, თვლიან თუ არა ისინი, რომოჯახმა, რომელსაცშეეძინაშეზღუდულიშესაძლებლობებისმქონებავშვი, უნდადატოვოს/ჩააბაროსიგიშესაბამისინსტიტუციაში/დაწესებულებაში - ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ახალგაზრდების 78%, ხოლო ნაწილობრივ ეთანხმება 10%. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით მსგავსი სიტუაციაა მთელი ქვეყნის მასშტაბით. მათი წილი, ვინც ეთანხმება ხსენებულ მოსაზრებას, ძალზედ მცირეა და არ აღემატება 4%-ს. ქალაქ-სოფლის ჭრილში გაანალიზებისას, დავინახავთ, რომ უარყოფითი პასუხების ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა სხვა ქალაქებში (82,3%). მათი წილი ვინც ნაწილობრივ ეთანხმება იმას, რომ საზოგადოების აზრით შშმ ბავშვი უნდა დატოვონ შესაბამის დაწესებულებაში ყველაზე მაღალია ქ. თბილისში და 17%-ს შეადგენს.

ცხრილი 4.7: როგორ ფიქრობთ, საზოგადოება თვლის თუ არა, რომ ოჯახმა, რომელსაც შეეძინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი, უნდა დატოვოს/ჩააბაროს იგი შესაბამის ინსტიტუტში/დაწესებულებაში? (%).

	ქ. თბილისი	სხვა ქალაქები	სოფლები
დიახ	3.7	3.7	3.1
ნაწილობრივ	16.9	6.7	7.5
არა	72.7	82.3	78.1
მიჭირს პასუხის გაცემა	6.7	7.3	11.2
სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**

მთელს საქართველოში იმ ახალგაზრდების წილი რომლებიც თვლიან, რომხალხიმათგარშემოერიდებაშეზღუდულიშესაძლებლობებისმქონებავშვთანურთიერთობას, შეადგენს თითქმის 40%-ს. იგივე აზრი შეიმჩნევა დანარჩენ ქვეყანაში. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, აქ ახალგაზრდების ნახევარზე ოდნავ მეტი (51,6%) ნაწილობრივ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას.

ქ. თბილისში ყველაზე მაღალია (21,3%) მათი წილი ვინც თვლის, რომ ხალხი მათ გარშემო ერიდება შშმ ბავშვებთან ურთიერთობას. მაშინ როდესაც, სოფლებში ანალოგიური აზრს გამოთქვამს ახალგაზრდების მხოლოდ 12,0% და სხვა ქალაქებშიკი 16,2%.

ცხრილი 4.8: ახალგაზრდების განაწილება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეთანხმებიან მოსაზრებებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე, %.

	დიახ	ნაწილობრივ	არა	მიჭირისპ. გ./უარი პასუხზე
ოჯახისათვისარისთუარაპრობლემაიმფაქტისგამჟღავნება, რომოჯახშიარისშეზღუდულიშესაძლებლობებისმქონება ვშვი?	19.8	22.0	52.3	5.9
ადამიანებს, რომელთაცჰყავთშეზღუდული შესაძლებლობების მქონე ოჯახის წევრი, შეექმნებათ თუ არა პრობლემა დაოჯახებისას?	24.0	31.4	35.0	9.7
რომ იყოს შესაძლებელი მშობელი ეცდება თუ არა დაუმალოს სხვებს, რომ მას ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი?	17.2	21.2	47.5	14.1
საზოგადოება თვლის თუ არა, რომოჯახმა, რომელსაც შეეძინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი, უნდა დატოვოს/ჩააბაროს იგი შესაბამის ინსტიტუციაში/დაწესებულებაში?	3.4	9.9	77.7	9.0
ხალხი თქვენს გარშემო, ერიდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთან ურთიერთობას?	15.6	24.5	52.0	7.9

მთლიანობაში, ახალგაზრდების 43,3% თვლის, რომ ქართული საზოგადოებისათვის შეზღუდული შესაძლებლობა არის სტიგმა. დედაქალაქ თბილისს აქვს სტიგმის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 47,8%. სოფლებში სტიგმის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია – 40,3%. სქესობრივ ჭრილში შეზღუდული შესაძლებლობის სტიგმის მაჩვენებელი უფორ მეტია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში 45,5% vs. 41%.

7.3 სიღარიბე ახალგაზრდებში

ამ თავში მოყვანილია მონაცემები სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფ შინამეურნეობებში მცხოვრები 15-29 წლის ახალგაზრდების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია დაფუძნებულია საქსტატის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემებზე და მათ რაოდენობაზე ვინც იღებს უმწეო ოჯახების დახმარებს. უკანასკნელის წყაროს წარმოადგეს სოციალური მომსახურების სააგენტო. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემების მიხედვით საქართველოში 2012 წელს მედიანური მოხმარების 40%-ის ქვევით მყოფ შინამეურნეობებში მცხოვრები ახალგაზრდების წილი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში 10,4%-ს შეადგენს. ამავდროულად, 2012 წელს სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების წილი ვინც ცხოვრობს იმ შინამეურნეობებში, რომლებიციღებენ უმწეო ოჯახების დახმარებას 8,4%-ის ტოლია. ასევე ირკვევა, რომ ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები (მედიანური მოხმარების 60 და 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობა) შედარებით მაღალია მათთვის, ვისაც შინამეურნეობეობაში 15-29 წლის წევრ(ებ)ი ჰყავთ. საქართველოს მასშტაბით ეს მაჩვენებლები 3-4 პროცენტული პუნქტით მეტია იმ მოსახლეობის ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლებთან შედარებით, ვის შინამეურნეობაშიც აღნიშნული ასაკის ახალგაზრდები არ ცხოვრობენ.

<u>სიღარიბის დონეახალგაზრდებში (ფარდობითი სიღარიბე)</u> - ამ ცნებაში იგულისხმება მედიანური მოხმარების 60 ან 40%-ის ქვევით მყოფ შინამეურნეობებში მცხოვრები 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების წილი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში.

შინამეურნეობების ინტეგრირებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მასშტაბით 2012 წელს მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით იმყოფება ახალგაზრდების 23,5%, ხოლო 40%-ის ქვევით 10,4%. ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ სოფლებში სიღარიბის მაჩვენებელი 12 პროცენტული პუნქტით მეტია ქალაქებში ანალოგიურ მაჩვენებელზე მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფ ახალგაზრდებში. ხოლო 40 პროცენტის ქვევით მყოფ ახალგაზრდებში, იგივე სხვაობა სოფლებსა და ქალაქებს შორის 2-ჯერ ნაკლებია (6 პროცენტული პუნქტი).

ცხრილი 4.9: სიღარიბის დონე ახალგაზრდებში 2012 წელს, ქალაქ-სოფლის ჭრილში, %

	ქალაქი	სოფელი	**საქართველო**
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი ახალგაზრდების წილი	17.5	29.3	**23.5**
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი ახალგაზრდების წილი	7.3	13.4	**10.4**

საინტერესოა, რომ სქესის მიხედვით სიღარიბის მაჩვენებლები ახალგაზრდებში თითქმის ტოლია. ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ მედინური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი ახლგაზრდების წილი იდენტურია სქესის მიხედვით. ხოლო 60 პროცენტის ქვევით მყოფ ახალგაზრდებში ქალების სიღარიბის დონე მცირედით (1 პროცენტული პუნქტი) აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს.

დიაგრამა 4.10:სიღარიბის დონე ახალგაზრდებში 2012 წელს, სქესის მიხედვით, %.



თუ შევადარებთ მოსახლეობას იმ შიანამეურნეობში, სადაც ცხოვრობს მინიმუმ ერთი 15-29 წლის ახალგაზრდა შინამეურნეობებთან, ვისაც ასეთი წევრი არა ყავთ, დავინახავთ, რომ ასეთ შიანამეურნეობებში მოსახლეობის ფარდოფითი სიღარიბის დონე უფრო მაღალია, როგორც მედიანური მოხმარების 60-იანი, ასევე 40%-იანი ზღვარის მიმართ.

დიაგრამა 4.11: მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2012 წელს, იმის მიხედვით არის თუ არა შესაბამის შინამეურნეობაში 15-29 წლის წევრი, %.



ზემოთ მოყვანილ დიაგრამაში შედარებულია მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი შინამეურნეობებში, რომელშიც ცხოვრობს ან არ ცხოვრობს მინიმუმ ერთი 15-29 წლის ახალგაზრდა. სხვაობა ამ ორ მაჩვენებელს შორის ყველაზე მაღალია სოფელში და 6,5 პროცენტული პუნქტის ტოლია. ქალაქად ანალოგიური სხვაობა მხოლოდ 1,6პროცენტულ პუნქტს შეადგენს. ანალოგიური სურათი გვაქვს მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობისთვისაც.

დიაგრამა 4.12: მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2012 წელს, იმის მიხედვით არის თუ არა შესაბამის შინამეურნეობაში 15-29 წლის წევრი, %.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი,უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში უფრო მაღალია, ვიდრე უფროსი ასაკის მოსახლეობაში. ასე მაგალითად,2012 წელს 15-29 წლის ახალგაზრდებში უმუშევრობის დონემ 29,3% შეადგინა, ხოლო ამავე საანგარიშო პერიოდში უმუშევრობის დონე 30-44 წლის მოსახლეობისთვის 12 პროცენტული პუნქტით ნაკლებია და 17,4%-ის ტოლია.

დიაგრამა 4.13: უმუშევრობის დონე 2012 წელს, ასაკის მიხედვით, %.



გარდა უმუშევრობის დონისა,ასევე ყურადღება უნდა მიექცეს შინამეურნეობის საშუალო სიდიდესაც. იმ შინამეურნეობების საშუალო სიდიდე, სადაც ახალგაზრდები ცხოვრობენ 4,6-ის ტოლია (მათ შორის 15-29 წლის ახალგაზრდების საშუალო რაოდენობა 1,6-ია), ხოლო იმ შინამეურნეობების საშუალო სიდიდე, სადაც აღნიშნული ასაკის წევრები არ ცხოვრობენ ნაკლებია და 2,7-ს შეადგენს.

ახალგაზრდების რაოდენობა ვინც იღებსსაარსებო შემწეობას(რეგისტრირებული სიღარიბე) - იგულისხმება სოციალურად დაუცველ შინამეურნეობებში მცხოვრები 15-29 წლის ახალგაზრდები, რომლებიც იღებენ საარსებო შემწეობას.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით 2012 წელს თვეში საშუალოდ 84 938, 15-29 წლის ახალგაზრდა იღებდა საარსებო შემწეობას, რაც მთლიანად საარსებო შემწეობის მიმღებთა 19,5%-ია. შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში ამ ახალგაზრდების წილი 8,4%-ს შეადგენს.

ცხრილი 4.10: 15-29 წლის ახალგაზრდების წილი, რომლებიც საარსებო შემწეობას იღებდნენ 2012 წელს, რეგიონულ და სქესობრივ ჭრილში, %

რეგიონი	ქალი	კაცი	სულ
კახეთი	15.4	14.7	15.1
თბილისი	4.2	3.9	4.1
შიდაქართლი	17.8	15.4	16.6
ქვემოქართლი	4.2	3.6	3.9
სამცხე-ჯავახეთი	4.4	3.6	4.0
აჭარის ა. რ.	9.6	10.1	9.9
გურია	12.2	12.4	12.3
სამეგრელო	9.1	9.0	9.1
იმერეთი	12.4	12.7	12.6
მცხეთა-მთიანეთი	10.9	10.5	10.7
საქართველო	**8.5**	**8.3**	**8.4**

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, საარსებო შემწეობის მიმღები ახალგაზრდების ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა შიდა ქართლის (16,6%), ხოლო ყველაზე დაბალი ქვემო ქართლის (3,9%) რეგიონებში.კახეთში (15,1%), იმერეთში (12,6%), გურიასა (12,3%)და მცხეთა-მთიანეთში (10,7%) ეს მაჩვენებელი ასევე საკმაოდ მაღალია.

სქესის მიხედვით რეგისტრირებული სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის იდენტურია, როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის დონეზე. რაც ნიშნავს, რომ კაცების და ქალების თითქმის თანაბარი წილი იღებს

საარსებო შემწეობას. ამ მხრივ მაქსიმალური სხვაობა შიდა ქართლის რეგიონშია, სადაც საარსებო შემწეობის მიმღები ქალების წილი 2 პროცენტული პუნქტით აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს. დანარჩენი რეგიონებისთვის ეს სხვაობა 1 პროცენტულ პუნქტზე ნაკლებია.

7.4 ახალგაზრდები ფოსტერ ოჯახებში და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში

წინამდებარე თავში, განხილულია სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 15-18 წლის ახალგაზრდები, რომლებიც იმყოფებიან ფოსტერ ოჯახებში და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით 2013 წლის 30ივნისის მდგომარეობით საქართველოში ყოველ 1000 ახალგაზრდაზე 2 ასეთი ახალგაზრდა მოდიოდა, ხოლო 2012 წლის ივნისი - 2013 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდში სახლმწიფო ზრუნვიდან გავიდა 121 ახალგაზრდა, მათ შორის გასვლის მომენტში 1/3-ზე მცირედით მეტი სრულწლოვანი იყო.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით 2013 წლის 30ივნისის მდგომარეობით ფოსტერ ოჯახებში და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მყოფ ბავშვთა საერთო რაოდენობა 1384 ახალგაზრდას შეადგენდა. მათ შორის 15-17 წლის ახალგაზრდების რაოდენობა 278 იყო. ვინაიდან ახალგაზრდა 18 წლის ასაკში გადის სახელმწიფო ზრუნვიდან, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შესულია მხოლოდ 15-17 წლის ახალგაზრდების რაოდენობა. საქართველოში ყოველ 1000 15-17 ასაკის ახალგაზრდაზე მოდის 2 ახალგაზრდა, რომელიც ცხოვრობს ფოსტერ ოჯახებში და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.

ცხრილი 4.11:ფოსტერ ოჯახებში და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მყოფი 15-17 წლის ახალგაზრდების რაოდენობა (2013 წლის 30ივნისის მდგომარეობით)

რეგიონი	ქალი	კაცი	სულ
კახეთი	20	16	36
თბილისი	28	34	62
შიდაქართლი	27	18	45
ქვემოქართლი	6	24	30
სამცხე-ჯავახეთი	4	10	14
აჭარის ა. რ.	4	9	13
გურია	3	7	10
სამეგრელო	4	4	8
იმერეთი	13	20	33
მცხეთა-მთიანეთი	14	13	27
საქართველო	123	155	278

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით, 2013 წლის 30ივნისის მდგომარეობით შშმ ბავშვების მთლიანი რაოდენობა, რომლებიც იმყოფებოდნენ ფოსტერ ოჯახებში და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, შეადგენდა 106-ს. ხოლო 15-17 წლის შშმ ახალგაზრდების რაოდენობა 17-ის ტოლი იყო, რაც ფოსტერ ოჯახებში და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მყოფი 15-17 წლის ახალგაზრდების 6%-ს შეადგენდა.

ერთი წლის განმავლობაში (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით) ფოსტერ ოჯახებიდან და მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული ახალგაზრდების რაოდენობა 121-ის ტოლია. როგორც უკვე

ავღნიშნეთ, სახელწიფო ზრუნვიდან ახალგაზრდა სავალდებულოდ გადის 18 წლის ასაკში, ამიტომ ქვემოთ მოცემულ ცხრილში შესულია მხოლოდ 15-18 წლის ახალგაზრდების რაოდენობა.

ცხრილი 4.12: ფოსტერ ოჯახებიდან და მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული 15-18 ასაკის ახალგაზრდების რაოდენობა (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით).

რეგიონი	ქალი	კაცი	სულ
კახეთი	9	4	13
თბილისი	21	12	33
შიდა ქართლი	12	4	16
ქვემო ქართლი	8	5	13
სამცხე-ჯავახეთი	4	3	7
აჭარის ა. რ.	-	2	2
გურია	-	4	4
სამეგრელო	-	5	5
იმერეთი	8	3	11
მცხეთა-მთიანეთი	9	8	17
საქართველო	71	50	121

რაც შეეხება მათ, ვისაც სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის მომენტში უკვე შეუსრულდა 18 წელი, ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ასეთი ახალგაზრდების რაოდენობა 43-ის ტოლი იყო. რაც ფოსტერ ოჯახებიდან და მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული 15-18 ასკის ახალგაზრდების მთლიანი რაოდენობის 35,5%-ია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას,სრულწლოვანების მიზეზით გასულთა წილი 1/3-ზე მცირედით მეტი იყო.

ცხრილი 4.13:18 ასკის ახალგაზრდების წილი ფოსტერ ოჯახებიდან და მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული 15-18 ასაკის ახალგაზრდებიდან, %. (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით)

რეგიონი	ქალი	კაცი	სულ
კახეთი	33.3	25.0	30.8
თბილისი	38.1	25.0	33.3
შიდა ქართლი	50.0	25.0	43.8
ქვემო ქართლი	37.5	40.0	38.5
სამცხე-ჯავახეთი	50.0	33.3	42.9
აჭარის ა. რ.	-	-	-
გურია	-	25.0	25.0
სამეგრელო	-	20.0	20.0
იმერეთი	37.5	33.3	36.4
მცხეთა-მთიანეთი	44.4	37.5	41.2

საქართველო	**40.8**	**28.0**	**35.5**

რეგიონულ ჭრილში, ფოსტერ ოჯახებიდან და მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული 15-18 ასაკის ახალგაზრდებისაგან, სრულწლოვანთა წილი ჭარბობს შიდა ქართლში (43,8%), სამცხე-ჯავახეთში (42,9%) და მცხეთა-მთიანეთში (41,2%). ეს მაჩვენებელი შედარებით მცირეასამეგრელოსა (1/5) და გურიაში (1/4), ხოლო დანარჩენ რეგიონებში 31-39%-იან ინტერვალშია მოხვედრილი.ამავდროულად, აჭარის რეგიონში ფოსტერ ოჯახებიდან და მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან არავინ გასულა 18 წლის ასაკში.

ანალოგიური პერიოდის განმავლობაში (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით) ფოსტერ ოჯახებიდან და მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული შშმ 15 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდების რაოდენობა 10-ის ტოლია (9 ქალი და 1 კაცი), რაც მთლიანადფოსტერ ოჯახებიდან და მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული 15-18 წლის ახალგაზრდების 8,3%-ია. მათ შორის სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის მომენტში არც-ერთი არ იყო 18 წლის.

7.5 სახელმწიფო ახალგაზრდული პროგრამები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით 2013 წელს სახელმწიფო ახალგაზრდული პროგრამების რაოდენობა 41-ს შეადგენდა, ხოლო აღნიშნული პროგრამების 15-29 ასაკის ბენეფიციართა რაოდენობა 28 820-ს.

ცხრილი 4.14: სახელმწიფო ახალგაზრდული პროგრამების რაოდენობა და ბენეფიციართა პროცენტული წილი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში(2013 წელი).

რეგიონი	სახელმწიფო ახალგაზრდული პროგრამბის რაოდენობა*	15-29 წლის ბენფიციართა წილი შესაბამის ასაკობრივჯგუფში (%)
კახეთი	12	2.2
თბილისი	33	2.6
შიდა ქართლი	6	4.0
ქვემო ქართლი	22	1.4
სამცხე-ჯავახეთი	9	4.0
აჭარის ა. რ.	7	3.9
გურია	2	2.9
სამეგრელო	4	2.3
იმერეთი	12	3.7
მცხეთა-მთიანეთი	4	4.2
საქართველო	**41**	**2.9**

* ვინაიდან ერთი სახელმწიფო ახალგაზრდული პროგრამა შეიძლებოდა ერთდროულად დაფინანსებულიყო რამდენიმე რეგიონში(თუმცაღა საქართველოს მასშტაბით კვლავ ერთ პროგრამად ჩაითვალა), ამიტომ რეგიონებში აღნიშნული პროგრამების ჯამი არ უდრის მთელს ქვეყანაში მითითებული პროგრამების რაოდენობას.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, 2013 წელს სახელმწიფო ახალგაზრდული პროგრამების რაოდენობა ჭარბობს თბილისსა და ქვემო ქართლში, ხოლო გურიაში ეს მაჩვენებელი ყველაზე მცირეა. თუმცაღა უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ყოველ პროგრამას განსხვავებული ბენეფიციართა რაოდენობა ჰყავდა.

თუ გადავხედავთ სახელმწიფო ახალგაზრდული პროგრამების 15-29 ასაკის ბენეფიციართა წილს დავინახავთ, რომ ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალიამცხეთა-მთიანეთში (4,2%), ხოლო ყველაზე დაბალიქვემო ქართლში (1,4%). დანარჩენი რეგიონებისთვის ახალგაზრდა ბენეფიციართა წილი 2-4%-იან ინტერვალშია მოთავსებული. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ 2013 წელს ამ პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობებისმქონე ბენეფიციარები დაფიქსირდა მხოლოდ თბილისში და მათი წილი თბილისის ახალგაზრდა ბენეფიციართა შორის 2,7%-ს შეადგენს.

თუ დავიანგარიშებთ,საშუალოდ რამდენი 15-29 წლის ბენეფიციარი მოდისერთ სახელმწიფო ახალგაზრდულ პროგრამაზე დავინახავთ, რომ მათი წილი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში საკმაოდ განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. მაგალითად, გურიაში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია და 1,5%-ის ტოლია. რაც ნიშნავს, რომ გურიაში საშუალოდ ერთი სახელმწიფო ახალგაზრდულიპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობამ ამავე რეგიონის ახალგაზრდების 1,5% შეადგინა. ასევე, მაღალია ეს მაჩვენებელი მცხეთა-მთიანეთში (1,1%), ხოლო დარჩენილი რეგიონებისთვის იგივე მაჩვენებელი 1%-ზე ნაკლებია.

დიაგრამა 4.14: სახელმწიფო ახალგაზრდული პროგრამების ბენეფიციართა საშუალო რაოდენობის წილი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში, რეგიონების მიხედვით(2013 წელი)**, %.**



7.6 ძალადობა

წინამდებარე თავში მოცემულია მონაცემები ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით და იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიცვალა ახალგაზრდების აზრით სიტუაცია ამ მიმართულებით. 15-29 წლის ახალგაზრდების ნახევარზე ოდნავ მეტი მიიჩნევს, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე მათი თანატოლების მიერ ან/და მათ მიმართ ჩადენილი ძალადობისა და იძულების ფაქტები შემცირდა. 4,3%-მა კი დაადასტურა, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში თვითონ გახდა ძალადობის ან იძულების მსხვერპლი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იმ ახალგაზრდებს შორის, ვინც სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით 2/3 ქალია, ხოლო პოლიციის მიერ დარეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლთა შორის 2/3 კაცი. მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ძალადობის კუთხით მსჯავრდებული ახალგაზრდების რაოდენობა თავის ასაკობრივ ჯგუფში 1%-ზე ნაკლებია და მათგან 97% კაცია.

ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (53,6%) თვლის, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე მათი თანატოლების მიერ ან/და მათ მიმართ ჩადენილი ძალადობისა და იძულების ფაქტები შემცირდა. ამის საპირისპირო მოსაზრება დააფიქსირა 11,6%-მა, მათ შორის, მხოლოდ 1,5% მიიჩნევს, რომ ასეთი ფაქტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დიაგრამა 4.15:როგორ შეიცვალა საქართველოში ახალგაზრდების მიერ ან/და მათ მიმართ ჩადენილი ძალადობისა და იძულების შემთხვევები ბოლო 10 წლის მანძილზე? (%).



ამ მაჩვენებლის ქალაქ-სოფლის ჭრილში გაანალიზებისას, ჩანს, რომ ახალგაზრდების ყველაზე დაბალი წილი რომლებიც თვლიან, რომ ძალადობისა და იძულების ფაქტები შემცირდა ქ. თბილისშია (48,1%), ხოლო სოფლებში ანალოგიური მაჩვენებელი თითქმის 10 პროცენტული პუნქტითაა მაღალი (57%). მათი წილი ვინც თვლის, რომ სიტუაცია არ შეცვლილა ყველაზე მაღალია სხვა ქალაქებში (10.5%).

ცხრილი 4.15: როგორ შეიცვალა საქართველოში ახალგაზრდების მიერ ან/და მათ მიმართ ჩადენილი ძალადობისა და იძულების შემთხვევები ბოლო 10 წლის მანძილზე? (%).

	ქ. თბილისი	სხვაქალაქები	სოფლები
შემცირდა	48.1	53.2	57.0
არშეცვლილა	9.5	10.5	6.7
გაიზარდა	15.4	13.0	8.6
არვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	27.0	23.3	27.8
სულ	**100.0**	**100.0**	**100.0**

ანალოგურად, თითქმის ყველა რეგიონში ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი თვლის, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე, მათი თანატოლების მიერ ან/და მათ მიმართ ჩადენილი ძალადობისა და იძულების ფაქტები შემცირდა. ეს მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალია სამეგრელოს (71,0%), მცხეთა-მთიანეთის (69,3%), აჭარისა (61,8%) და იმერეთის (60,0%) რეგიონებში, ხოლო თბილისში (45,9%) და გურიაში(51,4%) შედარებით დაბალი. რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სადაც ახალგაზრდების მხოლოდ 28,7% დაეთანხმა ამ მოსაზრებას, ხოლო 64,4%-ს გაუჭირდა დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა.დანარჩენრეგიონებში იმ ახალგაზრდების წილი, ვინც თვლის, რომ ძალადობისა და იძულების შემთხვევები შემცირდა 50-55%-მდე ინტერვალში მერყეობს.

7.6.1 ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა

ამ ქვეთავში წარმოდგენილია ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობის ამსახველი სამი წყარო: საველე კვლევა, სოციალური მომსახურების სააგენტო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სამივე წყარო თვისობრივად განსხვავებულმონაცემებს გვაძლევს. საველე კვლევის ფარგლებში ყოველი რესპონდენტი, ისევე, როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოში მიმართვისას ადამიანი აფიქსირებს,რომ ძალადობის/იძულიების მსხვერპლია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ძალადობის ფაქტები დარეგისტრირებულ იქნა შსს-ს მიერ. ამავდროულად შსს მონაცემები წარმოადგენს მხოლოდ რეგისტრირებული ძალადობის მუხლით ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლთა რაოდენობას.

კვლევის მასალებზე დაყრდნობით, საქართველოში 15-29 ასაკის ახალგაზრდების მხოლოდ 4,3% აფიქსირებს, რომ გასული 12 თვის მანძილზე იყო ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობის ან იძულების მსხვერპლი. მათ შორის 2,3% ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი იყო, ხოლო 1,5% ფსიქოლოგიური ძალადობის. იმ ახალგაზრდების წილი, ვინც განაცხადა რომ ფიზიკური, სექსუალური ძალადობის ან იძულების მსხვერპლი იყო ძალზედ მცირეა და თითოეულისთვის 1%-ს არ აღემატება. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, ვინაიდან საველე კვლევის რესპონდენტს შეეძლო დაესახელებინა ძალადობის რამდენიმე ფორმა, რომლის მსხვერპლიც გახდა გასული 12 თვის მანძილზე, ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები ჯამში ძალადობის მსხვერპლთა მთლიან მაჩვენებელს (4,3%) არ დაემთხვევა. ის ახალგაზრდები ვინც დააფიქსირა, რომ რაიმე სახით ძალადობის ან იძულების მსხვერპლი იყო გასული 12 თვის განმავლობაში 4/5 ქალაქის მაცხოვრებელია.

2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით მიმართვების მთლიანი რაოდენობა 290-ის ტოლია. მათ შორის 15-29 წლის ახალგაზრდების მიერ მიმართვების რაოდენობა 58-ის ტოლი. ამ ასაკობრივ ჯგუფში ქალთა მიმართვების რაოდენობა თითქმის 2-ჯერ აღემატება კაცთა მიმართვების რაოდენობას. კახეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებში ისინი, ვინც ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს, ყველა ქალია. ერთადერთი რეგიონი, სადაც კაცთა მიმართვების რაოდენობა აღემატება ქალთა მიმართვების რაოდენობას იმერეთია და ამ რეგიონში კაცების მიმართვების რიცხვი 3-ჯერ აღემატება ქალების მიმართვების რიცხვს.

ცხრილი 4.16: ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით სოციალური მომსახურების სააგენტოში 15-29 წლის ახალგაზრდების მიმართვების რაოდენობა სქესისა და რეგიონების მიხედვით (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით).

რეგიონი	ქალი	კაცი	სულ
კახეთი	3	0	3
თბილისი	8	1	9
შიდა ქართლი	1	1	2
ქვემო ქართლი	9	7	16
სამცხე-ჯავახეთი	3	1	4
აჭარის ა. რ.	3	0	3
გურია	1	0	1
სამეგრელო	5	1	6
იმერეთი	3	9	12
მცხეთა-მთიანეთი	1	1	2

საქართველო	**37**	**21**	**58**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ამავე პერიოდში (2012 წლის ივლისიდან - 2013 წლის ივნისის ჩათვლით) პოლიციის მიერ დარეგისტრირებული ძალადობის მხვერპლთა რაოდენობა 369-ს უდრის. მათ შორის 15-29 ასაკის ახალგაზრდების რაოდენობა 175-ია. ეს მაჩვენებელი 3-ჯერ აღემატება ამ პერიოდში სოციალური მომსახურების სააგენტოში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ახალგაზრდების მიმართვების რაოდენობას (58).

ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ პოლიციის მიერ დარეგისტრირებულ ძალადობის მსხვერპლი ახალგაზრდების რაოდენობაში კაცები თითქმის 2-ჯერ მეტია ქალებზე. ცალკეული რეგიონების დონეზეც ძალადობის მსხვერპლი კაცების რაოდენობა ჭარბობს ქალების რაოდენობას. გამონაკლისს წარმოადგენს გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონები, სადაც ქალების რაოდენობა აღემატება (გურია) ან ტოლია (ქვემო ქართლი) კაცების რაოდენობისა.

ცხრილი 4.17: პოლიციის მიერ დარეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლი 15-29 ასაკის ახალგაზრდების რაოდენობა (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით).

რეგიონი	ქალი	კაცი	სქესი უცნობია	სულ
კახეთი	6	13	0	19
თბილისი	15	38	1	54
შიდა ქართლი	3	14	0	17
ქვემო ქართლი	11	11	0	22
სამცხე-ჯავახეთი	1	4	0	5
აჭარის ა. რ.	10	12	0	22
გურია	5	1	1	7
სამეგრელო	0	4	1	5
იმერეთი	6	10	0	16
მცხეთა-მთიანეთი	2	6	0	8
საქართველო	**59**	**113**	**3**	**175**

7.6.2 ძალადობის მუხლით მსჯავრდებული ახალგაზრდების რაოდენობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემებზე დაყრდნობით ჩანს, რომ საქართველოს მასშტაბით 1 წლის განმავლობაში ძალადობის კუთხით ნასამართლევი ახალგაზრდების წილიშესაბამის ასაკობრივ ჯგუფში 1%-ზე ნაკლებია და 10,000 კაცზე საშუალოდ 7 მსჯავრდებულიმოდის. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია აჭარის რეგიონსა და თბილისში და შესაბამისად 10-ს და 9-ს უდრის, ხოლო ყველაზე დაბალია გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში, სადაც 10,000 კაცზე 3 ძალადობის მუხლით მსჯავრდებული ახალგაზრდა იყო. კახეთში და მცხეთა-მთიანეთში ეს მონაცემი საქართველოს მაჩვენებელს ემთხვევა (7), დანარჩენ რეგიონებში კი, 4-დან 6-მდე მერყეობს.

ცხრილი 4.18: ძალადობის მუხლით მსჯავრდებული 15-29 წლის ახალგაზრდების რაოდენობა სქესისა და რეგიონების მიხედვით (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით).

რეგიონი	ქალი	კაცი	სულ
კახეთი	1	59	60
თბილისი	6	251	257
შიდაქართლი	0	41	41
ქვემოქართლი	1	68	69
სამცხე-ჯავახეთი	2	27	29
აჭარის ა. რ.	7	77	84
გურია	0	9	9
სამეგრელო	1	30	31
იმერეთი	0	58	58
მცხეთა-მთიანეთი	0	19	19
საქართველო	**18**	**639**	**657**

რაც შეეხება სქესთა თანაფარდობას, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად საქართველოში ძალადობის მუხლით მსჯავრდებულ ახალგაზრდებს შორის 97,3% კაცია. ანალოგიური სურათი ფიქსირდება რეგიონულ ჭრილშიც, ამ მუხლით მსჯავრდებული კაცების წილი თითოეულ რეგიონში 92-100%-იან მონაკვეთში მერყეობს. მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, გურიისა და შიდა ქართლის რეგიონებში ყველა მსჯავრდებული კაცი იყო, ხოლო ძალადობის კუთხით მსჯავრდებულ ქალთა ყველაზე მაღალი წილიდაფიქსირდა აჭარისა (8,3%) და სამცხე-ჯავახეთის (6,9%) რეგიონებში. დანარჩენი რეგიონებისთვის ეს მაჩვენებელი 3%-ს არ აღემატება.

დიაგრამა 4.16: ძალადობის მუხლით მსჯავრდებული 15-29 ასაკის ახალგაზრდების განაწილება სქესის მიხედვით, % (2012 ივლისიდან-2013 ივნისის ჩათვლით).



7.7 ახალგაზრდების დამოკიდებულება ძალადობასა და შშმ პირებთან დაკავშირებული ზოგიერთი მოსაზრების მიმართ

შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეთავში მოცემულ თითქმის ყველა მოსაზრებასთან დაკავშირებით ახალგაზრდების უმრავლესობა იზიარებს ერთნაირ პოზიციას (ეთანხმება ან არ ეთანხმება მოსაზრებას). ასე მაგალითად, ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მუქარაც და ცემაც ძალადობაა, რომ ბიჭისთვის დანის ტარება მიუღებელია და რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები არ უნდა ცხოვრობდნენ საზოგადოების სხვა წევრებისგან განცალკევებით. ასევე, ახალგაზრდების თითქმის ანალოგიური რაოდენობა მიიჩნევს, რომ წარმატების მისაღწევად საჭიროა კარგად ისწავლო. მათი რაოდენობა ვინც ეთანხმება თითოეულ ზემოხსენებულ მოსაზრებას 85-93%-ია. ამ ზოგადი ტენდენციიდან გამონაკლისს წამოადგენს მხოლოდ მოსაზრება იმის თაობაზე, არის თუ არა დაცინვა ძალადობა. აქ ახალგაზრდების თანაბარი რაოდენობა (დაახლოებით 40%) აფიქსირებს ურთიერთსაპირისპირო პოზიციას.

საქართველოს მასშტაბით იმ მოსაზრებას, რომ მუქარა არის ძალადობის ფორმა მთლიანობაში ეთანხმება ახალგაზრდების 87,3%, ხოლო არ ეთანხმება 7,8%.

დიაგრამა 4.17:ახალგაზრდების წილი რეგიონებში, ვინც ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მუქარა არის ძალადობის ფორმა, %.



თითოეულ რეგიონში საგრძნობლად ჭარბობს მათი წილი, ვინც ეთანხმება აღნიშნულ მოსაზეებას. ამ მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა გურიის (94,3%), თბილისისა (91,5%) და აჭარის (90,8%) რეგიონებში, ხოლო მინიმალური მცხეთა-მთიანეთისა (73,2%) და ქვემო ქართლის რეგიონში (77,2%). დანარჩენი რეგიონებისთვის ახალგაზრდების წილი ვინც თვლის, რომ მუქარა ძალადობის ფორმაა 82-89%-იან ინტერვალშია მოხვედრილი.

საქართველოს მასშტაბით თითქმის თანაბარია მათი წილი, ვინც არ ეთანხმება (41,5%) და ეთანხმება (43,8%) მოსაზრებას, რომ დაცინვა არ არის ძალადობის გამოვლინება. ხოლო ნეიტრალური დამოკიდებულება დააფიქსირა ახალგაზრდების 12,1%-მა.

დიაგრამა 4.18:ახალგაზრდების განაწილება იმის მიხედვით ეთანხმებიან თუ არა მოსაზრებას, რომ დაცინვა არ არის ძალადობის გამოვლინება, %



აქ რეგიონების მიხედვით საკმაოდ განსხვავებული სურათი გვევლინება. შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოსა და იმერეთში ჭარბობს მათი წილი, ვინც არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. ამ რეგიონებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი მერყეობს 46-53%-იან ინტერვალში. საწინააღმდეგო აზრი ჭარბობს კახეთში (61,5%),აჭარაში (63,4%), გურიასა (51,6%) და მცხეთა-მთიანეთში (58,9%). ქვემო ქართლშიმათი წილი, ვინც ეთანხმება ამ მოსაზრებას 4 პროცენტული პუნქტით მეტია მათზე, ვინც არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. და ბოლოს, თბილისში მათი წილი ვინც საპირისპირო აზრს აფიქსირებს თითქმის თანაბარია (43 და 44%)

მთელს ქვეყანაში ახალგაზრდების 67,8% ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ გინება არის ძალადობის გამოვლინება, მათ შორის სრულიად ეთანხმება 33,8%. ანალოგიური სურათია რეგიონის დონეზეც, მათი წილი, ვინც ეს აზრი დააფიქსირა ნახევარზე მეტია თითოეული მათგანისათვის. აღანიშნული მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ქვემო ქართლის რეგიონში (52,3%), ხოლო ყველაზე მაღალი გურიაში (86,7%). ასევე, შედარებით მაღალია ეს მაჩვენებელი მცხეთა-მთიანეთში (79,9%), თბილისში (72,4%), იმერეთსა (72,1%) და აჭარაში (71,7%), ხოლო დანარჩენი რეგიონებისთვის ეს მაჩვენებელი 60-69%-ის ფარგლებში მერყეობს.

საქართველოს მასშტაბით, იმ მოსაზრებას, რომ ადამიანისთვის იარლიყის მიწებება არ არისძალადობის გამოვლინება არ ეთანხმება ახალგაზრდების 46,2%, ეთანხმება 31,3%, ხოლონეიტრალური პასუხი 16,0%-მა დააფიქსირა.

ცხრილი 4.19: ახალგაზრდების განაწილება იმის მიხედვით, ეთანხმებიან თუ არა მოსაზრებას, რომ ადამიანისთვის იარლიყის მიწებება არ არის ძალადობის გამოვლინება, რეგიონულ ჭრილში, %.

რეგიონი	არ ვეთანხმები	ნეიტრალური	ვეთანხმები
კახეთი	32.7	16.6	45.9
თბილისი	56.3	14.0	22.8
შიდაქართლი	43.4	20.7	27.1
ქვემოქართლი	39.8	16.3	35.8
სამცხე-ჯავახეთი	42.7	19.9	27.1
აჭარისა.რ.	42.3	12.2	38.7
გურია	45.2	10.5	43.4
სამეგრელო	50.0	16.0	24.6
იმერეთი	47.1	16.3	33.5
მცხეთა-მთიანეთი	15.4	31.0	52.7

საქართველო	**46.2**	**16.0**	**31.3**

თბილისის (56,3%), სამეგრელოსა (50,0%) და იმერეთის (47,1%) რეგიონებში საგრძნობლად ჭარბობს მათი წილი ვინც თვლის, რომ ადამიანისთვის იარლიყის მიწებება ძალადობის გამოვლინებაა. ამავდროულად, კახეთსა (45,9%) და მცხეთა-მთიანეთში (52,7%) მეტია მათი წილი, ვინც საპირისპირო მოსაზრებას აფიქსირებს. ქვემო ქართლსა და აჭარაში ახალგაზრდების წილი თითქმის თანაბრად გადანაწილდა მათ შორის, ვინც ეთანხმება და არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

ახალგაზრდების თითქმის 1/3 (30,5%) თვლის, რომ თანხმობის გარეშე შეხება/მოფერება არ არის ძალადობა. საპირისპირო აზრი აქვს 55,7%-ს, მათ შორის ნახევარზე ოდნავ ნაკლები კატეგორიულად არ ეთანხმება ამ მოსაზრებს (23,6%). საკმაოდ განსხვავებული სიტუაცა გვაქვს რეგიონების მიხევდით.

დიაგრამა 4.19: ახალგაზრდების წილი რეგიონებში, ვინც არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ თანხმობის გარეშე შეხება/მოფერება არ არის ძალადობა, %.



მათი წილი, ვინც აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს მაქსიმალურია სამცხე-ჯავახეთში (82,9%). დანარჩენი რეგიონების უმრავლესობაში ეს მაჩვენებელი53-65%-იან მონაკვეთშია მოხვედრილი. გამონაკლისს წარმოადგენს კახეთი, გურია და მცხეთა-მთიანეთი, სადაც ახალგაზრდების მეტი წილი (46-54%) ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ თანხმობის გარეშე შეხება/მოფერება არ არის ძალადობა.

იმას რომ ცემა, თუნდაც რაიმე საგნის გარეშე არის ძალადობის ფორმა დაეთანხმა ახალგაზრდების უდიდესი უმრავლესობა (92,9%). როგორც მოსალოდნელი იყო, რეგიონების მიხედვითაც თითქმის ანალოგიური სურათია. ეს მაჩვენებელი თითქმის ყველა რეგიონისთვის 90%-ზე მაღალია. მცირეოდენით ნაკლებია ეს მაჩვენებელი ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის რეგიონებში და სამივესთვის 87%-ს უტოლდება.

საქართველოს ახალგაზრდების 57,9% არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ფიზიკური დასჯა აღზრდის განუყოფელი ნაწილია. თუმცა ახალგაზრდების ¼ საპირისპირო აზრს აფიქსირებს.

დიაგრამა 4.20:ახალგაზრდების განაწილება იმის მიხედვით თუ რამდენად ეთანხმებიან შემდეგ მოსაზრებას - ფიზიკური დასჯა აღზრდის განუყოფელი ნაწილია, %



ისევე როგორც ქვეყნის დონეზე, რეგიონების უმეტეს ნაწილშიც ახალგაზრდების დიდი წილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. ეს მონაცემი ყველაზე მაღალია თბილისსა (71,3%) და იმერეთში (65,5%). ყველა დანარჩენი რეგიონისთვის სამცხე-ჯავახეთის (26,7%), ქვემო ქართლისა (36,6%), და მცხეთა-მთიანეთის (44,5%) გარდა ეს მაჩვენებელი მოხვედრილია 51-60%-იან ინტერვალში.გამონაკლისია, ქვემო ქართლის (48,0%) და სამცხე-ჯავახეთის (49,7%) რეგიონები, სადაც ახალგაზრდების მეტი წილი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ფიზიკური დასჯა აღზრდის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოში ახალგაზრდების 85,1% არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ საზოგადოების სხვა წევრებისგან განცალკევებით. ხოლო ნეიტრალური და დადებითი პასუხები დააფიქსირა, შესაბამისად 6%-მა და 5%-მა.

დიაგრამა 4.21:ახალგაზრდების წილი რეგიონებში, ვინც არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ საზოგადოების სხვა წევრებისგან განცალკევებით, %.



რეგიონულ ჭრილში ანალოგიური მაჩვენებლის შედარებით დაბალი დონე დაფიქსირდა სამცხე ჯავახეთსა (62,2%) და ქვემო ქართლში (67,4%). შემდეგ მოდის იმერეთის (86,3%), თბილისისა (86,8%) და შიდა ქართლის (88,9%) რეგიონები, ხოლო დანარჩენ რეგიონებში ახალგაზრდების 90%-ზე მეტი არ ეთანხმება იმას, რომ შშმ პირები განცალკევებით უნდა ცხოვრობდნენ.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების 57,4% არ ეთანხმება იმას, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებში სხვა არავინ უნდა ჩაერიოს, ხოლო საპირისპირო აზრს აფიქსირებს ახალგაზრდების 1/4. რეგიონულ ჭრილშიც ახალგაზრდების დიდი წილი არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. ამ მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა გამოიკვეთა გურიის (77,9%) რეგიონში, ხოლო მინიმალური კახეთში (46,8%). ეს მონაცემი ასევე მაღალია სამეგრელოსა (77,0%) და თბილისში (62,6%),ხოლო დარჩენილ რეგიონეში 47-57%-იან მონაკვეთში მერყეობს.

წინა მოსაზრების ანალოგიურად, ახალგაზრდების დიდი წილი არ ეთანხმება იმ მომსაზრებას, რომ ხალხი მათ გარშემო ერიდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთან ურთიერთობას. ეს მაჩვენებელი მთელი ქვეყნის მასშტაბით 57,8%-ს შეადგენს. საპირისპირო აზრი გამოთქვა ახალგაზრდების 16,2%-მა, ხოლო ნეიტრალური პოზიცია აირჩია 17,2%-მა.

ცხრილი 4.20: ახალგაზრდების განაწილება იმის მიხედვით ეთანხმებიან თუ არა იმ მოსაზრებას, რომ ხალხი მათ გარშემო ერიდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობას, რეგიონების მიხედვით, %.

	არ ვეთანხმები	ნეიტრალური	ვეთანხმები	მიჭირს პ. გ. /უარი პასუხზე
კახეთი	67.1	9.6	13.5	9.8
თბილისი	57.7	19.8	17.5	5.0
შიდაქართლი	65.2	14.7	15.7	4.4
ქვემოქართლი	45.0	18.9	24.4	11.6
სამცხე-ჯავახეთი	15.6	21.5	24.9	38.0
აჭარისა.რ.	72.1	6.5	8.8	12.6
გურია	61.4	5.7	14.9	18.1
სამეგრელო	67.7	20.1	9.6	2.7
იმერეთი	58.2	22.3	15.1	4.4
მცხეთა-მთიანეთი	50.6	10.7	16.8	21.9
საქართველო	**57.8**	**17.2**	**16.2**	**8.8**

რეგიონებში თითქმის ანალოგიური სიტუაციაა. საგრძნობლად მაღალია მათი წილი ვინც არ ეთანხმება იმას, რომ მათ გარშემო ხალხი ერიდება შშმ ადამიანებთან ურთიერთობას აჭარის რეგიონში (72,1%). დარჩენილ რეგიონებში სამცხე-ჯავახეთის (15,6%) გარდა, ეს მაჩვენებელი 45%-ს აღემატება.სამცხე-ჯავახეთი ერთადერთი რეგიონია, სადაც ახალგაზრდების უფრო მეტი წილი (24,9%) საპირისპირო მოსაზრებას აფიქსირებს. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონში მათი რაოდენობა, ვისაც აღნიშნულ მოსაზრებაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა მაქსიმალურია (38,0%) რეგიონებს შორის.

ქვეყანაში ახალგაზრდების თითქმის 4/5 (78,2%) მიიჩნევს, რომ თანატოლებს შორის აგდებული დამოკიდებულება/ზედმეტი სახელის დარქმევა/დამცირება მისაღები არ არის. დადებითი და ნეიტრალური პასუხების რაოდენობა თითქმის იდენტურია და 9-10%-ს უდრის. ცალკეული რეგიონების დონეზეც ახალგაზრდების უმრავლესობა ემხრობა ამ მოსაზრებას. მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის გურიაში (88,4), ხოლო ყველაზე დაბალი მცხეთა-მთიანეთში (62,5%). შედარებით მაღალია ეს მაჩვენებელი თბილისში (86,6%), იმერეთსა (83,2%) და კახეთში (83,2%), ხოლო შედარებით დაბალია ქვემო ქართლისა (63,9%) და აჭარის (66,4%) რეგიონებში. დარჩენილი რეგიონებისთვის ეს მაჩვენებელი 72-78%-იან მონაკვეთშია მოხვედრილი.

დიაგრამა 4.22:ახალგაზრდების წილი რეგიონებში, ვინც თვლის, რომ თანატოლებს შორის აგდებული დამოკიდებულება/ზედმეტი სახელის დარქმევა/დამცირება მისაღები არ არის, %.



როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების 89,3% მიიჩნევს, რომ იმისათვის, რომ იყო წარმატებული, საჭიროა კარგად ისწავლო.მათ შორის სრულიად ეთანხმება ამ მოსაზრებას 66,0%. ყველა რეგიონში ახალგაზრდების 80%-ზე მეტი იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სამეგრელოში (96,9%),გურიასა (95,0%) და კახეთში (94,2%). დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი 83-91%-იან ინტერვალშია მოქცეული.

იმისთვის, რომ იყო პოპულარული საჭიროა ფინანსურად ძლიერი იყო - ასე ფიქრობს ახალგაზრდების 61,9%, ხოლო საპირისპირო აზრს აფიქსირებს 26,2%. ქალაქ-სოფლის ჭრილში განხილვისას, ახალგაზრდების ყველაზე მაღალი წილი ვინც ეთანხმება იმას, რომ ფინანსური სიძლიერე პოპულარობის საწინდარია სოფლებშია (66,8%), ხოლო მათ შორის ვინც საპირისპირო აზრს აფიქსირებს ყველაზე მაღალი წილი (30,8%) ქ. თბილისშია.

დიაგრამა 4.23: ახალგაზრდების წილი რეგიონებში, ვინც ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ იმისთვის რომ იყო პოპულარული საჭიროა ფინანსურად ძლიერი იყო, %.



რეგიონების უმრავლესობაშიც ახალგაზრდების მეტი წილი ეთანხმება ამ მოსაზრებას. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია მცხეთა-მთიანეთსა (82,3%) და გურიაში (81,9%), ხოლო ყველაზე დაბალი - სამცხე-ჯავახეთში (38,9%). ეს უკანასკნელი ერთადერთი რეგიონია, სადაც საპირისპირო მოსაზრების მქონე ახალგაზრდები ჭარბობენ და მათი წილი 39,8%-ს შეადგენს.

ახალგაზრდების 88,5% არ ეთანხმება იმას, რომ დანის ტარება ბიჭისთვის მისაღებია, ხოლო მათ შორის ვინც ეთანხმება ამ მოსაზრებას 68% კაცია.

დიაგრამა 4.24: ახალგაზრდების წილი რეგიონებში, რომლებიც არ ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ დანის ტარება ბიჭისთვის მისაღებია, %.



რეგიონების მიხედვითაც ახალგაზრდების მეტი წილი არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია სამეგრელოს რეგიონში (96,6%), ხოლო ყველაზე დაბალი გურიაში (77,0%). დარჩენილ რეგიონებში ანალოგიური მაჩვენებელი 77%-ს აღემატება.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებიდან ყველაზე გამოკვეთილი ერთსულოვნება დაფიქსირდა იმ მოსაზრებაზე, რომ ცემა, თუნდაც რაიმე საგნის გარეშე არის ძალადობის ფორმა. ეს მაჩვენებელი 92,9%-ია, ხოლო მათი წილი ვინცსრულიად ეთახმება ამ მოსაზრებას 65,1%-ის ტოლია. ამას მოსდევს მათი წილი, ვინც ეთანხმება შემდეგ ორ მოსაზრებას: იმისათვის რომ იყო წარმატებული, საჭიროა კარგად ისწავლო (89,3%) და მუქარა არის ძალადობის ფორმა (89,3%). ასევე, ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა (88,5%) არ ეთანმხება იმ მოსაზრებას, რომ ახალგაზრდა ბიჭისთვის დანის ტარება მისაღებია.

ცხრილი 4.21:ახალგაზრდების განაწილება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეთანხმებიან ცხრილში მოცემულ მოსაზრებებს, %.

	არ ვეთანხმები	ნეიტრალური	ვეთანხმები	მიჭირს პ. გ. /უარი პასუხზე
მუქარა არის ძალადობის ფორმა	7.8	3.8	87.3	1.2
დაცინვა არ არის ძალადობის გამოვლინება	41.5	12.1	43.8	2.7
გინება არის ძალადობის გამოვლინება	20.7	10.0	67.8	1.5
ადამიანისთვის იარლიყის მიწებება არ არის ძალადობის გამოვლინება	46.2	16.0	31.3	6.5
თანხმობის გარეშე შეხება/მოფერება არ არის ძალადობა	55.7	10.9	30.5	2.9
ცემა, თუნდაც რაიმე საგნის გარეშე არის ძალადობის ფორმა	4.8	1.8	92.9	0.5

ფიზიკური დასჯა აღზრდის განუყოფელი ნაწილია	57.9	14.0	25.4	2.8
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ საზოგადოების სხვა წევრებისგან განცალკევებით	85.1	5.5	5.0	4.3
ოჯახში ძალადობის შემთხვევებში სხვა არავინ უნდა ჩაერიოს	57.4	12.5	24.5	5.6
ხალხი ჩემს გარშემო ერიდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთან ურთიერთობას	57.8	17.2	16.2	8.8
თანატოლებს შორის აგდებული დამოკიდებულება/ზედმეტი სახელის დარქმევა/დამცირება მისაღებია	78.2	9.8	9.3	2.8
იმისათვის რომ იყო წარმატებული, საჭიროა კარგად ისწავლო	4.4	5.0	89.3	1.3
იმისათვის რომ იყო პოპულარული საჭიროა ფინანსურად იყო ძლიერი	26.2	10.3	61.9	1.6
ახალგაზრდა ბიჭისთვის დანის ტარება მისაღებია	88.5	4.9	5.0	1.7

7.8 რომელ არაპოლიტიკოს პიროვნებას ენდობა 15-29 წლის ახალგაზრდები საქართველოში

საქართველოში 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების უმრავლესობამ (59,7%) ვერ დაასახელა ცნობილი არა პოლიტიკოსი ადამიანი, რომელსაც ენდობა.

საველე გამოკითხვის პერიოდში, ახალგაზრდებს სთხოვეს დაესახელებინათ ერთი ან ორი, ცნობილი, არა პოლიტიკოსი ადამიანი საქართველოში, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობიან. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების უმრავლეოსობამ (59,7%) ვერ შეძლო ასეთი პიროვნების დასახელება.

მათგან, ვინც დაასახელა ცნობილი არაპოლიტიკოსი ადამიანი რომელსაც ენდობიან, ყველაზე ხშირად ახალგაზრდები საქართველოს კათოლიკოს პატრიარქსა (41,2%) და პაატა ბურჭულაძეს (17,6%)ასახელებენ.დანარჩენი ახალგაზრდების მიერ დასახელებული პიროვნებების მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი 5%-ს არ აღემატება.

ნაწილი V. ახალგაზრდების ჩართულობა სპორტულ აქტივობებში[15]

[15] [15]მაღალი მიღწევების სპორტი/გამაჯანსაღებელი სპორტი/რეკრეაციული სპორტი

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებში სპორტული ან რაიმე სახის ფიზიკური აქტივობა ძალიან დაბალია. ახალგაზრდების მხოლოდ 17,5%-ია რეგულარულად (კვირაში მინიმუმ 2 საათით) დაკავებული ფიზიკური აქტივობით. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სპორტით რეგულარულად დაკავებული ახალგაზრდა მამაკაცების რაოდენობა თითქმის 3-ჯერ აღემატება სპორტით დაკავებულ ქალების რაოდენობას. ახალგაზრდების აქტივობა, ამ მხრივ, სოფლებში უფრო დაბალია და 15,6%-ს შეადგენს, როცა იგივე მაჩვენებელი ქალაქში 19,2%-ს შეადგენს. ეს ფაქტი განპირობებულია სოფლებში ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემებით. თუმცა, საქართველოს მასშტაბით ასევე მაღალია იმ ახალგაზრდათა რაოდენობა, რომლებსაც არ გააჩნიათ სურვილი დაკავდნენ რაიმე სახის ფიზიკური აქტივობით (39,3%) და ამ ახალგაზრდების რაოდენობა სოფლებში და ქალთა სქესის წარმომადგენლებში უფრო მეტია.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს რომ 15-29 წლის ახალგაზრდებიდან,რომლებიცრეგულარულად არ მისდევენ სპორტს, 43,2%-ს გააჩნია სურვილი დაკავდეს სპორტის ან რაიმე ფიზიკური აქტივობის სახეობით. თუმცა, მათ ხელს ძირითადად სამი ფაქტორი უშლით: დროის ნაკლებობა, ფინანსური ბარიერები და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები. ქალაქსა და სოფელში განსხვავებული სიტუაციაა, ქალაქში ახალგაზრდები ვერ ერთვებიან სასურველ სპორტის სახეობაში უმეტესად დროის ნაკლებობის გამო (62,5%), ხოლო სოფელში უმეტესად ფინანსური ბარიერები (42,4%) უშლით ხელს. ასევე, სოფელში, ქალაქთან შედარებით, ახალგაზრდებს არ აქვთ საშუალება სპორტით დაკავდნენ, ინფრასტრუქტურის არარსებობისა (32,6%) და სიშორის გამო (27,0%). ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ცურვაზე (44,1%), ტრენაჟორებზე (25,3%), ფეხბურთზე (22,7%), და ცეკვაზე (22,2%) სიარულის სურვილს გამოხატავენ.

სპორტით ან რაიმე სახის ფიზიკური აქტივობით დაკავებული ახალგაზრდები ორ მიზანს მისდევენ, მათი უმრავლესობა (81,4%) სპორტული/ფიზკური აქტივობით ფიზიკური გაჯანსაღების, ჯანსაღი ცხოვრების წესის გამო არის დაკავებული, ხოლო გარეგნობაზე ზრუნვის გამო (მაგ. წონის კორექცია). ამ აქტივობაში ახალგაზრდების მხოლოდ 28,2% არის ჩართული. საქართველოში სპორტით რეგულარულად დაკავებული ახალგაზრდების უმრავლესობა (45,8%), ამ აქტივობას კვირაში საშუალოდ 2-დან 3 საათამდე უთმობს, ხოლო აქტივობის სიხშირის მიხედვით უმრავლესობა (53,7%) კვირაში 2-3-ჯერ ვარჯიშობს.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 17,5%-ია სპორტით ან რაიმე სახისფიზიკური აქტივობით რეგულარულად (კვირაში მინიმუმ 2 საათით) დაკავებული. სპორტულ აქტივობებში ახალგაზრდა კაცების 26,5%, ხოლო ქალების მხოლოდ 8,8% არის ჩართული. ქალაქ-სოფლის ჭრილშიც მსგავსი სიტუაციაა, თუმცა ქალაქში სოფელთან შედარებით სპორტით უფრო მეტი ახალგაზრდაა დაკავებული, შესაბამისად ეს მაჩვენებლი ქალაქში 19,2%-ს, ხოლო სოფელში 15,6%-ს შეადგენს.

დიაგრამა 5.1: საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, იმის გათვალისწინებით არიან თუ არა ჩართულნისპორტულ/ფიზიკურ აქტივობებში რეგულარულად, %.



რეგიონებში სპორტით დაკავებული ახალგაზრდების წილი 21%-ს არ აღემატება. მაქსიმალური მაჩვენებლები კახეთის, ქვემო ქართლისა და სამეგრელოს რეგიონებში ფიქსირდება.

დიაგრამა 5.2: საქართველოში სპორტულ/ფიზიკურ აქტივობებში რეგულარულად ჩართული 15-29 წლის ახალგაზრდების წილი რეგიონულ ჭრილში, %



საქართველოში სპორტით რეგულარულად დაკავებული ახალგაზრდების 45,8%, ამ აქტივობას კვირაში საშუალოდ 2-დან 3 საათამდე უთმობს. საშუალოდ 3-დან 5-საათამდე კვირაში, ფიზიკური აქტივობით, ახალგაზრდების 20,2%-ია დაკავებული, მაშინ როდესაც უფრო მეტ დროს, 5 საათსა და მეტს, ახალგაზრდების 34,0%უთმობს. ანალოგიური სურათი ფიქსირდება რეგიონებშიც, სპორტით რეგულარულად დაკავებული ახალგაზრდების უმრავლესობა სპორტული აქტივობებით კვირაში საშუალოდ 2-დან 3 საათამდე არიან დაკავებულნი. თუმცა, როგორც დიაგრამა 5.3 გვიჩვენებს განსხვავებული სიტუაციაა ქ. თბილისში, სადაც ახალგაზრდების 44,0% სპორტით, უფრო აქტიურად, კვირაში 5 საათი და მეტი დროით არიან დაკავებულნი. აღსანიშნავია, რომ სოფელში სპორტით დაკავებული ახალგაზრდები ქ. თბილისსა და სხვა ქალაქებთან შედარებით უფრო ნაკლებ დროს უთმობენ ფიზიკურ აქტივობას, კვირაში 5 საათი და მეტი დროით სოფელში სპორტით რეგულარულად დაკავებული ახალგაზრდების მხოლოდ 26,3%-ია დაკავებული.

დიაგრამა 5.3: საქართველოში 15-29 წლის სპორტულ აქტივობებში რეგულარულად ჩართული ახალგაზრდების განაწილება, საშუალოდ კვირაში ამ აქტივობის ხანგრძლივობის მიხედვით, %.



სპორტით დაკავებული ახალგაზრდების უმრავლეოსობა (53,7%) კვირაში 2-3-ჯერ ვარჯიშობს, უფრო აქტიურადაა ჩაბმული ამ აქტივობაში ახალგაზრდების 35,5% (კვირაში 4 და მეტი ვარჯიში), ხოლო პასიურად (კვირაში 1 ვარჯიში) ახალგაზრდების მხოლოდ 10,8%. აღნიშნული არ იცვლება ქალაქ-სოფლის ჭრილშიც - ახალგაზრდების უმრავლესობა კვირაში 2-3-ჯერ ვარჯიშობს, თუმცა ფიზიკური აქტივობით უფრო პასიურად (კვირაში 1 ვარჯიში) დაკავებული ახალგაზრდების წილიქალაქთან შედარებით სოფელში უფრო დიდიადა 13,1%-ს შეადგენს, როცა იგივე მაჩვენებელი ქალაქში 9,1%-ია.

დიაგრამა 5.4: საქართველოში 15-29 წლის სპორტულ აქტივობებში რეგულარულად ჩართული ახალგაზრდების განაწილება, საშუალოდ კვირაში ამ აქტივობაში ჩართულობის სიხშირის მიხედვით, %.



საქართველოში სპორტული/ფიზიკური აქტივობით რეგულარულად დაკავებული 15-29 წლის ახალგაზრდების უდიდესი უმრავლესობა (81,4%) სპორტული/ფიზიკური აქტივობით ფიზიკური გაჯანსაღების, ჯანსაღი ცხოვრების წესის გამო არის დაკავებული. გარეგნობაზე ზრუნვის გამო (მაგ. წონის

კორექცია) ამ აქტივობაში ახალგაზრდების, მხოლოდ 28,2%-ია ჩართული. რეგულარულად სპორტს, ფიზიკურ აქტივობას პროფესიონალ სპორტსმენად გახდომის მიზნით მისდევს ახალგაზრდების 14,2%.

დიაგრამა 5.5: საქართველოში 15-29 წლის სპორტულ აქტივობებში რეგულარულად ჩართული ახალგაზრდების განაწილება, აქტივობაში ჩართულობისყველაზე ხშირად დასახელებული მიზნების მიხედვით, %.



აღსანიშნავია, რომ ქალაქში გარეგნობაზე ზრუნვის გამო ახალგაზრდების უფრო დიდი რაოდენობაა სპორტით დაკავებული, ვიდრე სოფელში, შესაბამისად,ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 31,4%, ხოლო სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების 23,7%. ამავდროულად, ქ. თბილისში სხვა ქალაქებთან და სოფლებთან შედარებით ყველაზე მაღალია იმ ახალგაზრდათა წილი, რომლებიც პროფესიონალ სპორტსმენად გახდომის მიზნით მისდევენ სპორტს.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების ნახევარზე მეტს (55,0%) სურვილი აქვს ჩაერთოს სპორტის, ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში. მათ უმრავლეოსობას (43,2%) წარმოადგენენ ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დაკავებულნი სპორტით ან რაიმე ფიზიკური აქტივობით და სურვილი აქვთ ჩაერთონ რაიმე აქტივობაში, ხოლო 11,8%-ს გარდა იმ აქტივობისა, რომლითაც უკვე დაკავებულია, სურს, , ფიზიკური აქტივობის დასპორტისსხვა სახეობაშიც ჩაერთოს.

დიაგრამა 5.6: საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, რომლებიც არ არიან დაკავებულნი სპორტული/ფიზიკური აქტივობით რეგულარულად და სურთ ჩაერთონ ამ აქტივობის რომელიმე სახეობაში რეგიონულ ჭრილში, %.



ასევე მაღალია იმ ახალგაზრდების წილი(39,3%), რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი სპორტული აქტივობით, ისინი არც სპორტით არიან დაკავებულნი და არც სურთ ამ აქტივობის რომელიმე სახეობაში ჩაერთონ. მათი უმრავლესობა (23,6%) ახალგაზრდა ქალია. ქალაქ-სოფლის შედარება, ცხადყოფს, რომ ასეთი ახალგაზრდების რაოდენობა სოფელში გაცილებით მეტია, შესაბამისად სოფელში 46,8%-ს, ხოლო ქალაქში 32,6%-ს შეადგენს.

დიაგრამა 5.7: საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, რომლებიც არ არიან დაკავებულნი სპორტული/ფიზიკური აქტივობით რეგულარულად და არც სურთ ჩაერთონ ამ აქტივობის რომელიმე სახეობაში, რეგიონულ და სქესობრივ ჭრილში, %.



საქართველოში, 15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობას (44,1%) სურვილი აქვს დაკავდეს ცურვით (ცურვა, წყალში ხტომა, სინქრონილი ცურვა). ამასთან, ახალგაზრდები ყველაზე სასურველ ფიზიკურ აქტივობად ტრენაჟორებს (25,3%), ფეხბურთს (22,7%) და ცეკვებს (22,2%) ასახელებენ.რეგიონებშიც ახალგაზრდების უმრავლესობას სპორტის ამ ჩამოთვლილ სახეობებში უნდათ ჩართვა.

ცხრილი 5.1: საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, რომელთაც ჩამოთვლილ სპორტის, ფიზიკური აქტივობის სახეობებში სურთ ჩაერთონ, %.

	ქ. თბილისი	სხვა ქალაქები	სოფელი	ქართველო
ფეხბურთი (მინი ფეხბურთი, ფუტზალი)	18.5	17.6	29.1	22.7

ჩოგბურთი	16.7	12.2	8.2	12.0
მაგიდის ჩოგბურთი	6.1	5.5	8.4	6.9
კალათბურთი	10.1	12.2	15.5	12.9
ხელბურთი,ფრენბურთი	7.3	13.8	24.8	16.3
წყალბურთი	5.4	6.0	6.1	5.9
რაგბი	3.7	3.7	6.0	4.6
ჭიდაობა (ქართული, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი, ძიუდო, სამბო)	9.1	8.1	17.0	12.1
საბრძოლო ხელოვნება (კარატე, ტაეკვანდო და სხვა აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებები)	3.6	8.9	10.0	7.7
კრივი	5.1	7.5	5.5	5.9
ცურვა, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა	59.6	42.3	33.1	44.1
ტანვარჯიში (სპორტული, მხატვრული, აკრობატიკა, ბატუტზე ხტომა)	9.8	11.4	10.7	10.6
სათხილამურო სპორტი (რბენები, ტრამპლინიდან ხტომა, სამთო სათხილამურო)	8.0	4.2	3.3	5.1
ფიგურული სრიალი	4.6	4.4	4.1	4.3
ავტოსპორტი	7.7	7.8	8.3	8.0
ველოსპორტი	9.0	8.7	5.5	7.5
ცეკვები	27.2	22.5	18.2	22.2
ცხენოსნობა	9.0	4.8	9.7	8.2
ჭადრაკი	3.8	4.6	7.0	5.3
ლაშქრობა ბუნებაში	16.2	8.1	8.5	10.9
სირბილი	10.2	5.5	8.3	8.2
ტრენაჟორები	36.6	20.7	19.2	25.3

ქ. თბილისში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სპორტული აქტივობებისა, ახალგაზრდები სასურველ აქტივობად ჩოგბურთს (16,7%) და ბუნებაში ლაშქრობას (16,2%) ასახელებენ, ხოლო თბილისს გარდა სხვა ქალაქებში - ხელბურთსა და ფრენბურთს(13.8%). თუმცა, ხელბურთსა და ფრენბურთში ჩართვის სურვილს, ქალაქებთან შედარებით, სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები უფრო გამოხატავენ (24,8%).

საქართველოში იმ ახალგაზრდების უმრავლესობას (51,6%), რომელსაც სურვილი აქვს, ჩაერთოს სპორტის რომელიმე სახეობაში, რომლითაც არ არის დაკავებული, ხელს უშლის დროის ნაკლებობის ფაქტორი. მეორე ყველაზე ხშირი ხელის შემშლელი ფაქტორი ფინანსური ბარიერებია (44,6%). ქალაქსა და სოფელში განსხვავებული სიტუაცია ფიქსირდება, ქალაქში ახალგაზრდები ვერ ერთვებიან სასურველ სპორტის სახეობაში უმეტესად დროის ნაკლებობის გამო (62,5%), ხოლო სოფელში უმეტესად (42,4%) ფინანსური ბარიერები უშლით ხელს. ასევე, სოფელში, ქალაქთან შედარებით, ახალგაზრდებს არ აქვთ საშუალება სპორტით დაკავდნენ, ინფრასტრუქტურის არარსებობისა (32,6%) და სიშორის გამო (27,0%). ამ ყველაფრით აიხსნება ის ფაქტი რომ, სოფელში ახალგაზრდების ძალიან მცირე რაოდენობაა ფიზიკური აქტივობით დაკავებული.

დიაგრამა 5.8: საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, რომლებსაც უნდათ ჩაერთონ სპორტული, ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაშიქვემოთჩამოთვლილი ხელისშემშლელიმიზეზების გათვალისწინებით, %.



რეგიონებშიც, იმ ახალგაზრდებს, რომელთაც სურვილი აქვთ სპორტის, ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში ჩაერთონ უმეტესად ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები აფერხებთ. გამონაკლისია თბილისი, სადაც ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ახალგაზრდების მხოლოდ 9,0% ვერ ახერხებს სასურველ სპორტის სახეობაში ჩართვას, ხოლო აქედან 6,4% ინფრასტრუქტურის სიშორეს ასახელებს. ასევე, გამოირჩევა აჭარის რეგიონი, სადაც ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ახალგაზრდების 21,4% ვერ ერთვება სასურველ სპორტის სახეობაში. თუმცა,თბილისსა და აჭარაში მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს ახალგაზრდებისათვის დროის ნაკლებობა წარმოადგენს.

დიაგრამა 5.9: საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, რომლებსაც უნდათ ჩაერთონ სპორტული, ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, ქვემოთჩამოთვლილი ხელისშემშლელიმიზეზების გათვალისწინებით, რეგიონულ ჭრილში, %



ნაწილი VI. „ჩემი სამყარო“

გამოკითხვა „ჩემისამყარო“ ტარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი პარტნიორებისმიერ.გამოკითხვისმიზანიაგაარკვიოს, თუ, როგორსამყაროშისურთცხოვრებაადამიანებსდარასაკითხებიამათთვისყველაზემნიშვნელოვანი. ესუპრეცედენტოსაერთაშორისოპროცესიმიმდინარეობსმსოფლიოს 194 ქვეყანაში, მათშორისსაქართველოშიც. გამოკითხვისმონაწილეები 16 ჩამოთვლილისაკითხიდანირჩევენპირადადმათთვისმნიშვნელოვანქვსპრიორიტეტს, რომელიც მათი აზრით მნიშვნელოვანია მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გამოკითხვის შედეგები მიეწოდება მსოფლიო ლიდერებს, მსოფლიოს განვითარების ახალი მიზნების განსაზღვრისათვის.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებმა მსოფლიოში უკეთესი მომავლისათვის ექვს ყველაზე მნიშვნელოვანსაკითხებად დაასახელეს: სამუშაო ადგილების გაზრდა, ჯანდაცვის გაუმჯობესება, ხელმისაწვდომი და სრულფასოვანი საკვები,ხარისხიანი განათლება, პატიოსანი და პასუხისმგებლობის მქონე მთავრობა და დანაშაულისა და ძალადობისაგან დაცვა. მათ შორის საქართველოში ახალგაზრდების უმრავლესობა მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სამუშაო ადგილების გაზრდას ყველაზე პრიორიტეტულად მიიჩნევს.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებს, მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ყველაზე მნიშვნელოვნად სამუშაო ადგილების გაზრდა (83,1%) მიაჩნიათ. ახალგაზრდები, ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ჯანდაცვის გაუმჯობესებას (78,6%), ხელმისაწვდომ და სრულფასოვან საკვებს (65,9%), ხარისხიან განათლებას (57,5%), პატიოსან და პასუხისმგებლობის მქონე მთავრობას (53,4%), დანაშაულისა და ძალადობისაგან დაცვას (49,2%) და იმ პირთა მხარდაჭერას, ვისაც მუშაობა არ შეუძლია (45,9%). დანარჩენ საკითხებს ახალგაზრდები ნაკლებად მნიშვნელოვნად თვლიან (9-27%-ს შორის მერყეობს).

ცხრილი 6.1: საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, იმის გათვალისწინებით, თუ რომელი საკითხები მიაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, %.

	ქ.თბილისი	სხვა ქალაქები	სოფელი	საქართველო
ხელმისაწვდომი და სრულფასოვანი საკვები	71.0	66.0	62.9	65.9
იმ პირთა მხარდაჭერა, ვისაც მუშაობა არ შეუძლია	45.9	50.2	43.5	45.9
სუფთა წყლის და კანალიზაციის ხელმისაწვდომობა	20.8	30.8	26.7	26.1
დისკრიმინაციისა და დევნისაგან თავისუფლება	24.1	24.1	20.9	22.6
ჯანდაცვის გაუმჯობესება	79.9	76.3	79.2	78.6
კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით განხორციელებული საქმიანობა	7.8	11.2	8.4	8.9
სახლების ეფექტიანი ენერგო-მომარაგება	7.4	9.4	12.8	10.5
პოლიტიკური თავისუფლებები	19.0	14.9	18.7	17.8
ტელეფონის და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა	7.5	13.0	23.6	16.5
თანასწორობა ქალებსა და კაცებს შორის	28.2	29.6	24.3	26.8
სამუშაო ადგილების გაზრდა	82.3	82.0	84.1	83.1
პატიოსანი და პასუხისმგებლობის მქონე მთავრობა	61.4	49.5	50.8	53.4

სატრანსპორტო სისტემისა და გზების მდგომარეობის გაუმჯობესება	7.9	10.1	19.4	13.9
ტყეების, მდინარეებისა და ოკეანეების დაცვა	23.6	24.6	19.9	22.1
დანაშაულისა და ძალადობისაგან დაცვა	52.3	50.3	46.9	49.2
ხარისხიანი განათლება	59.7	55.4	57.3	57.5

მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, საქართველოში ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სახლების ეფექტიან ენერგო-მომარაგებასა (10,5%) და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით განხორციელებულ საქმიანობას (8,9%).

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდა ქალებისა და კაცების თითქმის თანაბარი წილი ჩამოთვლილ საკითხებს მიიჩნევსმნიშნელოვნად, მსოფლიოში მდგომარების გაუმჯობესებისათვის. ყველაზე დიდი სხვაობა სქესის მიხედვით დაფიქსირდა იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ მსოფლიოში უკეთესი მომავლისათვის ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობაა მნიშვნელოვანი. აღნიშნულს მნიშვნელოვნად ახალგაზრდა ქალების 32,1%, ხოლო კაცების 21,3% ასახელებს.

რეგიონების მიხედვითაც მეტნაკლებად მსგავსი სურათი იკვეთება. ყველა რეგიონში,ახალგაზრდების ყველაზე დიდმა წილმა დაასახელასამუშაო ადგილების გაზრდა და ჯანდაცვის გაუმჯობესება. ჯანდაცვის გაუმჯობესება რეგიონების მიხედვით ახალგაზრდების 79-83%-მა დაასახელა, თუმცა გამონაკლისია იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები, სადაც ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია. ამ რეგიონებში, ახალგაზრდების შესაბამისად 71,0% და 76,1% მსოფლიოს უკეთესი მომავლისათვის თვლისყველ;აზე მნიშვნელოვნად ზემოთ ხსენებულ საკითხს. რეგიონებშიცმომდევნო მნიშვნელოვან საკითხად ხელმისაწვდომი და სრულფასოვანი საკვები გამოიკვეთა. თუმცა, რეგიონების მიხედვით ამ საკითხზე საკმაოდ განსხვავებული პროცენტული მაჩვენებლები დაფიქსირდა. ხელმისაწვდომი და სრულფასოვანისაკვები, მნიშვნელოვნად საკითხად მსოფლიოს უკეთესი მომავლისათვის ახალგაზრდების ყველაზე ნაკლებმა წილმა დაასახელა ქვემო ქართლში (52,0%), ხოლო ყველაზე მაღალმა (72,3%) თბილისში.

დიაგრამა 6.1: საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელმისაწვდომი და სრულფასოვანი საკვების საკითხის დასახელების მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, %.



მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვან საკითხადრეგიონებში ახალგაზრდების საკმაოდ განსხვავებული წილიასახელებსპატიოსან და პასუხისმგებლობის მქონე მთავრობას. მათგან, აღსანიშნავია აჭარის რეგიონი, სადაც ახალგაზრდების ყველაზე ნაკლები 38,2% ასახელებს ამ საკითხს უკეთესი მომავლისათვის მნიშვნელვნად, მსგავსისურათია, ქვემო ქართლშიც (40,5%), ხოლო ამ საკითხს

ყველაზე მეტად მნიშვნელოვნად,თბილისში ასახელებენ (61,9%). საინტერესოა, რომ კახეთში, თბილისში, შიდა ქართლსა და სამეგრელოშიახალგაზრდები მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის პატიოსან და პასუხისმგებლობის მქონე მთავრობასხარისხიან განათლებაზე მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.

დიაგრამა 6.2: საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება, მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის პატიოსანი და პასუხისმგებლობის მქონე მთავრობის საკითხის დასახელების მიხედვით, რეგიონულ ჭრილში, %.



დანართები

დანართი 1: კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია შედგებოდა შემდეგი კომპონენტებისგან: კვლევის ინდიკატორების და შეკითხვების შემუშავება და შეთანხმება მთავარ პარტნიორებთან, კვლევის ადმინისტრირება ველზე და კვლევის და ადმინისტრაციული მონაცემების ანალიზი პრიორიტეტული სფეროების მიხედვით, რომელიც ჩამოთვლილია ახალგაზრდობის პოლიტიკის ეროვნულ დოკუმენტში.

ამასთან ერთად, მოხდა ადმინისტრაციული წყაროებიდან ინფორმაციის მოთხოვნა, კერძოდ:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- სოციალური მომსახურების სააგენტო;
- დაავადებათაკონტროლისადასაზოგადოებრივიჯანმრთელობისეროვნული ცენტრი;
- ცეტრალურისაარჩევნოკომისია;
- საქართველოსსასჯელაღსრულების, პრობაციისადაიურიდიულიდახმარების საკითხთა სამინისტრო;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი;

- საქართველოს პროკურატურა;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

შერჩევის მეთოდოლოგია

რესპოდენტები ნიმუშისათვის შეირჩა 2002 მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში. რადგანაც კვლევის მოთხოვნის თანახმას, საჭირო იყო გვქონოდა გარკვეული მონაცემები ყველა რეგიონის წარმომადგენლებისაგან, ნიმუშის ზომა განისაღვრა 2500 ადამიანით.

პირველ ეტაპზე ეს რიცხვი განაწილდა პროპორციულად რეგიონების მოსახლეობასთან შეფარდებით (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1: რეგიონების მიხედვით ნიმუშის განაწილება.

რეგიონი	ქალაქი	სოფელი	სულ
აჭარის ა.რ.	93	82	175
გურია	24	63	87
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	225	274	499
კახეთი	57	174	231
მცხეთა-თიანეთი	18	52	70
ქვემო ქართლი	122	128	250
სამცხე-ჯავახეთი	40	60	100
სამეგრელო-ზემო სვანეთი	101	138	239
შიდა ქართლი	67	120	187
თბილისი	650	12	662
ჯამი	**1397**	**1103**	**2500**

გამოყენებული იქნაორსაფეხურიანიშერჩევისმეთოდი, სადაც პირველ ეტაპზე შეირჩა ჩამოთვლილი ზონები (პირველადი მაგალითი), ხოლო მეორე საფეხურზე შინამეურნეობები. ე.წ. „დიზაინის ეფექტის“ შესამცირებლად ჩამოთვლილი ზონებისათვის, რომელიც შერჩეული იყო დასახლებული პუნქტების ტიპების მიხედვით, გადაწყდა გამოკითხულიყო შესაბამისი ასაკის 5 ახალგაზრდა ქალაქში და 8 ახალგაზრდა სოფლად. ქალაქებში ჩატარებული ინტერვიუების მცირე რაოდენობა სოფლად ჩატარებულ ინტერვიუებთან შედარებით, გამოწვეული იყო ვარაუდით, რომ ქალაქში იქნებოდა სხვადასვა პასუხების უფრო დიდი რაოდენობა. ამგვარად ინტერვიუების ნაკლებმა რაოდენობამ ქალაქში გამოიწვია ინტერვიუების რაოდენობის გაზრდა რეგონებში, ეს იყო პირობა ე.წ. „დიზაინის ეფექტის“ შესამცირებლად. შესაბამისად ინტერვიუების რიცხვი უნდა გაყოფილიყო 5-ზე ქალაქებში და 8-ზე სოფლებში.

დამატებით, ზემოთ აღნიშნულივარაუდიდან გამომდინარე (სავარაუდოდ, ქალაქში მცხოვრები მოსახელობის უფრო განსხვავებული პასუხები კვლევის კითხვებზე),გადაწყდა, რომ ქალაქის მოსახლეობას ქონოდა თანაბარპროპორციულზე უფრო ფართო წარმომადგენლობა საკვლევ ნიმუშში, რაც თავის მხრივ შეამცირებდა ნიმუშის შერჩევასთან დაკავშირებული შეცდომების ალბათობას.

ზემოთ მოყვანილზე დაყრდნობით განისაზღვრა რეგიონებისა და ქალაქ-სოფლის ზონების მიხედვით ნიმუშების სიდიდის გადანაწილება (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 2: შერჩეული მოცულობის საბოლოო განაწილება რეგიონებისა და ქალაქ-სოფლის ჭრილში.

რეგიონი	ქალაქი	სოფელი	სულ
აჭარის ა.რ.	105	64	169
გურია	35	56	91
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	245	208	453
კახეთი	60	136	196
მცხეთა-თიანეთი	35	56	91
ქვემო ქართლი	130	104	234
სამცხე-ჯავახეთი	45	48	93
სამეგრელო-ზემო სვანეთი	105	112	217
შიდა ქართლი	75	88	163
თბილისი	785	8	793
ჯამი	**1620**	**880**	**2500**

ამასთანავე, ზემოთაღნიშნული პირობების გათვალისწინებით განისაზღვრა შერჩეული ზონების რიცხვი რეგიონებისა და ქალაქ-სოფლის მიხედვით (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 3: ჩამოთვლილი ზონების რიცხვი რეგიონების და ქალაქ-სოფლის მიხედვით

რეგიონი	ქალაქი	სოფელი	სულ
აჭარის ა.რ.	21	8	29
გურია	7	7	14
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	49	26	75
კახეთი	12	17	29
მცხეთა-თიანეთი	7	7	14
ქვემო ქართლი	26	13	39
სამცხე-ჯავახეთი	9	6	15
სამეგრელო-ზემო სვანეთი	21	14	35
შიდა ქართლი	15	11	26
თბილისი	157	1	158
ჯამი	**324**	**110**	**434**

ჩამოთვლილი ზონები რეგიოებში შეირჩა მოსახლეობის ზომის პროპორციულად (ზომის პროპორციული ალბათობის მეთოდი PPS method) ხოლო სისტემური შერჩევის მეთოდიგამოყენებული იქნა შინამეურნეობების შერჩევისას EA - ს ფარგლებში.

დანართი 2: კრიტერიუმები და დეფინიციები, რომელიც გამოყენებულ იქნა ახალგაზრდების ეკონომიკური სტატუსის შესაფასებლად

ეკონომიკურად აქტიური (სამუშაო ძალა)– გამოსაკვლევ კვირაში ორივე სქესის დასაქმებული და უმუშევარი პირები;

დასაქმებული (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, მუშაობდა უსასყიდლოდ ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

დაქირავებული – პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს შვებულების, ავადმყოფობის, წარმოების დროებით გაჩერების, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან მსგავსი მიზეზების გამო.

თვითდასაქმებული – მესაკუთრე, რომლის საქმიანობის მიზანს საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღება. აგრეთვე, ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

გაურკვეველი - პირი, რომლის დასაქმების სტატუსი არ არის იდენტიფიცირებული

უმუშევარი – პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი), ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს და პოვნის შემთხვევაში მზად იყო მუშაობის დასაწყებად უახლოესი ორი კვირის განმავლობაში.

ეკონომიკურად არააქტიური (სამუშაო ძალის გარეთ) – პირი, რომელიც არც დასაქმებულია და არც უმუშევარი.

აქტიურობის დონე– ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.

უმუშევრობის დონე – უმუშევართა რიცხოვნობის პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.

დასაქმების დონე – დასაქმებულთა რიცხოვნობის პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.